1134
2000

# არილი

№3 (148) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 16 მარტი

ფასი 50 თეთრი

#3
2000



თანამედროვე ბავშვები უყურებენ კინოფილმებს, ტელევიზორს, უსმენენ რადიოს, კითხულობენ ილუსტრირებულ ჟურნალებს - კი, ეს ყველაფერი შეიძლება საინტერესოა, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ფანტაზიასთან. წიგნთან პირისპირ დარჩენილი ბავშვი კი, თავისი უმანკო სულის სიღრმეში ქმნის საკუთარ ნათელ, წარუშლელ სახეებს.

ასტრიდ ლინდგრენი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

---



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





---


**№3 ხუთშაბათი, 16 მარტი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


---

**ლიტერატურა**


ანდრო ბუაჩიძე
ცარიელ ველზე მოხეტიალე ....... 1

შოთა იათაშვილი
კონტრკულტურა და კონტრკულტურული ადამიანი ....... 3

ლელა სამნიაშვილი
ლექსები ....... 6

ბესო ხვედელიძე
პიესები ....... 8

ასტრიდ ლინდგრენი
კენჭი ....... 11
რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები ....... 12

ფეთნე ხუნიზისა და უფლისწულ
ებრაჰიმის ზღაპარი ....... 13

გივი ალხაზიშვილი
ლექსები ....... 16

ანდრე ვურმსერი
კაცი (მოთხრობა) ....... 17

იოსიფ ბროდსკი
დოსტოევსკის შესახებ ....... 19

ჩესლავ მილოში
დოსტოევსკი და სვედენბორგი ....... 21


**რელიგია**


ზურაბ კიკნაძე
თანამედროვე ეკლესია და წარსულის
"მოზეიმე მყუდროება" ....... 24

სოზარ სუბარი
მოჩვენებითი ალმსარებლობის საფრთხე ....... 26


**პოლიტიკა**


ია ანთაძე
რას უნდა ელოდეს არჩევნებისგან ჯუმბერ პატიაშვილი ....... 29

ზაზა ფაჩუაშვილი
მშობლიური საგიჟოროდენი
რამდენი სურათი ანუ ეპიზოდი უახლესი ისტორიიდან ....... 32



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

# ცარიელ ველზე მოხეტიალე

როცა თამაზ ბაძაღუას ლექსებზე ვფიქრობ, კიდევ ერთხელ მახსენებს თავს ის აზრი, რომ პოეზიაში ყოველგვარი მიღწევა უკიდურესად ინდივიდუალურია. პოეტი ცოცხალი ჭურჭელია, რომლის შიგნითაც უკვე არსებულ სულიერ მონაპოვართა ფარული განზავების პროცესი მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ამ პროცესს მნიშვნელობა არ ექნებოდა, ცხოვრება რომ არ შთაბერავდეს ცხოველმყოფელ ძალას.

"პოეტს სჭირდება არა კარიერა, არამედ ბედისწერა", - ამბობდა ალექსანდრ ბლოკი. და მართლაც, პოეტი ჯერ თავის ბედისწერას ქმნის და მერე პოეზიას. ყოველგვარი უმნიშვნელო ცხოვრებისეული წვრილმანიც კი საერთო მთლიანობის ნაწილი ხდება, ბედისწერად ინათლება და მნიშვნელობას იძენს. ბედისწერად ინათლება-მეთქი ვამბობ, რადგან შემოქმედთან მიმართებაში ყოველგვარი ცნება პირობითობის ელემენტს შეიცავს. ყველაზე ნაკლებად კი პირობითობა, ამ შემთხვევაში, ბედისწერის ცნებას ეხება, რადგან ბედისწერა თავისი პირველადი, ნამდვილი სახით არსებობს და მის გარეშე პოეტის ცხოვრება წარმოუდგენელია.

თამაზ ბაძაღუას ცხოვრებაში ბედისწერულ მომენტად, უპირველეს ყოვლისა, მისი დაბადების ადგილი მიმაჩნია. მარტვილის მახლობლად არის სოფელი ნახუნაო, რომლის პასტორალური მომხიბლაობა, ჩემი აზრით, თავიდანვე შეიჭრა თამაზის ცნობიერებაში, როგორც სამყაროს პირველქმნილების და ჰარმონიის ცხადი ნიმუში. ეს სოფელი პატრიარქალური ოაზისია, ოკრობოკრო, ქვაღორღიანი გზით, აქა-იქ ჩადგმული ძველებური ოდა-სახლებით, პატარა მდინარით და სასაფლაოთი.

მოგვიანებით, როცა თამაზმა მართლაც სიღრმისეული ხედვით აღბეჭდა თავისი ლექსები, ამ გარემოში მიღებული შთაბეჭდილებები ფაქიზად განეფინა ფერადოვან პეიზაჟებში. ფაქტობრივად პეიზაჟი აქ მხოლოდ ფონია, რომელიც კონკრეტულ სათქმელს სიმკვეთრეს ანიჭებს. ვთქვათ, ერთი ასეთი ლექსი გავიხსენოთ:

*...შენი ლაჟვარდის ღიმილიდან მე ვიწყებ დილას,*
*ხოლო ყელიდან სამყაროსთან ჩემი თანხმობის*
*მუსიკას ვიწყებ,*
*წყალს ვიწყებ შენი ქუთუთოების უძველესი*
*დაღლილობიდან და წყალთა ენას,*
*მე ვიწყებ ხეებს და ფრინველებს შენი*
*მშვიდი ხელისგულიდან და ა.შ.*

მე ვფიქრობ, რომ ეს ასოციაციური ქსოვილით ნაქსოვი ლექსი სწორედ ბავშვობის სამყაროდან იკრებს მაცოცხლებელ წვენს. ლაჟვარდის ღიმილიდან დაწყებული დილა, სამყაროსთან ჩემი თანხმობის მუსიკა, კამკამა წყალი, რომელიც ქუთუთოების დაღლილობასთანაა ასოცირებული, სწორედ იმ პატრიარქალურ სიწმინდეთა შემნახველ წიაღს ეხმაურება. თამაზ ბაძაღუა არ ყოფილა გამონაკლისი და მანაც სხვა პოეტებივით მოგვიანო ასაკში განცდილი სულიერი ძვრები და ტრავმები ბავშვობის შთაბეჭდილებების ფონზე აღიქვა.

თავის ერთ-ერთ წერილში რაინერ მარია რილკე ვრცლად საუბრობს ბავშვობის პერიოდზე. საუბარი უმთავრესად იმას ეხება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შემოქმედისთვის ადრეული ასაკის შთაბეჭდილებები. რილკე საგანგებოდ აღნიშნავს ამ შთაბეჭდილებების ცხოველმყოფელობას ნებისმიერ, თუნდაც ძალზე ულმობელ, ბუნების წიაღს მოწყვეტილ გარემოში. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, გარესამყაროსთან პირველი შეხება მუდამ ინარჩუნებს სიახლესაც და სიცხოველეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც მნიშვნელოვანია ამ გარემოს რაგვარობა. ვფიქრობ, რომ შემოქმედის სულიერი წრთობისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სად გაატარებს ადრეული ბავშვობის წლებს - სოფელში, სადაც ცივილიზაციას გარემოსთვის უშუალობა და მიმზიდველობა ჯერ კიდევ



არ დაუკარგავს, სადაც ფართო ეზოებია და ტალავერქვეშ გამჭოლი მზის ნაფლეთები ყრია ბალახზე თუ ახალმშენებარე მაღლივკორპუსიანი კვარტლის ვიწრო ბინაში.

თამაზ ბაძაღუასთვის მას აქეთ, რაც ის ქალაქში დამკვიდრდა, ბავშვობისდროინდელი გარემო მხოლოდ კონკრეტული სივრცე აღარ იყო, - ერთგვარი განყენებულობა და აბსტრაქტულობა შეიძინა. აქ მე ვგულისხმობ მსოფლშეგრძნების თავისებურებას. სწორედ ამ ნიშნით ამეტყველდა ბუნების რეალიები მის ლექსებში. წარმოუდგენელი იყო მას ლექსი დაეწერა კონკრეტულად თავის სოფელზე. ეს სოფელი მისთვის პასტორალური ყოფის, ჰარმონიული აუმღვრევლობის და სულიერი წონასწორობის ფიზიკურ ხატად, ნავსაყუდლად და სიმბოლურ ნიშანსვეტად გადაიქცა. ამ ზოგადი ნიშნითვე დამკვიდრდა, როგორც ვთქვით, პოეტის შემოქმედებაში. თუმცა აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. რაც უფრო ძლიერდებოდა თამაზ ბაძაღუას წარმოსახვა და ცხოვრებისეული სიღრმის ხედვის უნარი, ჩემი აზრით, მით უფრო მძაფრდებოდა აუმღვრეველი წარსულის ხატი მის მეხსიერებაში. იქნებ ეს ორი ურთიერთსაპირისპირო "სტიქია" წარმოშობდა პოეტის არსებაში ტრაგიკულ მსოფლშეგრძნებას? ვინ იცის...

*ილაპარაკე, როგორც დაბერდა შენი სახლის წინ*
*მაღალი ცაცხვი,*
*ილაპარაკე როგორ აკლდება ტოტები ყოველ*
*შემოდგომაზე,*
*ილაპარაკე ჩუმად, ჩუმად ილაპარაკე,*
*შენი ტუჩები გადაირბენენ გაქრობის და*
*დავიწყების მწარე მინდორზე.*

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული მსოფლშეგრძნება ბედისწერის ნაწილია, მაგრამ არის კიდევ რაღაც, რასაც პოეტი პიროვნული მიზანსწრაფვით მოიპოვებს. წერილის დასაწყისში პოეტის ინდივიდუალური ძიების უნარზე ვლაპარაკობდი, ინდივიდუალურ მიღწევაზე და ათვისებული კულტურული ფასეულობების გადამუშავებაზე. მე მართლაც მწამს, რომ ყოველ შემოქმედში კულტურის მონაპოვართა ფარული განზავების პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესის მამოძრავებელი თვითონ შემოქმედია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველივე ეს სპონტანურად კი არა, ცნობიერად და მიზანმიმართულად ხდება. პოეტი ხომ ამავე დროს ლიტერატორია, რომელიც ლიტერატურული სამყაროდან რაღაცას იღებს და რაღაცაზე უარს ამბობს. აქედან გამომდინარე, ის თვითონ ქმნის თავის ხელწერას, თავის სტილს, თავის ინდივიდუალობას. თუ ნიჭი და ბედისწერა პოეტზე არ არის დამოკიდებული, თვალსაწიერის სიფართოვე, გემოვნება და ამასთან ხელწერის ნაირგვარობა სწორედ პოეტის პიროვნულ მიზანსწრაფვას ექვემდებარება.

მე დღემდე მაინტერესებს როგორ და რა დროს გაჩნდა თამაზ ბაძაღუას ლექსებში ასოციაციური აზროვნების ფაქიზი ქსოვილი. ამ ასოციაციებს მოულოდნელი, ხშირად "დინების საწინააღმდეგო" ფრაზები და პოეტური სახეები ქმნიდა. მე მჯერა, რომ ის რეგისტრი, ის ინტონაცია, ვერლიბრის ის ტალღოვანი მელოდიურობა, რომელსაც თამაზმა მიაგნო, თავისით გზას ვერ გაიკვლევდა. ყოველივე მხოლოდ თვითნაბადი ნიჭის წყალობა კი არ იყო, არამედ პიროვნული აქტივობისა.

თამაზ ბაძაღუას მოუსვენარი ბუნება შემოქმედებით ძიებებში ვლინდებოდა. მახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს მან იტალიური ენის შესწავლას მიჰყო სერიოზულად ხელი, რითაც ბევრი გააკვირვა კიდეც. არადა, უცნაური აქ არაფერი იყო. თამაზს ფორმის ძალზე გამახვილებული შეგრძნება ჰქონდა და თანამედროვე ევროპული პოეზიის დედანში გაცნობის სურვილი არ ასვენებდა. გვიდო გოცანოს, სალვადორე კვაზიმოდოს, პიერ პაოლო პაზოლინის, ეუჯენიო მონტალეს მაღალმხატვრულ თარგმანებში კარგად გამოჩნდა მისი მისწრაფება: ამოეცნო და გაეშიფრა ჩვენთვის უცხო და უცნაური პოეზიის მხატვრული ენა, გაეგო და გაეცხადებინა თანამედროვე, XX საუკუნის მიწურულის მკვიდრი ადამიანის რთული შინაგანი სამყარო. ეს სამყარო თანამედროვე პოეტური ხერხებით, წყვეტილი ფრაზებით, ასოციაციური დინებებით და მოულოდნელი აზრობრივი წიაღსვლებით იყო გახსნილი.

იოლია იმის თქმა, რომ თამაზმა სწორედ იტალიელი პოეტების თარგმანებზე მუშაობისას მიაგნო ასოციაციური აზროვნების გადმოცემის ხერხებს; ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ეს ასეც არის, მაგრამ თვითონ მას რომ არ ჰქონოდა გარკვეული მზაობა, სურვილი თუ ღრმა მოთხოვნილება ლირიკული სუბიექტის შინაგანი სამყაროს ტრანსფორმირებისა, უცხოური პოეზიის მაგალითი ვერაფერს შესძენდა.

გარკვეულ პერიოდში თამაზის ლექსებს უცნაური ლიბრი გადაეკრა. ეს არ იყო ორიგინალური ხელწერის შემუშავების მცდელობა, რომელსაც ხშირად ბუნდოვანება ახლავს ხოლმე. იმხანად თამაზი ჯერ კიდევ ვერ აზერხებდა წარმოსახული ფორმის იმ კონფიგურაციის თუ კონტურების გადატანას ქაღალდზე, რომლის მეშვეობითაც სასურველი შინაარსი უნდა გადმოეცა. გაიარა არცთუ დიდმა დრომ და მან თავის საუკეთესო ნიმუშებში დასახულ მიზანს მიაღწია. თითქოს ფოკუსი გასწორდა, კონტურებიც გამოიკვეთა და ფრაზის ასოციაციური დინება მკაფიო სახეებად დაკრისტალდა:

*როგორ გაუძლებ ამდენ შეცდომას,*
*სინანულს და სინდისის ქენჯნას,*
*ო, ღამე გიბერავს ცივ შუბლზე,*
*როგორ გაუძლებ ამდენ ღამეს,*
*შავ და უძრავ მარადისობას*
*რომლის ბოლო შენში ინასკვება*
*და შენიდან მწუხრში გადადის*
*ფერიცვალების ნელი სიტკბო,*
*მისი უცნობი ბაგეების სიხარული და ჟრუანტელი.*
*როგორ გაუძლებ ამდენ შეცდომას,*
*ძველი წვიმების სიმკვრივეს შენს ნაფეხურებში,*
*ვნების დამქანცავ იძულებას როგორ გაუძლებ,*
*როგორ გაუძლებ სიკვდილის სუნს მთელი სიცოცხლე,*
*რომ თან იმღერო, თან ნიჩაბი გეჭიროს ხელში.*
*წინასწარ მღერის თავის ნაყოფს აპრილის ბაღი...*
*ო, ღამე გიბერავს ცივ შუბლზე.*

ამ ლექსში, როგორც თამაზის სხვა საუკეთესო პოეტურ ნიმუშებში მართლაც ბედნიერად შეერწყა ერთმანეთს ის, რაზეც მე ვსაუბრობდი: სამყაროს ჰარმონიული პირველქმნილების აღქმა და მის ფონზე კონტრასტული შტრიხების აღმოჩენა. ამ ორი ლირიკული მომენტის შეერთება თითქოს ნაღვლიან მელოდიურობას, სინანულის ინტონაციას იწვევს. ეს ინტონაცია ბოლო ციკლის ლექსებში მკაფიოდ გამოსჭვივის...

და მაინც, საიდან გაჩნდა ასოციაციური ნაკადი? საიდან დაიძრა ეს ცივი დინება? იქნებ მოჭარბებული ოსტატობის, ფრაზეოლოგიური თამაშის, სიტყვით სხვადასხვაგვარი გატაცების მოულოდნელი შედეგი იყო? კი, არსებობდნენ თანამედროვეობის გამოჩენილი იტალიელი პოეტები და შეიქმნა მათი საინტერესო თარგმანები, არსებობდა მზაობა და მიდრეკილება ყოველგვარი ნოვაციისაკენ, იყო სხვა მომენტებიც, მაგრამ ძნელია უმთავრესი განმაპირობებელი მიზეზის მიგნება. იქნებ მეტაფორულმა სიუხვემ და საერთოდ, სახეობრივი აზროვნების სიმჭიდროვემ (რაც ჩემი ღრმა რწმენით სწორედ პატრიარქალურმა წიაღმა, ბავშვობის და სიყმაწვილის შთაბეჭდილებებმა განსაზღვრა) დაბადა ლექსში თავდაპირველად ბუნებრივი ნაპრალები, რომელიც მოგვიანებით ასოციაციური ძაფით უნდა შეკავშირებულიყო? ასოციაციური აზროვნების კიდევ ერთ ნიმუშს მოვიტან, უფრო ცხადს და თვალსაჩინოს:

*ჩვენ მოწუწუნე თაობა გვქვია,*
*ჩვენი კანონი არის შიში და გულგრილობა,*
*ზურგჩანთაში ყველი, პური და შავი ღვინო,*
*ჩვენთვის ნისლი რაღაც მყარს ნიშნავს.*
*ვილაც კითხულობს: სად არის წყარო,*
*ტრანზისტორიდან ღმუილით გვებრძვის აღმოსავლეთი.*
*სამქმარსვაყრილი ქალიშვილი მდელოზე ჯდება.*
*რა ლამაზია, აქ ვიცხოვრებთ სიამოვნებით.*
*ნისლი გვაბრუნებს დასავლეთისკენ.*
*თავს დავანებებ სამსახურს და ვიქნები ჩემთვის.*
*ოჯახს ვინ გირჩენს, ეგვიპტიდან ვინ გამოგვიყვანს,*
*ყვავმა სათვალე გაიწმინდა, ტოტმა წყალი ჩრდილს გადაასხა და ა.შ.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ზოგიერთს გულუბრყვილობად ეჩვენოს ჩემი თვალსაზრისი თამაზ ბაძაღუას დაბადების ადგილის შესახებ. იქნებ გაზვიადებად მოეჩვენოთ ის, რომ ამ გარემოში თვალის ახელა უმთავრეს ბედისწერულ მომენტად მივიჩნიე? მართლაც ვინ არ დაბადებულა სოფელში და არ წამოსულა მოგვიანებით ქალაქში. მაგრამ, აქ მაინც სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე სხვადასხვა გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, გააჩნია ვინ დაიბადა ამა თუ იმ სოფელში. მერე იმასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, როგორია თვითონ ეს სოფელი. კიდევ ერთხელ მინდა საგანგებოდ აღვნიშნო - ნახუნაო არის სოფელი, რომელიც უფრო სამუზეუმო ექსპონატს წააგავს. ეს არის სივრცე (ლანდშაფტს ვგულისხმობ), სადაც ცივილიზაციის უკუქმედების ნიშნები მართლაც შეუმჩნეველია (შეიძლება კლოდ ლორენის პეიზაჟები გაგახსენდეს, რომელთაც დოსტოევსკი აღფრთოვანებით შესცქეროდა და კაცობრიობის საუკეთესო დროებაზე საუბრობდა). მე თვითონ ვიყავი მოწმე (სტუმრად მიმიპატიჟა სოფელში) ამ გარემოდან გასვლის და ისევ ამ გარემოში დაბრუნების შემდეგ თამაზი საკუთარ ჭერქვეშ როგორი მოწიწებით ეპყრობოდა ყოველ ნივთს და საგანს, რა ფრთხილად ავლებდა ხელს მამაპაპეულ სიძველეებს, რა გამჭვირვალე ნაღველით გასცქეროდა მოსაღამოვებულ სივრცეს ფაქიზად ჩრდილდაფენილ ეზოდან.

მე ვფიქრობ, რომ თამაზისთვის ყოველი ლექსის თხზვის პროცესი დაბრუნება იყო იქ, საიდანაც წამოვიდა. მას შესანიშნავად ესმოდა თომას ვულფისეული შინ ვერდაბრუნების ფილოსოფია და მიუხედავად ამისა, მტკივნეულად მიისწრაფოდა შინისაკენ. თამაზის ლირიკული გმირის სამოქმედო სივრცე ურბანისტულია, მის ცნობიერებაში კი ურბანისტულ გარემოსგან განუთიშველად არის ჩაწერილი ბუნების რეალიები...

მე მინდა თამაზ ბაძაღუას შემოქმედების შესახებ ჩემი შთაბეჭდილებათა კომპლექსი გადმოვცე და ეს, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია ჩანაფიქრისა. რატომღაც თვითონვე მაქვს ისეთი შეგრძნება თითქოს პოეტის რვეულის სუფთა მინდვრებს შენიშვნებით ვავსებდე.

1988 წელს "მერანის" მიერ გამოცემული წიგნი "ქვასა და სიტყვებს შორის" მართლაც სერიოზული მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ ამ წიგნს მაინც კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა: სრულად შემონახულიყო ოცდარვა წლის ასაკში დაღუპული პოეტის ნაწერები. ამ, თავის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვან მიზანს, მეორე, თამაზის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე ემსხვერპლა: თავმოყრილი მასალის სიმრავლეში დაიკარგა პოეტის საუკეთესო ლექსები. ამ წიგნის მიხედვით ძნელია გამიჯნო ერთმანეთისგან წვალებით განვლილი გზა და მიღწეული შედეგები. ამით იმის თქმა მსურს, რომ გამომცემლობას და შემდგენლებს კიდევ ერთხელ უნდა გადავუხადოთ მადლობა და ახალი წიგნის შედგენისთვის ვიზრუნოთ, სადაც ყველაზე ნათელი ნიმუშები ისე იქნება განლაგებული, რომ ლირიკული სუბიექტის ირგვლივ მთლიანობა და თავისუფალი სივრცის პერსპექტივა შევნიშნოთ.

მე პირადად, ამ საუკეთესო ლექსების მეშვეობით შემექმნა შთაბეჭდილება თამაზ ბაძაღუას სამყაროზე. ეს არის სამყარო, რომელიც სწორედ ასოციაციების ხლართში თუ სიზმრისეულ ჩვენებაშია გახვეული და ძალიან ჰგავს უზარმაზარ, ბინდჩამოწოლილ დარბაზს. ამ დარბაზის მაღალი ფანჯრის მინები ამოტეხილია და იქიდან სუსხი აღწევს. სიცივე ჟონავს ღრიჭოში. თანაც ამოტეხილი ფანჯრიდან მოჩანს კლასიკური პეიზაჟი: მინდორი, ბებერი ცაცხვის ხე და ჩამავალი მზით შეფერილი ღრუბლის ვიწრო ზოლი. ტრიალ მინდორზე მისთვის ჩვეული დინჯი ნაბიჯით თვითონ თამაზ ბაძაღუა მიაბიჯებს, ქარი უწეწავს თეთრად აფრიალებულ პერანგს:

*მოვეხეტები ცარიელ ველზე*
*და არავინ დგას ქარების ბოლოს...*

პრილი

შოთა იათაშვილი

# კონტრკულტურა და კონტრკულტურული ადამიანი



ლიკა ნადარაია და ილიკო ზაუტაშვილი ამზადებენ პროექტს, სახელწოდებით "კონტრკულტურა". გათვალისწინებულია გამოფენებისა და აქციების მოწყობა. ასევე, გამოცემა კრებულისა, რომელშიც შევა ირაკლი ჩარკვიანის, გოგი გვახარიას, ბიძინა მაჟაშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, ილიკო ზაუტაშვილის, ლიკა ნადარაიას, ჟანრი კაშიას და სხვათა სტატიები. გთავაზობთ ერთ-ერთ წერილს ამ კრებულიდან.

კონტრკულტურის, როგორც მოვლენის ზუსტი საზღვრების დადგენა, ისევე როგორც სხვა მოვლენების, ალბათ შეუძლებელია და ეს არცაა ჩემი მიზანი. ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს ის კულტურული ფენომენები, რომლებიც მეტად საინტერესოდ იკვეთებიან ან ერთიანდებიან მოვლენაში, რომელსაც კონტრკულტურა ეწოდება - მაგალითად, ახალგაზრდული კულტურა და ავანგარდი. ცხადია, რომ მათ გარეშე კონტრკულტურის წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ, ამავე დროს, არც ახალგაზრდული კულტურა და არც ავანგარდი არ არის კონტრკულტურის იდენტური ცნებები. ერთი მხრივ, ავანგარდს ძირითადად ახალგაზრდული სული ქმნის, ახალი ავანგარდული იდეების მატარებელნი ძირითადად ახალგაზრდული ჯგუფები იყვნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიზეზის გამო უმეტესწილად ახალგაზრდების მიერ შექმნილი ეს ავანგარდი ახალგაზრდული კულტურის კუთვნილება ხდებოდა ხოლმე. ამის მიზეზი მეტად მარტივია: ავანგარდი მაღალი სულიერების, ღრმა ინდივიდუალობის მქონე ადამიანების შემოქმედებითი პროდუქტი და დაახლოებით ასეთივე სულიერი პარამეტრების მქონე ადამიანების მიერ აღქმადი ფენომენია. ახალგაზრდული კულტურა კი ახალგაზრდული ცნობიერების ერთგვარი უმწიფარობის გამო მაინც ორიენტირებულია უფრო იოლად აღქმად ხელოვნებაზე. ნაკლები ინტელექტუალობა ახალგაზრდულ კულტურაში გაზრდილი სენსუალობით, ემოციურობით კომპენსირდება და აგრეთვე რადიკალიზმით, რაც, შეიძლება ითქვას, ახალგაზრდული კულტურისა და ავანგარდის საერთო მნიშვნელს წარმოადგენს.

აქ დროული იქნება, თუ გავიხსენებთ ხელოვნების ნიცშესეულ კლასიკურ დაყოფას დიონისურ და აპოლონურ ხელოვნებად. ამ კუთხით ავანგარდიც და ახალგაზრდული კულტურაც ერთ ბანაკში აღმოჩნდება, ანუ დიონისური ხელოვნების ბანაკში. თუმცა, ჩემი აზრით, ეს დაყოფა დღევანდელ კულტურაში უკვე აღარ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. საქმე ისაა, რომ ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა ხელოვნების ისეთი ნაწარმოებების რიცხვი, რომელთაც ვერც დიონისურ ხელოვნებას მიაკუთვნებ და ვერც აპოლონურს. ლაპარაკია პოსტმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერნული ყაიდის ხელოვნებაზე, სადაც პრიმატს იღებს გონებისმიერი და თამაშებრივი მომენტები. ავანგარდში ასეთი ტიპის ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ კონცეპტუალური ხელოვნება. იგი, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ანტიდიონისური მოვლენაა. თუკი აპოლონურ ხელოვნებაში დაცულია წონასწორობა გონებასა და ემოციას, ფორმასა და შინაარსს შორის, ხოლო დიონისურ ხელოვნებაში წამყვანი ხდება ემოცია, ირაციონალობა, სპონტანურობა, პოსტმოდერნულ თუ კონცეპტუალურ ხელოვნებაში სასწორის პინა საწინააღმდეგო მხარეს იწევს. ასე რომ, უპრიანი იქნება თუ ნიცშესეულ დიხოტომიას ტრიხოტომიით შევცვლით, სადაც შუაგულში მოთავსებულია აპოლონური ხელოვნება, ხოლო აქეთ-იქით დიონისური და "ანტიდიონისური" ხელოვნებები. ფაქტობრივად, ხელოვნების ეს ორი ტიპი მარგინალიებს წარმოადგენს და ეს ასეც არის. და თუ ისევ კონტრკულტურას დავუბრუნდებით, შეიძლება ითქვას, რომ კონტრკულტურის სამოქმედო არეალი სწორედ ამ მარგინალიებზეა.

ცნობილ რუს პოეტს - გენადი აიგის ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს, არის თუ არა ის ავანგარდისტი. მან უპასუხა, რომ ის ვერ აღიქვამდა თავს ავანგარდისტად, რადგან მისი და მისი თანამოაზრე მწერლების ნაწერებს მთელი საბჭოური პერიოდის განმავლობაში ადამიანების მხოლოდ ძალიან ვიწრო წრე ეცნობოდა, მათი ხელოვნება ვერ მოწმდებოდა საზოგადოებაზე. ავანგარდი კი ისეთი რამაა, რაც საზოგადოებაზე უნდა შემოწმდეს. ამით აიგიმ მეტად საინტერესო რამ თქვა: ის, რომ რომელიმე ხელოვანის შემოქმედება, მისი ტექსტები შეიძლება აკმაყოფილებდეს ავანგარდის წმინდა ფორმალურ პარამეტრებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ვერ შედგეს როგორც ავანგარდული ჟესტი. აქ ჩვენ მივდივართ ასეთი ტიპის ხელოვნების პოლიტიკასთან მიმართებასთან. უფრო სწორად, არა უბრალოდ მიმართებასთან, არამედ იმასთან, რომ ავანგარდი პოლიტიკური აქცენტების გარეშე წარმოუდგენელია. თვით გარეგნულად ყველაზე აპოლიტიკური ავანგარდული ნამუშევრებიც კი დახუნძლულნი არიან პოლიტიკური კონოტაციებით. გაბატონებული საზოგადოებრივი ფორმაციებისა და მით უმეტეს, მენტალიტეტის შერყევა, გადასინჯვა, აფეთქება ავანგარდის "თანამდევი სულია". ეს თავისთავადი, ბუნებრივი მოვლენაა, თუ გავითვალისწინებთ მარგინალური ხელოვნებისთვის აქტუალურ თემებს და ხერხებს, ინტერესს ადამიანის ყველაზე ფარული, ყველაზე "ბნელი" კუთხეებისადმი: პერვერსიები იქნება ეს თუ სიგიჟე, ნარკოტიკები თუ რიტუალები. და ეს, რა თქმა უნდა, არაა თვითმიზანი. ეს თავისთავად ხდება, როდესაც ადამიანი ცდილობს, გაარღვიოს ხელოვნების თუ ყოფის არსებული საზღვრები და ახალი რაკურსები, ახალი ფორმები და შინაარსები იპოვოს. ძალაუნებურად იგი პოლიტიკური აქტიც ხდება. მაგრამ ერთია უნებური პოლიტიკურობა და მეორეა გააზრებული. და ასეთ ხელოვნებაში გააზრებული პოლიტიკურობის წილი დიდია. კიდევ უფრო იზრდება მისი მნიშვნელობა კონტრკულტურაში. საზოგადოებაზე ზემოქმედების ფაქტორი, რომელზეც აიგი ლაპარაკობდა, კონტრკულტურაში თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. აქედან გამომდინარე, ტოტალიტარულ საზოგადოებაში, რომელიც გააფთრებით წყვეტს კავშირებს ასეთი კულტურის მატარებელ ადამიანებსა და საზოგადოებას შორის, თითქმის შეუძლებელი ხდება კონტრკულტურის ასე თუ ისე ჩამოყალიბებული სახით არსებობა.

ამის შესანიშნავი მაგალითი შეიძლება იყოს საუკუნის დასაწყისში რუსეთში მოქმედი "ЛЕФ"-ის ბედი. ტოტალიტარიზმის განმტკიცებასთან ერთად "ხელოვნების მემარცხენე ფრონტის" რადიკალიზმი პოლიტიკურ კონიუნქტურას დაემორჩილა და მხოლოდ ფორმალისტური რადიკალიზმილა შეინარჩუნა. თუკი მისი ადრეული საქმიანობა შეიძლებოდა მიგვეჩნია ერთგვარ კონტრკულტურულ მოვლენად, შემდგომში მისი ასეთად აღქმა უკვე შეუძლებელი გახდა. ცოტა მოგვიანებით გაჩენილი "ობერიუტები", რომლებიც ყველანაირ პოტენციას ატარებდნენ იმისა, რომ კონტრკულტურულ მოვლენად ქცეულიყვნენ, ასევე ვერ იქცნენ ამად, ვინაიდან საბჭოურმა სისტემამ მათ ამის შესაძლებლობა არ მისცა. მხოლოდ ხრუშჩოვის დროს, რამდენიმეწლიანი "ოტტეპელისას" შეიქმნა საბჭოთა კავშირში სუსტი, მაგრამ მაინც ასე თუ ისე რალაცის მაგვარი კონტრკულტურული ველი. ე.წ. "ბულდოზერის გამოფენების" მოწყობის შესაძლებლობა უკვე ქმნიდა იმ მინიმალურ სივრცეს, რაც კონტრკულტურას არსებობისათვის ესაჭიროებოდა. კონტრკულტურის განვითარებისათვის საჭირო სიტუაცია ამის შემდეგ მხოლოდ "პერესტროიკის" დროს შეიქმნა და რაც ყველაზე საინტერესოა, საუკუნის დასაწყისის შემდეგ მან პირველად გაჟონა მასმედიაში. სხვათა შორის, ის პერიოდი მეტად საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ ეს გაჟონვა უცებ საკმაოდ დიდი დოზით მოხდა. განსაკუთრებით ეს ეხება ალტერნატიულ როკს. თუ გახსოვთ, მაშინდელ ტელეარხებზე საკმაოდ ხშირად ჩანდნენ ცოი, გრებენშჩიკოვი, შევჩუკი და ძმანი მისნი. ხოლო როდესაც სიტუაცია "დარეგულირდა", ეთერი მთლიანად კვლავ ამოავსო ესტრადამ და პოპ-მუსიკამ. პრინციპში პერესტროიკისდროინდელი სიტუაცია ანომალია იყო, ვინაიდან კონტრკულტურას არაფერი ესაქმება ოფიციალურ ტელეარხებზე. არც "დასტაბილურებული" დემოკრატია და მით უმეტეს, არც ტოტალიტარული სახელმწიფო არ დაუთმობს ყველაზე ღია, ყველაზე ცენტრალურ ტერიტორიებს კონტრკულტურას. მისი ადგილი კიდეებზეა, მარგინალიებზეა და ეს მისი არსებობის წესია.


„ყმუილი" ალენ გინსბერგი, სანფრანცისკო, ნიუ-იორკი 1956

ახლა, ალბათ, დროა დასავლეთსაც გადავხედოთ, იმ სამყაროს, რომლის კანონიერი პირმშოცაა კონტრკულტურა. პრინციპში, კონტრკულტურა, როგორც ფენომენი, სრულყოფილი სახით საბოლოოდ 50-60-იან წლებში ჩამოყალიბდა, როცა ფართოდ გაიშალა ჰიპური და ბიტ-მოძრაობა, როკ-ინდუსტრია, პაციფისტური მოძრაობა, ვიზუალურ და პლასტიკურ ხელოვნებებში თვისობრივად ახალი სახე მიიღო აქციონალიზმმა და პერფორმანსმა. ამ ყველაფერმა კომპლექსში შექმნა ის კულტურული სიტუაცია, რაც კონტრკულტურად მოინათლა. ის ესთეტიკა, რომელიც კონტრკულტურამ ავანგარდისაგან, ფსიქოანალიზისაგან, სადის, მაზოხის, ბატაის, სელინის, მილერის ტიპის ლიტერატურისაგან, აღმოსავლური რელიგიური პრაქტიკებისაგან და ბევრი სხვა რამისაგან შექმნა, თანდათან "გასაშუალოვდა" და ახალგაზრდული კულტურის მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, დღესაც რჩება კონტრკულტურის თხელი შრე, რომელსაც თავისი სიწმინდე და უკომპრომისობა შენარჩუნებული აქვს, მაგრამ შოუბიზნესის მიერ გადამუშავებული კონტრკულტურა რომ დღეს ძალიან ხშირად გვევლინება ფსევდოკონტრკულტურის სახით, ესეც ცხადია.

აქ ჩვენ ყველაზე ეგზისტენციალურ საკითხს ვადგებით. რა ზემოქმედებას ახდენს საერთოდ კონტრკულტურა ინდივიდზე, და რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს მან? ამ საკითხთან მისაახლოვებლად ისევ მოვიშველიოთ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ტრიხოტომია. აპოლონური ხელოვნება ამ ტრიხოტომიის შუაგულში მოთავსდა და მართლაც, იგი ადამიანური არსებობის შუაგულშია, მის გულს და ღერძს წარმოადგენს. ჰარმონიული არსებობა და ცხადია, ჰარმონიული ხელოვნებაც ადამიანისთვის ჰაერივით აუცილებელია. მის გარეშე სამყაროს შეცნობა, სულიერი სიმშვიდის მოპოვება, თუნდაც გასხივოსნება შეუძლებელია. მაგრამ, ჩვენს ასეთ არაჰარმონიულ სამყაროში ჰერმეტულად ჩაძირვა მხოლოდ ჰარმონიული ხელოვნების ველში შეიძლება საფრთხის მატარებელი იყოს, თუკი ადამიანი ძალიან მაღალ სულიერ საფეხურზე არ დგას, ეს კი ძალიან იშვიათად ხდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ხოლმე. მხოლოდ და მხოლოდ აპოლონურ ხელოვნებაში ლივლივმა ადამიანს შეიძლება კონტროლის უნარი მოუდუნოს, დააძინოს, თვითდინებაზე მიუშვას. ასეთ სიტუაციაში ადამიანი უკეთეს შემთხვევაში ველარ ვითარდება, ხოლო უარეს შემთხვევაში ხდება მისი სულიერი, მორალური თუ ინტელექტუალური ძალების რედუცირება. სწორედ ამ დროს არის უებარი წამალი კონტრკულტურის თუნდაც მცირეოდენი დოზის შეშხაპუნება. კონტრკულტურაში დიდი დესტრუქციული ძალაა, მაგრამ იგი მაგონებს შხამს, რომლის გარკვეული დოზაც ავადმყოფი სხეულისთვის შეიძლება წამალი იყოს. მაგრამ შხამის ნამეტანი გამოყენება დამღუპველია. სწორედ ამიტომ, საკითხი, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ადამიანს კონტრკულტურასთან, მეტად ფაქიზი საკითხია. მე ასეც ვიტყოდი, ეს პირველ რიგში კულტურის საკითხია. უზარმაზარი შინაგანი კულტურაა საჭირო იმისათვის, რომ ის საკვები, რასაც კონტრკულტურა გვაძლევს, ოპტიმალურად გადავამუშაოთ და მისგან სარგებელი მივიღოთ. მხოლოდ კიდეზე სირბილი, თუკი შუაგულში ჯერ ფეხიც არ შეგიდგამს, ადრე თუ გვიან უარყოფით შედეგს მოიტანს. ეს პროცესი განსაკუთრებით სახიფათო შეიძლება იყოს უმწიფარი ადამიანებისთვის, მით უმეტეს, დღეს, როდესაც ახალგაზრდული კულტურა გაჯერებულია ვულგარიზებული კონტრკულტურით. თინეიჯერული ცნობიერება, რომელიც ხარბად ინთქავს ასეთ ვულგარიზებულ კონტრკულტურას და გასაგები ახალგაზრდული შინაგანი პროტესტის წაქეზებით აგდებით უყურებს აპოლონურ ხელოვნებას, პირველ რიგში სწორედ ჭეშმარიტი კონტრკულტურის ამოცანებს ღალატობს. თუკი არსებობს ცნება "კულტურული ადამიანი", მე შემოვიტანდი "კონტრკულტურული ადამიანის" ცნებასაც. ჭეშმარიტი კონტრკულტურული ადამიანი სწორედ აპოლონური ხელოვნებიდან უნდა ამოიზარდოს და თავისი კონტრკულტურული მოღვაწეობა აპოლონური ხელოვნების დახმარებით აწარმოოს. კონტრკულტურული ადამიანი პირველ რიგში ეცდება ახალგაზრდაში ჰარმონიული ხელოვნების სიყვარული განამტკიცოს და მხოლოდ შემდეგ მიიტანოს მასზე საჭირო იერიში. ის ერთი შეხედვით უცნაური ნაზავი დესტრუქციულობისა და რელიგიურობისა, რასაც კონტრკულტურაში ვხვდებით, სულაც არაა შემთხვევითი. აპოლონური ხელოვნების ცენტრში შეიძლება წარმოვიდგინოთ საბოლოო მიზანი, ღმერთი, მაგრამ იგივე ღმერთი კიდეებზეც არის. ეს მე მახსენებს ძენ-ბუდისტურ პრაქტიკას, როდესაც იმისათვის, რომ მოსწავლემ ღმერთი შეიცნოს, გასხივოსნდეს, გურუები, მიმართავენ ერთგვარ "შოკურ თერაპიას", აყენებენ მათ რადიკალური კითხვების წინაშე, ხოლო ხშირად გასხივოსნებისთვის აუცილებელი ხდება უკიდურესი ზომების მიღება: სილის გაწნა ან ჯოხით ცემა. სწორედ ამას უნდა აკეთებდეს ჭეშმარიტი კონტრკულტურა. ასეთია მისი რელიგიური მისია. სხვა საქმეა, რომ რელიგიური მისია კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებრივ მისიამდე შეიძლება დავიწროვდეს, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ესეც მეტად კეთილშობილური მისიაა. უბრალოდ, არა აბსოლუტური, არამედ ეტაპობრივი. ამის ნიმუშების მოყვანა ბლომად შეიძლება. მაგალითად, დ. ბურლიუკის, მაიაკოვსკის, კრუჩონიხისა და ხლებნიკოვის მანიფესტი "Пощечина общественному вкусу".

მთელი ეს ჩემეული განაზრებები კონტრკულტურის რაობისა და მის შიგნით მიმდინარე პროცესების შესახებ, პირველ რიგში იმისაკენ იყო მიმართული, რომ მეჩვენებინა: კონტრკულტურა არც მონსტრია და არც უკრიტიკოდ მისაღები ფენომენი. ის მეტად ფაქიზი და მეტად საინტერესო მოვლენაა, რომლის გულმუცელშიც უამრავი რთული პროცესი მიმდინარეობს. მით უმეტეს, დღეს, მსოფლიო დანაგვიანების და ტოტალური ეკლექტიკის ეპოქაში, როცა ასე ძნელი ხდება ნებისმიერი მოვლენის არსის დაჭერა და მისი ექსტრაქტის გამოყოფა. მე უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ კონტრკულტურა კიდევ ერთი მეთოდია, რომელიც ადამიანმა თავისი განვითარების გზაზე მოიპოვა და შეუძლია მისი თავის სასარგებლოდ გამოყენება, თუკი გონივრულად და ზომიერად მოიქცევა. ამისათვის კი საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტად კულტურული და ჭეშმარიტად კონტრკულტურული ადამიანი.

**არილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელა სამნიაშვილი

* * *

სულ სათითაოდ რომ ჩავალაგე, -
ეს ყვავილები - ფრთხილად, სათუთად
გადაშლილან და დღეს ჩემს ლარნაკში
სულ ერთმანეთში გადახლართულან -
როგორც ფერადი ფოტო-აბებით
სავსე თვალები, სავსე ხელები;
როგორც ჩემი და შენი ამბები -
გამხელილი და გაუმხელელი.

### ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ

რაღაც გვამაგრებს ამ ადგილას მე და შენ, - ერთად, -
როცა გავრბივართ, მუხლებს გვიკვეთავს,
როცა გაფრენილ ჩიტებს გავყურებთ -
მკლავებს გვატკივებს.
გარშემო გვაკრავს ტყეების და მთების ბეჭედი,
ოკეანის ბეჭედი; ჩვენი ხელუკუღმა გადასროლილი
სავარცხელი, სიპი ქვა და სარკე -
უკან გაღწევას გვიშლის.
ზღაპრებიდან მდევარიც გაქრა.
რომ დავბრუნდეთ, შეიძლება ვეღარც კი გვიცნონ,
შეიძლება კიდეც მიგვიღონ, შეგვიყვარონ,
ჯვარიც დაგვწერონ;
მაგრამ ხომალდის აგებასაც ვერ ვასწრებთ, -
ისე სწრაფად იშლება.
ეს იქნება ბოლო ხომალდი.
მე ზურგს შეგაქცევ,
მთაზე დარგული ვენახისკენ გავეშურები.
თუ ამოხვალ, მნახავ - ფეხმორთხმულს,
ხელში - მტევანით, -
თითები რომ მარცვლებს აცლიან
და მარცვლები ბაგეს მიტკბობენ.
თუ დამიძახებ, -
ჩვეულებრივი თვალებიდან ამოგხედავ -
ჩვეულებრივად.

* * *

ცისგან გარიყულ ღმერთებს გაგონებს
ხალხი - ფერადი თმებით, ძონძებით;
სადაც გაყვები - ყველა ვაგონის
მინაში - ნაცნობ ღიმილს მოძებნი;
მიწისქვეშეთსაც ისე დატოვებ, -
როგორც ცისქვეშეთს - მათი სიზმრების;
იქაც დადგები ესკალატორზე.
და სადმე, - მზისკენ ამოიზრდები.

* * *

თითო ბარათი - ძვირფას მეგობრებს, -
სულ უფრო მშვიდი;
და ვისაც უფრო ქერა ვეგონე, -
ლამაზი შრიფტით
გადაბეჭდილი და მომღიმარე ლექსები - უხვად, -
ვიდრე სიტყვები, -
კანფეტებივით, -
სიტკბოსთვის უყვართ.

* * *

პოტენციური მწეველისათვის მარლბოროს ღერი
იგივეა, რაც ჩემთვის, ვთქვათ - თითო დეფისი, -
ლექსებისთვის თუკი მოვიცლი - კომპანიის ლამაზ ოფისში, -
ჩემი ფერადი ფლომასტერებით
და კაქტუსის ბურთებით სავსე
მაგიდასთან; ვიდრე თითები - კომპიუტერის
კლავიატურას სულ უფრო სწრაფად ეცვლებიან, -
შეკვეთისათვის, - მე რომელსაც ფირმის სახელით ვგზავნი;
(ფირმა ნამდვილად რისკავს))
მაიაკოვსკის პირში გაჩრილი სიგარა -
ჩემი ყველაზე უფრო თბილი გრძნობაა
მისი თამბაქოს ნარევის,
მისი კონტრაქტებისთვის, -
სიტყვა-სიტყვით რომ უნდა ვთარგმნო
და ჩემი სისხლის არც ერთი წვეთი, -
სტრიქონებს რომ ხასხასა წითელ
ყვავილებს უჩენს, - აქ არ მჭირდება.
გამოგზავნეთ ვინმე - ნამდვილი
პოეტის ხელით დატენილი ძველი ჩიბუხი -
გარანტია - კვამლის და ლექსის.

* * *

უცხო ცისქვეშეთს ნუ შეეჩვევი,
ძვირფასო, თვალი სივრცეს ადნება;
ცა ისე ლურჯი მოგეჩვენება,
რომ თითქოს - სულიც გალილავდება;
მერე კი - ღრუბლის წყალიც ჩაიქლის;
გადაგავიწყებს - რასაც ეძებდი;
სხვა თვითმკვლელობის ცოდვას ჩაიდენ;
სხვა სამოთხეში ალიკვეცები;
მოგენატრება ძველი ცარგვალი;
ბედი, რომელიც მისგან გელოდა;
და ბარათებიც - წრფელი - სხვაგვარად -
შენი პატარა საქართველოდან.

* * *

იგი, ვინც მიყვარს, -
ჰაერივით უჩინარია;
და თვალების დახუჭვასაც არა აქვს აზრი, -
ჰაერივით უჩინარია;
მე კი, - ვამბობ, რომ -
შემიძლია ავიცალო ქუთუთოები,
წამწამები, შუბლზე შეჭრილი თმა,
ნაქსოვი, ფერადი ქუდი -
ყინვისაგან რომ იფარავს
პაწია ყურებს, და ვარსკვლავებს -
თავის ქალაში;
ჩემი ლამაზი ბებიას ხელით
მოფერებულ შუბლსაც ვიცილებ,
და ღიმილსაც -
ლოყებზეც რომ ვარსკვლავებს აჩენს;
და შიშს, რომ - ვინც კი ძვირფასია, -
ერთხელაც რომ არ დაიფიცო, -
მაინც დაკარგავ;
რომ შეყვარებულს თუ გატანჯავ,
მერე - თვითონ გაიტანჯები;
და თვალების დახუჭვასაც არა აქვს აზრი -
ხილულ ქალაქში, სადაც ხილულ
ხეებსა და სახლებს, ხილულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეებსა და ნათურის ბურთებს -
ერთმანეთს ვუცვლი; სადაც
ხილულ საარჩევნო ბიულეტენზე
უხამსობას ვწერ;
ხილულ თვალებს ვუგზავნი
ბარათს;
ხილულ ყავის ფინჯანში
ქაფს ვუბერავ სულს -
შენს მხარეს, -
რომ პიჯაკზე გადმოგეღვაროს.

* * *

ამბობ, სამოთხის ამინდს აფუჭებს
ცრემლი; და ცრემლი - ლექსებად არ ღირს;
მაგრამ მომწყინდა ყველა ნაჭუჭი -
ასე უზადოდ კრიალა, საღი;
და მსურს -
ამ სიტყვებს უმზერდე უნდოდ
თან ისე, როგორც არასდროს - წინათ;
გულია იგი - რაც შიგნით ბუდობს
თუ - ეს გონება იწვის და ბრწყინავს?!

* * *

სამი კვირაა - ეს შავ-თეთრი
ფოტო დამაქვს
ჩანთით -
ეზოში, ვარდების ბუჩქთან
ჩემს ბებიას - ყვავილებს ვუწვდი;
ოთხი წლის ვარ;
მრგვლად შეჭრილი თმა მაქვს
და ბებოს რომ ვუყურებ, _
ისე ვუღიმი,
რომ ვიცი, რომ ძალიან მიყვარს.
ჩვენს უკან - სამი საფეხური მოჩანს -
სახლისკენ;
დანარჩენი უკვე - კადრში ველარ ეტევა;
დანარჩენი უკვე - ჩემი ოცდაორი წელიწადია
და ბებიას უებარი ხელი -
ჩემს შუბლზე;
და სურათი ფერებად დნება:
ყვავილები - წითელ-ყვითელი,
ხოლო კაბა - ბაცი ლურჯით მოჩითულია;
შენი ხელები - ზამთრისათვის
ჩემი დარგული ლეღვის ხიდან
ჩამოკრეფილ
ლეღვებს - კიდევ უფრო ატკბობენ;
ზაფხული თითქმის მიილია;
შემიძლია წარმოვიდგინო -
შენ და პაპა როგორ იხსენებთ
ჩემს ნაძვისხეებს;
სამოთხეში - ოქტომბრიდან - თოვა იწყება.

* * *

ბაბუაწვერას
ყვავილს და ფოთოლს
მე გადავულე შავ-თეთრი ფოტო,
რომ ჩემი სევდა - უხმოდ, უფეროდ
ვნახო და სული ვერ შევუბერო.

* * *

ნახერხის დათვი ტყეში წავიდა.
გაებუტა წითურთმიან გოგოს და ტყეში
გაპარა, ღამით, როცა ქალაქიდან
ტყე შავი ჩანდა; მუქი მწვანე
ნარგავებიდან მრგვალი ბუები
უყურებდნენ, მრგვალი თვალები
უბრწყინავდათ, ყვითლები და
საშიშები ჩანდნენ და დათვი
შეიყუჟა ხის ფუღუროში
და დილამდე არ გამოსულა.
თეთრმა კურდღელმა იფიქრა, რომ
დათვი წავიდა საკუჭნაოში
და ცელოფანის ცისფერ სპილოს
უთხრა, რომ ერთხელ იქნებოდა -
დათვს უსათუოდ იპოვნიდნენ -
დრუნჩჩაყოფილს თაფლის ქილაში.
პატარა გოგოს ეძინა და აღარ ახსოვდა
დედოფალა - ახალი და სამ ენაზე მოლაპარაკე;
ესიზმრებოდა, თითქოს დათვმა
ცას შეახო თავისი თათი,
ხოლო იმას - ვარსკვლავები არ დასცვენია;

* * *

თუმცა გამხელა არის გვიანი,
სიტყვა - ბაგესთან შეხამებულა;
შეშლილი რომ ვარ და ჟღალთმიანი, -
არ იცის ჩემმა შეყვარებულმა...
და მოლოდინით როცა შეჰყურებს
ბაგეს, - თუ ვიტყვი ასე, ნეტავი, -
ვიდრე ტერფებთან ლამაზ ბეღურებს
ჯერ კიდევ დარჩათ ასაკენკავი
შავი მარცვლები, - რასაც აკეთებს
ჩემი დუმილი, - ლურჯთან ნაზავი,
ზაფხულის ბაღის ძველი მაკეტი
და მზესუმზირა - უზარმაზარი.

* * *

წარმოიდგინე, -
როგორ წყნარად ვარ, -
ბალახის კვამლს ვაგზავნი ცაში
და თან ვფიქრობ -
ხვალ რა მოგწერო.

ზურგები - ერთად
და თვალები - სხვადასხვა მხარეს, -
ეს ლექსები ერთმანეთს გვანან.

არ გეკითხები, -
ლექსებისგან თავბრუ თუ გესხმის,
თუ - შენც ისა ხარ, -
ვისთვისაც ლექსი -
დღემდე ზედმეტი და საეჭვო
ბეჭედივით მიელავს ხელზე.

გადაშლილი მაქვს
წაუკითხავი წიგნი და მომწონს -
ტკბილი ანბანით გამოყვანილი
სიტყვები რომ შემომყურებენ

და დიდი დათვი -
ღამის ცაზე, -
როგორც ძველი ქაღალდის ფრანი, -
ძაფზე ასხმული ვარსკვლავებივით, -
თითებიდან, -
შენსკენ მოცურავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესო ხვედელიძე

# ერთნი



სანგარი. ისმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა. ექო. სიჩუმე.

პირველი (კვნესით): აააა... ვაი... მიშველეთ! არავინა ხართ?!

მეორე (კვნესით): აქ ვარ... აგერ... შენს გვერდით!

პირველი: სად აბა?

მეორე: გადარჩი?

პირველი: გადავრჩი?... კი... მე მგონი გადავრჩი, მაგრამ ველარაფერს ვხედავ!

მეორე: ჩემსკენ გადმოტრიალდი! ეს როგორ დაგსისხლიანებია თვალები... წურწურით მოგდის ყურებიდან, ცხვირიდან, პირიდანაც...

პირველი: რა?

მეორე: სისხლი.

პირველი: ვაიმე, ვკვდები!!

მეორე: დაწყნარდი. შენს თვალის გუგებს არაფერი შეხებია - ორივე მთელი გაქვს. ჩვენები რომ მოვლენ, ლაზარეთში გადაგიყვანენ. იქ მხედველობასაც ალგიდგენენ და ყველაფერს.

პირველი: მართლა? ძალიან ცუდად ვარ, ძალიან! საერთოდ ველარაფერს ვხედავ!

მეორე: გაუძელი. ჩვენების მოსვლამდე გაუძელი. გიმკურნალებენ და გიშველიან. უბრალოდ, შეიძლება, მერე სათვალის ტარება მოგიწიოს.

პირველი: ვაი, ჩემო უბედურო თავო! აქამდე ქალები ბუზებივით მეხვეოდნენ! აწი ვინლა მომეკარება? სათვალიანი ვისლა მოვეწონები?

მეორე: შენც მუქი შუშები ჩაისვი, ვითომ მზისაა.

პირველი: მუქი? ზამთარში რალა ვქნა?

მეორე: ჩვენსკენ ზამთარშიც იცის მზე.

პირველი: არა, არა! მე ვერაფრით ავიტან სხვის თვალში დამცირებულ საკუთარ თავს!! თან ეს ტკივილი! ისე მტკივა რომ... იქნებ მომკლა და გამისტუმრო!!

მეორე: ტკივილით მეც ბევრი რამე მტკივა, მაგრამ კბილს კბილზე ვაჭერ! უნდა მომბაძო. შენი სიკვდილი ჩემი ხელიდან არაფრით იქნება.

პირველი: აბა, ასეთი ვის დავენახო, ვის?!

მეორე: შენ მხედველობაზე დარდობ, აგერ მე კიდევ ხმას არ ვილებ, არადა აფეთქების დროს თავი... თავი კი არა, სხეული დავკარგე!

პირველი: რეებს ლაპარაკობ?! თავი თუ დაკარგე, როგორლა მელაპარაკები?

მეორე: თავი კი არა, სხეული-მეთქი. აფეთქების ეპიცენტრთან იმდენად ახლოს ვიყავი, რომ ტალლა შიგ კისერში მწვდა და თავი მომაგლიჯა... თავი კი არა, სხეული და აქეთ გადმომისროლა, შენს გვერდით. შენც დამიძახე. ჩემი სხეული კი, სადლაც, აქედან ძალიან იქით გდია... ალბათ უკვე უსიცოცხლო და გულგაჩერებული.

პირველი: მამხნევებ, არა? მეხუმრები. მაგრამ რა სახუმარო დრო ახლა გამონახე? კაცმა თვალისჩინი დავკარგე და სათვალიანად დარჩენა მემუქრება, ეს კიდევ მასხარაობის გუნებაზეა.

მეორე: დავიფიცებ ყველაფერს, რომ არ ვმასხარაობ! თუმცა ფიცი რა საჭიროა. ხელის მოძრაობა ხომ შეგიძლია? ისიც ხომ არ წაგართვა აფეთქებამ.

პირველი: არა, ხელი ორივე მთელი მაქვს!

მეორე: ხოდა მარჯვენა, ოდნავ მარჯვნივ გამოსწი... აი ეგრე... ეს ჩემი შუბლია. ახლა ქვემოთ ჩააცურე. მიხვდები, რომ მარტო თავია დარჩენილი ერთ დროს შენი სპორტული ალნაგობის მეგობრისგან, რომელზედაც შენზე არანაკლებ ირეოდნენ ქერათმიანი მოციგურავეები!

პირველი: ღმერთო ჩემო! შენ არ ხუმრობ?! ეს რა დაგმართნია?! მე კიდევ ხუმრობა მეგონა, ისე ბუნებრივად მამხნევებდი. კი მაგრამ, რა გეშველება?... ღმერთო, რა საზიზლარ და უადგილო კითხვებს ვსვამ! აწი რალა უნდა მოხდეს, იმაზე უარესი, რაც უკვე მოხდა? სხვები სად არიან?

მეორე: სხვები? როგორც ვხედავ და ვგრძნობ, ყველანი დაილუპნენ! მათგან საერთოდ ალარაფერია დარჩენილი! ირგვლივ სულ სისხლის გუბეები დგას და ხორცის ნაფლეთები ყრია. შენ გინდოდა ტკივილს სიკვდილით მორეოდი და მთხოვე - მომეკალი. როგორც ხვდები, მე არათუ შენი, აწი ერთი ჭუჭყიანი ბუზის მომკვლელიც კი ალარ ვარ! შენს ქამარზე ჩემი ნაჩუქარი რევოლვერი ჰკიდია. ჩემი თხოვნა იქნება, რახან ასეთ მდგომარეობაში ვარ, მოკიდო ხელი რევოლვერს და თანაგრძნობით გამიხვრიტო შუბლი.

პირველი: არა! არასდროს! ნუ მავალებ საშინელებას! მე რომ ოდესმე მაგის ჩამდენი ვყოფილიყავი, აქამდე ვიზამდი! ძალიან გთხოვ, კარგად გამიგე, მე ვერ გამოვკრავ ჩახმახს თითს! არც იქნება საჭირო. მალე ჩვენები მოვლენ! წაგვიყვანენ!

მეორე: ჩვენები ალარ მოვლენ.

პირველი: რას ქვია, ალარ მოვლენ?! მოვლენ და გაგვიყვანენ!

მეორე: მწარედ ცდები!

პირველი: მოვლენ, მოვლენ და მე ვეტყვი. შენს თავს სასწრაფოდ ლაზარეთში წაილებენ და შენს ნაპოვნ სხეულზე, ან სულაც, სხვა თავმოგლეჯილის სხეულზე მიაკერებენ!

მეორე: ეგრე მხოლოდ ზლაპრებში ხდება!

პირველი: მე სინათლეს დამიბრუნებენ! მუქ შუშებს ჩავისვამ! ზამთარშიც სათვალით ვივლი! შენთან ერთად! ჩვენ კიდევ ბევრჯერ წავალთ სტადიონზე მზესუმზირის საჭმელად...

მეორე: გახსოვს ბოლოს რომ ვიყავით?

პირველი: მახსოვს. შენ მსაჯს დედის რძე შეაგინე და მერე ძალლებს დავაყარეთ.

მეორე: კაი იყო.

პირველი: იყო კი არა, იქნება! ჩვენები მოვლენ! შენ თავს მიგაკერებენ, მე თვალის ჩინს ალმიდგენენ! ზლვაზეც წავალთ. ცურვაში ისევ მაჯობებ, სამაგიეროდ, მე უფრო დიდხანს ვყვინთავ.

მეორე: გახსოვს, ძლიერი ქარიშხალი რომ ამოვარდა? ჩვენი ლეიბი, გოგოებიანად შუა ზლვაში რომ წაილო?

პირველი: აგერ ნახავ, კიდევ თუ არ იქნება... თხილამურებზეც დავდგებით. თხილამურები ისევ შენ უნდა მათხოვო. ჩემი ხომ იცი, მოკლეა. ხან მე დავეშვები, ხან შენ.

მეორე: ბოლო დაშვებაზე შენ ფეხი მოგტყდა და მე მედპუნქტამდე ხელით გათრიე. მთელი კვირა წელი გაკავებული მქონდა...

პირველი: იქნება! კიდევ იქნება! აუცილებლად იქნება! რატომ არ გჯერა? ჩვენები ხომ მოვლენ?

მეორე: არავინაც ალარ მოვა. ყველაფერი პირთამდე მომსპარია და მე მგონი, ჩვენ ერთადერთნი ვართ, თუ ორად-ორნი გადარჩენილთაგან. ამიტომაც არ მოვა არავინ... თავს თვითონ თუ ვუშველით...

პირველი: ვილაცა ხომ მაინც გადარჩა ჩვენიანებიდან.

მეორე: არავინ! ეს ძალიან ძლიერი აფეთქება იყო. სიარული ხომ შეგიძლია?

პირველი: სიარული?

მეორე: წამოიწიე. ადე, ადე, გაუძელი!

პირველი: რა საშინელი ტკივილია...

მეორე: არ მიაქციო ყურადლება... ადე და იცი რა ქენი? ჩემი თავი აილე ხელში! აი ასე! მე ვხედავ გზას და თუ გასვლაა, ერთად გავალთ სამშვიდობოზე.

პირველი: ვერაფერს ვხედავ...

მეორე: პირდაპირ გადადგი ოთხი ნაბიჯი! ეგრე! ახლა მარცხნივ. ერთი, ორი, სამი, სტოპ! ფეხი არ დაადგა, აგერ ვილაცის მოგლეჯილი ბარძაყი გდია! ოდნავ მარჯვნივ და პირდაპირ, ოლონდ ჩემი თავი არ გაგივარდეს - ძალიან ცუდად გიჭირავს. წესიერად დამიჭირე! თითები კარგად შემომაჭირე! მარცხენა ხელიც მოახმარე! განვაგრძეთ გზა! პირდაპირ სამი მოკლე ნა-




ბიჯი და მერე მარცხნივ შეუხვიე. ფრთხილად, ამ მუცელგამოფატრულს არ დაადგა!

მიდიან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: აღარ მივედით?

ᲛᲔᲝᲠᲔ: წესით უკვე უნდა მივსულიყავით.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: იქნებ გზა აგვერია?

ᲛᲔᲝᲠᲔ: არა... აქაც გვამები ყრია. ვიდრე წარმომედგინა, იმაზე დიდი აფეთქება ყოფილა. წინ ოთხი ნაბიჯიც და მერე მარჯვნივ შევუხვიოთ. აგერ წყარო.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: დავიღალე და ყველაფერი მტკივა.

ᲛᲔᲝᲠᲔ: წყალი დავლიოთ. მეც დამალევინე. შევისვენოთ. ჭიქა აგერ დევს. მარჯვენა ხელი წინ გაიშვირე. ოდნავ მარცხნივ. ოოო, კარგია, ჩაბღუჯე. არ გაგივარდეს. ახლა დაიხარე. ჭიქიანი ხელი არსად გასწიო. ზუსტად შენს ქვეშ მილია, საიდანაც წყალი გადმოდის. აავსე, ცოტაც. მოსვი და მერე მეც მომასმევინე. პირი, ხომ ხვდები სადა მაქვს? აი ეგრე. გადააგდე ეგ ჭიქა. არა მგონია ვინმეს კიდევ გამოადგეს!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: ახლა საით? ღმერთო, რა საშინელებაა!!

ᲛᲔᲝᲠᲔ: ჩუ! არ გინდა ყვირილი! მაინც ვერავინ გაიგონებს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: კი მაგრამ, ნუთუ ყველაფერი აფეთქდა?

ᲛᲔᲝᲠᲔ: სულ ყველაფერი!

სიჩუმე.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: არა! ასე აღარ შეიძლება! არც შემიძლია! ამ ჩემს სიბრმავეს, საეჭვოდ აღდგენილ მხედველობას, საძაგელ სათვალეს, მირჩევნია საერთოდ არ მედგას ეგეთი თავი კისერზე!

ᲛᲔᲝᲠᲔ: რეებს ბოდავ?! მარჯვნივ გატრიალდი და წინ ექვსი ნაბიჯი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: მორჩა! მე ვიცი, რაც უნდა ჩავიდინო! არავითარი ჩვენები აღარ არსებობენ! აგერ, მოიცა, ჩემი პირბასრი სამართებელი უნდა მედოს ჯიბეში. ხომ აქაა? აქაა!

ᲛᲔᲝᲠᲔ: რაიმე სისულელე არ ჩაიდინო!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: მე ვიცი, რასაც ვიზამ!!

ᲛᲔᲝᲠᲔ: გაჩერდი...

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: იმას, რაც თავიდანვე უნდა ჩამედინა!

ᲛᲔᲝᲠᲔ: რეებს ბოდიალობ?!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: საერთოდ მოვიჭრი თავს და შენსას დავიდგამ მხრებზე!!!

ᲛᲔᲝᲠᲔ: რაა?!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: ჩვენ ხომ ბავშვობიდან ერთად მოვდიოდით აქამდე - ერთი სიყვარულით, ერთი გემოვნებით, ერთი მიხვრა-მოხვრით, ერთი თმის ვარცხნილობითა და ერთი სურვილებით.

ᲛᲔᲝᲠᲔ: არ ქნა!!! არაა...

ისმის სამართებლით კისრის ჭრისა და ხროტინის ხმები.

(ფარდა)

# ᲑᲝᲑ ᲛᲐᲠᲚᲔᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲭᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ

**მოქმედი პირები:**

**თვალებდახუჭული ბობ მარლეი - 30 წლის**

**ზიგგი მარლეი - 3 წლის**

* * *

- მე მოგიყვები ჩემო ზიგგი, თუ რას ფიქრობენ ავიასადგომზე უფერული სიამაყით მდგარი ცარიელი "ბოინგები", როდესაც წყნარ ოკეანეში, პირზე ქაფმომდგარი ციკლონები ერთმანეთს ბოლოს ჩაძირული სამგზავრო ავია-ლაინერის ამბავს უყვებიან.

- რას?

- ისინი ფიქრობენ ადგილებზე, სადაც არ მიდის ფაქსი, ტელექსი, წერილი და რადიოტალღა, რაც სულ არ ნიშნავს, რომ სადაც მიდის - იქ უფრო ინფორმირებულია ვინმე.

იქ თუ ცარიელ ჩემოდანზე ჩამოჯექი, გადაგაქანებს განზე იქაურების დარდი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ სავსეჩემოდნიანებს უდარდელად ცხოვრება არ შეუძლიათ.

იქ გემებს ნაპირი ენატრებათ, ქალებს კი - სიყვარული. მათი ქმრები ჟანგიანი სახნისით უფხანენ მიწას გულის ზედაპირს და შუბლმოჩრდილულები კითხულობენ კრიალა ცაზე თვითმფრინავის ორთქლად დატოვებულ ხვალინდელობის ამბავს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ დღევანდელი დღე ხვალინდელზე ფიქრისას მთავრდება.

იქ წესრიგის მკაცრ დამცველებს ჩვენებური ზებრას კუდები უპყრიათ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ რაც უფრო პატარა აქვს კუდი ცხოველს, მით უფრო მეტი აქვს საერთო ადამიანთან.

იქ უყვართ ძილი და ფხიზელზე - ფეხბურთი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანის ყველაზე სპორტული კიდური ფეხებია. მათ ნერვიულ მეკარეს კი, არასდროს გასდის ბურთი ფეხებს შორის.

- მოკლე ფეხები აქვს?

- მოკლე ფეხები იმ დიდ ტყუილს აქვს, რომ სიცოცხლის გარდა ყველაფერს შეიძლება მოშორდე, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ სიკვდილი ყოველთვის შორსაა.

- და გრძელი?

- გრძელია დღე ლენინგრადში და ღამე სახალინზე, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ნაკლებად შავ-თეთრია.

გრძელია ნილოსი, იანძი და მისისიპი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა მდინარის სასაფლაო ზღვა, ან ოკეანეა.

მოკლე კითხვები კი იძლევიან გრძელ პასუხებს და ყოველი გრძელპალტოიანი გრძელ კითხვებს სვამს მოკლე პასუხების გასაგონად, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ვინც სულ ჩუმადაა, მას ყველა კითხვაზე პასუხი უკვე გაცემული აქვს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ყანჩა წყალში ცალ ფეხზე დგას, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ორ ფეხზე დგომა უფრო ადვილია.

იმიტომ, რომ პატარა თევზს კუდიდან ზვიგენიც კი იშვიათად ჩაყლაპავს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ერები ასიმილაციის პირას არ დგანან.

იმიტომ, რომ ხანდახან პირი თუ ხმამაღლა იწყევლება, გული ჩუმად ლოცულობს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ უგულო ადამიანებს მიტევება არ შეუძლიათ.

- რას ლოცულობს?

- "კლდეში ბუდეაშენებულო არწივო, შენ აღარ ხარ ჩემი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ მე - მიწაზე მდგომი ვაპირებ სიკვდილს.

რიჟრაჟის ბრჭყვიალა, ლურჯო ლივლივო, შენ აღარ ხარ ჩემი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ მე ჩემს სულს მელნისფერ ცას აუცილებლად საღამოსკენ ვაჩუქებ.

ჩემი ხელებით დარგულო ვაშლის ხეო, შენ აღარ



# ჩემი დახუჭული თვალები

ხარ ჩემი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემს ქალიშვილს შენგან ვაშლის შეწყვეტა აღარ შეუძლია.

ასო ჭუჭული, ასო ქათამო, ასო მამალო,

ასო იხვო, ასო ბატო, ასო ძაღლო, ასო კატაო,

ასო ხარო, ასო ძროხა, ასო კამეჩო,

ასო ცხენო, ასო თხაო, ასო ღორო,

ასო ტყეო, ასო ტბაო, ასო მდინარევ,

ასო წამო, ასო დღეო, ასო ცხოვრებავ,

მე თქვენ გარიგებთ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ვისაც ყველაფერი მიეცემა, ის უქონელზე რამეთი მეტია - ასე თქვეს ზემოთ...

- სად ზემოთ?

- იქ, სადაც არ არსებობს გრძედი და განედი, არც პოლუსები, ეკვატორი და მერიდიანი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ წინ სიარულით უკან დატოვებულ ნაბიჯებს ველარ გამოასწორებ.

იქ არ არსებობს ფორმა და არსი, წონა და დაღლა, ხახუნი და მიზიდულობა, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ვინც ბევრს ჭამს, მას თავის ხელში აყვანა არ შეუძლია.

იქ მზეც კი ხანდახან მთვარეა, ვარსკვლავებს კი ნათება აღარ სჭირდებათ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ძილი დროის კარგვის გარდა ყველაფერია.

- კიდევ?

- კიდევ მე გეტყვი პატარა ზიგგი, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს, არ დაუგდებენ ყურს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ის თავის მოსვლამდეც აქ არ იყო.

- ვინ უნდა მოვიდეს?

- ვინც იტყვის, რომ არ გვინდა ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაები, თვითმფრინავები, გემები და ველოსიპედები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანებს შორის მანძილი აქამდე მხოლოდ სიგრძის ერთეულებით იზომებოდა.

იტყვის, არ გვინდა ციგები, თხილამურები და პარაშუტები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ აქამდე სიმაღლეზე ასულებს მხოლოდ დაბლობის დაპყრობა შეეძლოთ.

იტყვის, არ გვინდა დელტაპლანები, აეროპლანები და ბიპლანები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ აქამდე ფრთები მხოლოდ ფრინველებს ჰქონდათ.

იტყვის, არ გვინდა ტრაქტორისტობა, ტერორისტობა, აფერისტობა, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ აქამდე სწორად არავის უცხოვრია.

იტყვის, არ გვინდა ფული, არ გვინდა ჯიბე და სამოსი, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ვისაც აქამდე არ ჰქონდა, ის არაფრისმქონი იყო.

იტყვის - ყველას სჯობს, საღამოობით, ფეხშიშვლობისგან მოქანცულები, მოწყვეტით ჩავემხოთ სახლის ზღურბლზე მდგარ ბრეზენტის სავარძლებში და ერთად ვუცქიროთ მეწამულ ცაზე მზის გამოლევას, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ შემოდგომა სადმე მიდის დაზამთრებისას.

- რომელი მზის?

- მზე, რომელიც ყველა ნახატს, სადაც კი ფრინველიანი ცა ხატია, თავისი ჰყავს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ნახატს თავისი წელიწადის დრო აქვს.

მზე, რომელსაც უყურებ და შუბლზე ნაოჭები გიჩნდება, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ სიბერეს მხოლოდ სიბერეში თუ დაეწევი.

მზე, რომლისგანაც უდაბნოს ხვლიკებს ზურგი და ფეხები ეწვით, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ რაც ქვიშაა, ის მხოლოდ ქვიშად მიიქცევა.

მზე, რომელსაც ობობები და ღამურები მიტოვებული სახლის სხვენებში ემალებიან, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანებით სავსე სახლებში სინათლის მეტი არაფერია.

- რატომ ემალებიან?

- იმიტომ, რომ მზე ყველასთვის არ არის მზე, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ის ყველასთვის მხოლოდ სინათლეა.

- აბა ვინაა?

- ის, ვინც იცის, ვისთვის ანათოს და იცის რატომ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ შემთხვევითი დამთხვევები შემთხვევითია.

ის, ვინც გააშავა ზანგები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ შავი ფერი როდესმე თეთრზე მუქია.

ის, ვინც ამოაშრო ძველი მდინარეები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა მდინარის გადასალახად ხიდია საჭირო.

ის, ვინც ანტარქტიდაზე გადადენა თეთრი დათვები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ სიცივე სიცხეზე რამეთი ცივია.

ის, ვინც პირს გიშრობს და ტროპიკული ხილის წვენებს გასმევს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ წყურვილის მოკვლა უწყლოდ არ შეიძლება.

ის, ვინც ცისარტყელას პირადი პულვერიზატორით ღებავს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ფერადზე ფერადი ფერი არ არსებობს.

- რა ფრად ღებავს?

- წითლად, რადგან ამ ფერის ქუდი ახურავთ ბებიის მოსაკითხად ტყისკენ წასულ პატარა გოგონებს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ქუდის მოხდის თანხლებით სათქმელი გამარჯობა ვარცხნილობის რეკლამაა.

ყვითლად, რადგან ზღვის ტალღები ყვითელ სილაზე მორიდებულად შლიან ბავშვების თოთო ფეხისგულების ნაკვალევს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანების ასაკი გადადგმული ნაბიჯების ოდენობით არ განიზომება.

ლურჯად, რადგან ამ ფერის შარვლებს ტოვებენ ნაპირზე, ზღვაში საცურაოდ შესული ახალგაზრდები, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ შენ საკუთარ თავს დღის ბოლოს ამთავრებ და დილით თავიდან იწყებ.

მწვანედ, რადგან ლიმონათის ბოთლის ნამსხვრევში დანახული ცხოვრება მხოლოდ ბავშვობისას არსებობს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ მზის სათვალე ადამიანის მეგობარია.

ნარინჯისფრად, რადგან თბილ ქვეყნებში მოსავალს წელიწადში სამჯერ იღებენ, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ უნაყოფო ხეების ჩრდილში მზეს უფრო კარგად დაემალები.

თეთრად, რადგან ყველაფერი შავად დასაწერი, თეთრზე იწერება, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ წყლით სიმართლე არ იწერება.

- და ახლა რატომ არ არის ცისარტყელა ცაზე?

- იმიტომ, რომ ის ახლა ჩემს დახუჭულ თვალებშია, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ მე მხოლოდ აქა ვარ.

- კიდევ?..

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტრიდ ლინდგრენი

# კენჭი



მგონი დროა, ამ ათასწლიანი განუწყვეტელი ომების შემდეგ, გავარკვიოთ, რაიმე კონსტრუქციული დეფექტი ხომ არა აქვს ადამიანთა მთელ მოდგმას, - ჩვენ ხომ ერთთავად ძალადობას მივმართავთ. ნუთუ საკუთარი აგრესიულობის მსხვერპლად უნდა ვიქცეთ? ჩვენ ყველას გვინდა მშვიდობა. სანამ ძალიან დაგვიანებულა, ნუთუ არაფრის შეცვლა არ შეიძლება? უარი ვერ უნდა ვთქვათ ძალმომრეობაზე? სხვა ჭკუაზე ვერ უნდა დავდგეთ? მაგრამ ახლა როგორ მოვიქცეთ, როგორ და საიდან დავიწყოთ?

მე მგონია, რომ სულ თავიდან - ბავშვებით უნდა დავიწყოთ. მშვიდობის პრემია თქვენ საბავშვო მწერალს მიანიჭეთ; სულ ტყუილად ელით ჩემგან გლობალური პოლიტიკის მიმოხილვას ან წინადადებებს საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად. მე მინდა ბავშვებზე ვილაპარაკო - რაც მათ გამო მაღელვებს და იმაზეც, რითაც მეიმედებიან. ერთხელაც იქნება, დღევანდელი ბავშვები ქვეყნის სადავეებს აიღებენ ხელში - თუ იმ დროისთვის ამ სამყაროსგან რამელა დარჩება და ისინი გადაწყვეტენ - ომი იყოს თუ მშვიდობა, ისეთი საზოგადოება იგუონ, სადაც ძალადობა და თვითნებობა მეფობს, თუ ისეთი - სადაც ხალხი მშვიდობიანად და შეთანხმებულად ცხოვრობს. ან საერთოდაც, შეიძლება კი, იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი შეძლებენ უფრო სრულყოფილი სამყაროს შექმნას, ვიდრე ჩვენ გამოგვივიდა? არადა, ერთთავად კეთილი განზრახვის მიუხედავად, რატომ უნდა გამოსულიყო ის ასე უხეირო?

კარგად მახსოვს, თავზარი დამეცა, როდესაც ძალიან ადრეულ ასაკში, მოულოდნელად გავაცნობიერე, რომ ისინი, ვინც მართავენ ქვეყნებს და წყვეტენ მსოფლიოს ბედს, სულაც არ არიან უმაღლესი გონითა და წინასწარმეტყველური უნარით დაჯილდოებული ღვთაებრივი არსებანი. ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, თავიანთი ადამიანური სისუსტეებით, როგორიც მე. მაგრამ მათ ძალაუფლება ჰქონდათ, შეეძლოთ, ნებისმიერ მომენტში აჰყოლოდნენ რაღაც შინაგან იმპულსებს და მიეღოთ ყველაზე საბედისწერო გადაწყვეტილება. თუ ბოროტების ჩადენა მოუნდებოდათ - ომს ატეხდნენ - ომს, ხელისუფლების მისწრაფების, დაუოკებელი სურვილების, პატივმოყვარეობის ანდა გაუმაძღრობის გამო...

რამდენმა ბავშვმა მიიღო ძალადობის პირველი გაკვეთილები "მათგან, ვინც უყვარდათ", - საკუთარი მშობლებისგან - და შემდეგ ეს "სიბრძნე" წაიღეს შორს, თაობიდან თაობისთვის გადასაცემად. ბავშვს როზგის გარეშე აღზრდა აფუჭებს, - ნათქვამია ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში. ბევრ მშობელს დღემდე ბრმად სჯერა ამის. ისინი ბეჯითად იქნევდნენ როზგებს და ამას მშობლის სიყვარულს ეძახდნენ. მაგრამ ქვეყნიერებაზე მართლა რამდენი "გაფუჭებული ბავშვია" - ტირანები, დიქტატორები, მჩაგვრელები, ჯალათები. გამოსაკვლევია, როგორი ბავშვობა ჰქონდათ მათ. მე ვფიქრობ, თითქმის ყველა მათგანის ზურგს უკან დესპოტი მამა ან სხვა აღმზრდელი დგას წკეპლით, ან მათრახით ხელში.

წიგნებში, სადაც საკუთარი ბავშვობა ყველაზე მუქ ფერებში მაქვს აღწერილი, ხშირად ფიგურირებენ ისეთი შინაური ტირანები, რომლებიც ბავშვებს შიშსა და მორჩილებას ჩააგონებდნენ, დიდი თუ მცირე ხარისხით ანგრევდნენ მათ ცხოვრებას. საბედნიეროდ, ეს არ არის აღმზრდელის ერთადერთი ტიპი: ყველა დროში არსებობდნენ მოსიყვარულე მშობლები, რომლებიც შვილებს ძალადობის გარეშე ზრდიდნენ. მაგრამ მხოლოდ ჩვენს საუკუნეში აქციეს მშობლებმა ბავშვები თავიანთ თანასწორებად, მათ სასარგებლოდ აღიარეს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ოჯახური დემოკრატიის პირობებში.



როგორ არ მივეცეთ სასოწარკვეთას, როდესაც კვლავ გაისმა მოწოდებები - წინანდელი ავტორიტარულობის დასაბრუნებლად! ახლა ასე ხდება დედამიწის მრავალ კუთხეში. ბევრი ოცნებობს "მაგარ ხელსა" და "მკაცრ მოპყრობაზე", მიაჩნიათ, რომ ეს დაეხმარება ახალგაზრდობას, თავიდან აიცილოს ცუდი ჩვევები, ვითომ ზედმეტი თავისუფლებითა და არასაკმარისად მკაცრი აღზრდით რომ შეუძენიათ.

"მკაცრმა მოპყრობამ" შეიძლება მართლაც მოგვცა რაღაც გარეგნული ეფექტი, რაც მისმა მომხრეებმა მნიშვნელოვან გაუმჯობესებად ჩათვალეს, თუმცა, დღითიდღე სრულიად ნათელი ხდება, რომ ძალადობა წარმოშობს მხოლოდ ახალ ძალადობას - ასე იყო ყოველთვის.

ბევრი მშობელი სერიოზულადაა შეშფოთებული ამ ახალი განწყობილებებით და სვამენ კითხვას - სწორად იქცევიან თუ არა ისინი. იქნებ ანტიავტორიტარული აღზრდა სისულელეა? სისულელე მართლა შეიძლება იყოს, თუ მას არასწორად გავიგებთ. ანტიავტორიტარული აღზრდა სულაც არ ნიშნავს, ბავშვი თავის ნებაზე მივუშვათ და ის აკეთოს, რაც მოესურვება; სულაც არ გულისხმობს, რომ ბავშვები გაიზარდონ ჩარჩოებისა და ნორმების გარეშე - სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და, ეს არც ბავშვებს სწადიათ. დიდსაც და პატარასაც გარკვეული შეზღუდვა სჭირდება, კიდევ ურთიერთპატივისცემა - აი, რას ვუსურვებ ყველას.

მათ, ვისაც ჰგონია, რომ "მკაცრი მოპყრობა" აუცილებელია ბავშვისათვის, პატარა ისტორია მინდა მოვუყვე, რომელიც ერთი ხანდაზმული ქალბატონისგან მოვისმინე: ამ ქალბატონის ახალგაზრდობაში, ხალხი



ეროვნული ბიბლიოთეკა




▶ ფიქრობდა, რომ როზგების გარეშე კარგ ადამიანს ვერ გაზრდიდი. მართალია, თვითონ მას, "დამწყებ" დედას ნაკლებად სჯეროდა ამის, მაგრამ ერთხელ, ბავშვმა გააბრაზა და დედას მოეჩვენა, რომ ბიჭი კარგი გაწკეპვლის ღირსი იყო. მან უბრძანა ბავშვს, წასულიყო და თავად მოეტანა მათრახი. ბიჭი წავიდა და დიდხანს აღარ დაბრუნებულა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა აცრემლებული და თქვა: "დედა, როზგი ვერ ვიპოვე და აჰა, ქვა მესროლე"-ო. მაშინ დედაც ატირდა, რადგან უცებ, ბავშვის თვალებში ამოიკითხა: "დედას თუ უნდა, რამე მატკინოს, ამისთვის ქვაც გამოადგება"-ო.

ამ ამბის შემდეგ მან ქვა სამზარეულოს თაროზე დადო, რათა ყოველთვის გახსენებოდა პირობა, რომელიც მაშინ მისცა საკუთარ თავს - უარი ყოველგვარ ძალადობას!

მაგრამ თუ ჩვენ ბავშვებს აღვზრდით ძალმომრეობისა და "მკაცრი მოპყრობის" გარეშე, გავზრდით კი ადამიანის ახალ ტიპს, რომელიც მუდმივად მშვიდობიანად იცხოვრებს?

მხოლოდ საბავშვო მწერალი ქალი შეიძლება იყოს ასეთი გულუბრყვილო! მე ვიცი, რომ ეს უტოპიაა, რადგან იმისათვის, რათა ჩვენს საბრალო, ავადმყოფ სამყაროში, მარადიული მშვიდობა სუფევდეს, უამრავი რამის შეცვლაა საჭირო. ახლაც კი, როდესაც არ არის ომი, ჩვენს ირგვლივ იმდენი სისასტიკე და ძალადობაა, რომ რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია, არაფერი იცოდნენ ბავშვებმა ამის შესახებ. მათ ესმით, კითხულობენ ყოველდღიურად და, ბოლოს და ბოლოს, ეჩვევიან იმ აზრს, რომ ძალადობა - ბუნებრივი რამაა. ნუთუ არა ვართ ვალდებულები, თუნდაც საკუთარ სახლებში, საკუთარი მაგალითით ვაჩვენოთ მათ, რომ არსებობის სხვა წესიც მოიძებნება? არ იქნებოდა ურიგო, ყველა ჩვენგანს დაედო სამზარეულოს თაროზე პატარა კენჭი, რომელიც ბავშვებსაც და ჩვენც, მუდმივად შეგვახსენებდა - არავითარი ძალადობა!

# რისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები

## ჰანს ქრისტიან ანდერსენის საერთაშორისო ოქროს მედლის გადაცემისას წარმოთქმული სიტყვა

უცნაურია, მაგრამ ამ სადღესასწაულო მომენტის დადგომას ჩემი ბავშვობის დროინდელ მაწანწალებს უნდა ვუმადლოდე; მაწანწალებს, რომლებიც საღამოობით კარზე გვიკაკუნებდნენ ხოლმე და გვეკითხებოდნენ:

- შეიძლება თქვენს ბოსელში ღამის გათევა?

ბავშვები სამზარეულოში ვისხედით და დაჭყეტილი თვალებით შევყურებდით ამ უცნაურ ხალხს - მაწანწალებში რაღაც ზღაპრულს ვხედავდით. განსაკუთრებით საინტერესოდ და უცნაურად ის გვეჩვენებოდა, რომ ქვეყნიერებაზე არის ხალხი, რომელსაც არა აქვს სახლი და სოფლის შარაგზებზე დაეხეტება. ჩვენ გლეხის შვილები ვიყავით და ამის გაგება არ შეგვეძლო. ბევრი მაწანწალა მეგობრული, მოლაყბე და კეთილი იყო - ზუსტად ისეთი, როგორც ოსკარია ჩემი წიგნიდან. ისინი ათას რამეს ყვებოდნენ და ძალიან მომწონდნენ.

როდესაც ჩემი ბავშვობის წლებს ვიხსენებ, მგონია, რომ მას შემდეგ ასმა წელიწადმა მაინც განვლო - ისე შეიცვალა სამყარო. მე დაბადება მოვახერხე სწორედ იმ საუკუნის ბოლოს, რომელსაც "ცხენების საუკუნეს" ეძახიან.

ათეული წლებით გვიან რომ გავჩენილიყავი, ვერასოდეს დავწერდი ამ წიგნს, ვერაფერს შევიტყობდი იმ ისტორიამდელ ეპოქაზე, როდესაც შარაგზებზე მაწანწალები დაეხეტებოდნენ და ხალხი მანქანებით კი არა, ცხენებშებმული ოთხთვალებით დადიოდა.

რა სჯობდა ბავშვისთვის "ცხენების საუკუნეში" ცხოვრებას; ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბავშვობა შეიძლება ბედნიერად ჩაითვალოს. როდესაც "მაწანწალა რასმუსს" ვწერდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დაკარგულ სამოთხეში დავბრუნდი. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს ქვეყანა სამოთხე იყო მაწანწალა ოსკარისთვისაც, ანდა ობოლი რასმუსისთვის. ეს ჩემთვის იყო სამოთხე.

მშვენიერია ხელმეორედ დაბრუნება სამოთხეში, როდესაც წიგნს წერ; მშვენიერია, როდესაც ისევ ბავშვად გადაიქცევი.

ვფიქრობ, ასე უნდა იყოს ყველა, ვინც ბავშვებისთვის წერს. არ შეიძლება, მხოლოდ დაჯდომა და რაღაც ისტორიების შეთხზვა. საკუთარ ბავშვობაში უნდა ჩაყურყუმელავდე, გაიხსენო მაშინდელი გარემომცველი სამყარო და მისი სურნელი, გაიხსენო, როგორ გაცმევდნენ და როგორ გრძნობდი თავს ამ ტანსაცმელში გამოწყობილი, რაზე გეცინებოდა და რაზე ტიროდი.

- "უფროსებისთვის" თუ შეგიძლიათ წიგნის დაწერა? - მეკითხებიან ხოლმე.

ასე მეკითხებიან, გულში კი ფიქრობენ: მაგან უკვე იმდენი საბავშვო წიგნი დაწერა, დროა, რაიმე უფრო ღირებულს მოჰკიდოს ხელიო. არა! მე არ მინდა "უფროსებისთვის" წერა! მე მინდა ვწერო ისეთი მკითხველებისთვის, რომელთაც სასწაულების მოხდენა შეუძლიათ. სასწაულებს კი მაშინ ახდენენ ბავშვები, როდესაც წიგნებს კითხულობენ. ისინი ახალისებენ უფერულ აზრებს, სიტყვებს და ბრწყინვალებას მატებენ ჩვენს ნაწარმოებებს. მწერალს არ შეუძლია მარტომ შექმნას მთელი ის იდუმალება, რასაც წიგნი იტევს. მას მკითხველები ეხმარებიან. მაგრამ "უფროსების" მწერალს ამ საქმეში არ ჰყავს ისეთი შესანიშნავი დამხმარეები, როგორც ჩვენ. მისი მკითხველები არ ახდენენ სასწაულებს. მხოლოდ ბავშვის ფანტაზიას ძალუძს ზღაპრული ციხე-დარბაზების აგება. ბავშვის ფანტაზია სჭირდება წიგნს, მაგრამ უფრო მეტად სჭირდება იმ წიგნს, რომელიც მას ცხოვრებაში და გაზრდაში ეხმარება.

წიგნს ვერაფრით შეცვლი. წიგნი ფრთებს ასხამს ფანტაზიას. თანამედროვე ბავშვები უყურებენ კინოფილმებს, ტელევიზორს, უსმენენ რადიოს, კითხულობენ ილუსტრირებულ ჟურნალებს - კი, ეს ყველაფერი შეიძლება საინტერესოა, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ფანტაზიასთან. წიგნთან პირისპირ დარჩენილი ბავშვი კი, თავისი უმანკო სულის სიღრმეში ქმნის საკუთარ ნათელ, წარუშლელ სახეებს.

ბავშვური ფანტაზია დაუშრეტელია, მის გარეშე კაცობრიობა გაღატაკდებოდა. ყველაფერი დიდებული, რაც კი ოდესმე სამყაროში აღსრულებულა, თავდაპირველად ადამიანის წარმოსახვაში დაბადებულა. ხვალინდელი სამყაროს ბედი ბევრადაა დამოკიდებული დღევანდელ პატარებზე, მათზე, ვინც სწორედ ახლა სწავლობს კითხვას.

აი, ამისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები.

თარგმნა ირმა არჩუაშვილმა

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეთნე ხუნრიზისა და უფლისწულ ებრაჰიმის ზღაპარი

ძველ დროში ერთი მორჭმული და ძლევამოსილი ხელმწიფე ცხოვრობდა. მრავალი ცოლი შეირთო, მემკვიდრე კი ვერცერთმა მათგანმა ვერ აღირსა. ბერდებოდა ხელმწიფე და წლებთან ერთად მატულობდა მისი სადარდელი. ერთ დღესაც ჩაიხედა სარკეში და დაინახა, რომ თმა მთლიანად გასთეთრებოდა, სახე კი ერთიანად ნაოჭებს დაეფარათ. მწარედ ამოიოხრა და ასე უთხრა გვერდით მდგომ ვეზირსა:

- ჩემო ჭკვიანო და ერთგულო ვეზირო, ჩემი ცხოვრება, სადაცაა, უნდა ჩამოთავდეს; შვილი კი არა მყავს, რომ ტახტისა და ხელმწიფობის მემკვიდრედ დავიგულო. აღარ ვიცი, რა ვიღონო, როგორ მოვიქცეო.

ვეზირმა უთხრა:

- ო, სამყაროს ყიბლავ,* მე ერთი უბიწო ქალიშვილი მყავს, რომელსაც დღემდე მამაკაცი თვალით არ უნახავს. თუ გინდა, ცოლად მოგგვრი; შენ კი ღვთისნიერად იცხოვრე, - ღარიბთ შეეწიე, ობლები განიკითხე, რათა ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგხედოთ და ტახტისა და ხელმწიფობის მემკვიდრე გიბოძოთო. ფადეშაჰი,* მართლაც, ისე მოიქცა, როგორც თავისმა ერთგულმა და გამჭრიახმა ვეზირმა დაარიგა. ცხრა თვისა და ცხრა დღის მერე კი ყოვლადძლიერმა უფალმა ვაჟიშვილი უწყალობა, რომელსაც შაჰზადე* ებრაჰიმი დაარქვეს. მეფისწული ექვსი წლისა რომ გახდა, სხვადასხვა მეცნიერების შესასწავლად სკოლაში გააგზავნეს, შემდეგ ჯირითსა და მშვილდოსნობაშიც გაწაფეს და ასე თანდათანობით, სვებედნიერი სიჭაბუკის ჟამმაც მოუწია.

ერთ დღეს შაჰზადე ებრაჰიმი ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა:

- მარტოდმარტო სანადიროდ წასვლა მწადიაო.

ხელმწიფე თავდაპირველად უარზე დადგა, მაგრამ უფლისწული რომ აღარ მოეშვა, ბოლოს დაჰყაბულდა და შაჰზადე ებრაჰიმი, მართლაც, სრულიად მარტო წავიდა სანადიროდ. იარა, იარა, მთა-ბარი გადაიარა და ბოლოს ერთი გამოქვაბულის კარებთან მივიდა. ხედავს - ზღურბლთან ერთი მოხუცი კაცი ჩამომჯდარა, ხელში ვიღაც ქალის სურათი უჭირავს, უყურებს და თვალებიდან სულ ცრემლები სცვივა ღაპაღუპით.

შაჰზადე ებრაჰიმი მივიდა მოხუცთან და ჰკითხა: - ბერიკაცო, ან ეგ ვისი სურათია ან შენ ასე მწარედ რატომ ტირიხარო?

მოხუცმა უთხრა -

ღვთის გულისათვის, თუ კაცი ხარ, თავი დამანებე. ჩემი დარდი მაქვს, ვერაფრით შემეწევი და ის მაინც მაცალე, რომ ტირილით გულით მოვიოხო.

შაჰზადე ებრაჰიმმა უთხრა: -

გაფიცებ ყოველივეს, რასაც კი თაყვანსა სცემ, ნურაფერს დამიმალავ; მითხარი, რა გიჭირს, ეგებ, შენი სნების წამალი მოვძებნოთო.

მოხუცმა უთხრა:

რახან დამაფიცე, გეტყვი და რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე. ეს სურათი მშვენიერი ფეთნე ხუნრიზის სურათია. მთელი ქვეყანა მასზე უიმედოდაა გამიჯნურებული, მას კი ქმრის გაგონებაც არ უნდა და ვინაც ხელის სათხოვნელად მივიდა, ყველა საშინელი სიკვდილით დასაჯაო.

შაჰზადე ებრაჰიმმა სურათი ახლოდან შეათვალიერა და ფეთნე ხუნრიზი ერთი გულით კი არა, ასი ათასი გულით შეუყვარდა. მთელი ქვეყნის დარდითა და ნაღველით სულდამძიმებული დაბრუნდა შინ. არავისთვის არაფერი უთქვამს, შეკრა სამგზავრო ბარგიბარხანა და თავისი უცნაური მიჯნურის მოსაძებნად გაეშურა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩინისა და ჰირანის ქვეყანას მიაღწია. საღამო ხანს ერთი ქალაქის მოედანზე ჩამოჯდა, რომ მუხლიდან ქარი ამოელო და მგზავრობით დაღლილს ცოტა დაესვენა. ამ დროს გვერდით ერთმა დედაბერმა ჩაუარა, უფლისწულმა იფიქრა - კარგი იქნება, ამ დედაბერს გამოველაპარაკო: ის თავისას მეტყვის, მე ჩემსას და გულიდან ჯავრი გადამეყრებაო. მართლაც, მიესალმა მოხუცს და იმანაც სალამზე სალმით უპასუხა, თანაც ჰკითხა - ვინა ხარ, შვილო, საიდან მოდიხარო?

შაჰზადე ებრაჰიმმა უთხრა:

- უცხოელი ვარ, დედი! თქვენს ქალაქში მოვხვდი. სადაცაა დაღამდება, მე კი ღამის გასათევი ადგილი არა მაქვსო.




დედაბერმა უთხრა:

- თუ გვიკადრებ, ჩემს ღარიბულ სახლში წამობრძანდი. ბვრი არაფერი მაბადია, მაგრამ რაცა მაქვს, ყველაფერი შენი თავის სანაცვლოდ მეგულვისო.

შაჰზადე ებრაჰიმმა ღმერთს მადლობა შესწირა, წამოდგა და წავიდნენ დედაბრის სახლისაკენ. უფლისწულმა ცოტა რომ დაისვენა, ისევ თავისი დარდი გაახსენდა. ამოიოხრა და თვალიდან მდუღარე ცრემლები წამოსცვივდა.

დედაბერმა ჰკითხა:

- რა გატირებსო?

უფლისწულმა უთხრა:

- აგრემც გენაცვლები, დედი! უფლის მადლმა, ძალიან გთხოვ, თავი დამანებე!

დედაბერი აღარ მოეშვა:

- როგორცა ჩანს, წუთისოფლის დარდს შენი მოთმინების ფიალა აუვსია. მითხარი, რა გიჭირს. ეგების, შენს სატკივარს შვებისა და განკურნების სალბუნად დავეფინო.

შაჰზადე ებრაჰიმმა უთხრა:

- ღმერთმა ხომ იცის და, აბა, შენაც რაღად დაგიმალო?! - ერთ დღეს ერთი ბერიკაცის ხელში ფეთნე ხუნრიზის სურათი დავინახე. მას შემდეგ მოსვენება დავკარგე და მთელი ქვეყანა ჩალის ფასად მიღირს, ვიდრე ამ მშვენიერ ასულს არ ვიპოვნიო.

დედაბერმა უთხრა:

- ჭაბუკო, გირჩევნია, საკუთარი სიყმე შეიბრალო! განა არ იცი, ვინც კი ფეთნე ხუნრიზთან ხელის სათხოვნელად მივიდა, ყველას უმოწყალოდ თავი წააცალა.

უფლისწულმა უთხრა:

- ეგ ყველაფერი მე თვითონაც მშვენივრად ვიცი; მაგრამ თავის გადარჩენაზე მაშინ ვიფიქრებდი, ამ ქვეყანაზე სიყვარული რომ არ ყოფილიყო. ახლა კი მაინც ვილუპები და რა აზრი აქვს - გინდ, ფეთნე ხუნრიზის დარდს მოვუკლივარ და გინდა, თვითონ ფეთნე ხუნრიზსაო. - ესა თქვა, მერე ჯიბიდან ერთი მუჭა თვალმარგალიტი ამოიღო და დედაბერს ძველმანების კალთაში ჩაუყარა. დედაბერმა თვალმარგალიტი რომ დაინახა, იფიქრა - ეს ჭაბუკი, ალბათ, რომელიმე ხელმწიფის შვილია. მეაფსუსება მისი სიჭაბუკე. მეშინია, თავს რაიმე ფარსაგი აუტეხოს. ეგებ, რაღაცა მოვიფიქრო და ისე მოვახერხო, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდესო - მერე შაჰზადე ებრაჰიმს მიუბრუნდა და უთხრა: - ამაღამ დავიძინოთ. ხვალამდე ღმერთმა თავისი წყალობა და სიკეთე არ მოგვაკლოს. ხვალ კი ვნახოთ, ეგებ რამე გამომივიდესო.



მეორე დილით დედაბერი წამოდგა, აიღო რამდენიმე ბეჭედი და კრიალოსანი, შემოიხვია ყელზე ჭრელაჭრულა ძძივები, დაიჭირა ყავარჯენი და ამგვარად მორთულ-მოკაზმული, ფეთნე ხუნრიზის სახლისკენ გაეშურა. მივიდა იმის სასახლესთან და კარზე დააკაკუნა. ფეთნე ხუნრიზმა კარის გასაღებად ერთი თავისი მხევალი გაგზავნა. მხევალი დაბრუნდა და უთხრა - კართან ვიღაც დედაბერი დგას და ასე ამბობს - ფეთნე ხუნრიზის ნახვა მწადიაო.

ქალმა უთხრა - შემოუშვით, ერთი ვნახოთ, რა საქმე აქვს, რატომ გვაწუხებსო?

მივიდა მხევალი, დედაბერს კარი გაუღო, გაუძღვა და ფეთნე ხუნრიზის ტახტთან მიიყვანა. დედაბერი მიესალმა დამხვდურთ, ჩამოჯდა და ფეთნე ხუნრიზი დაკვირვებით შეათვალიერა.

ქალმა ჰკითხა:

- დედაბერო, საიდან მოდიხარო?

დედაბერმა უპასუხა:

ქერბელაში* გახლდით წმინდა ადგილების მოსალოცად. გზა ამებნა და ბილიკმა თქვენი სასახლის ჭიშკართან მომიყვანაო. - ერთი სიტყვით, მოხუცმა ენაპირი ისე დაიშაქრა, რომ სიტყვიერების ამოუწყავ საუნჯედ გადაიქცა. საუბრისას კი, ვითომ სხვათაშორის, ჰკითხა ფეთნე ხუნრიზს: - ასეთი მშვენიერი, გამჭრიახი და ლამაზი ქალი რომ ხარ, ერთი მითხარი, ამდენი ხანი, რად არ გათხოვდიო? - ამის თქმა იყო და, ფეთნე ხუნრიზმა ისეთი ალიყური აჭამა, რომ საბრალო მოხუცს თვალებიდან ცეცხლი წამოსცვივდა.

ცოტა ხნის შემდეგ, ქალს შეებრალა დედაბერი და უთხრა:

- დედილო, ამ საქმეში განგების იდუმალი ხელი ურევია. ერთ ღამეს სიზმარი ვნახე, ვითომ ფურირემი ვიყავ, იალაღზე გამოსული, ცვრიანი ბალახით პირს ვიტკბარუნებდი. სად იყო და სად არა, მოვიდა ერთი ლამაზი ხარირემი, დამიმეგობრდა და ამის შემდეგ საძოვარზე ერთად დავდიოდით. ერთ დღეს ხარირემს ფეხი თაგვის სოროში ჩაუვარდა. ბევრი ეცადა, მაგრამ თავის დახსნა ვერაფრით მოახერხა. წავედი, ერთი ფარსახი* მანძილი გავიარე, პირით წყალი მოვიტანე და სოროში ჩავასხი, რომ ჩემს მეგობარს შესძლებოდა, ფეხი ამოეძრო. გათავისუფლდა და გზა ორივემ ერთად გავაგრძელეთ. ვიარეთ, ვიარეთ და ახლა მე ჩამივარდა ფეხი იმ სოროში. ჩემი მიჯნური წყლის მოსატანად წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ამასობაში გამომეღვიძა. მაშინ დავიფიცე - არასოდეს გავთხოვილიყავი და ყველა კაცი მომეკლა, ვინც კი ჩემთან ხელის სათხოვნელად მოსვლას გაბედავდა, რადგანაც მივხვდი, ყველა კაცი პირუმტკიცი და მოღალატეა - არც ადამიანის გატანა შეუძლიათ და არც ნამდვილი, დიდი სიყვარული. - დედაბერმა ეს ამბავი რომ მოისმინა, წამოდგა და საჩქაროდ ისევ შინისკენ გაეშურა; მივიდა და შაჰზადე ებრაჰიმს მოახსენა: - ჭაბუკო, ნურაფერზე ინაღვლებ, ქალის ამბავი შევიტყვე და ახლა უკვე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ ამდენი ხნის საწადელს ეწიოო, - უთხრა უფლისწულს და ყველაფერი, რაც ქალისგან მოისმინა, დაწვრილებით უამბო. - უფლისწულმა ჰკითხა: - ახლა რას მირჩევ, როგორღა მოვიქცეო?

დედაბერმა უთხრა:

- უეჭველად ერთი აბანო ააშენებინე. გასახდელში სამი სურათი მოახატვინე. პირველ სურათზე დედალ-მამალი ირემი ერთმანეთის გვერდიგვერდ დახატონ; მეორე სურათზე ხარირემის ფეხი თაგვის სოროში ჰქონდეს ჩავარდნილი, ფური პირით წყალს ასხამდეს სოროს, მისმა მიჯნურმა ტყვეობას რომ თავი დააღწიოს. მესამე სურათზე კი ფურირემი იყოს სოროში ჩავარდნილი, წყლის მოსატანად წასული ხარლაღი კი შორიახლოს ეგდოს - მონადირის ისრით განგმირულიო.

შაჰზადე ებრაჰიმი, მართლაც, ისე მოიქცა, როგორც იმ ცბიერმა და გამჭრიახმა ბებერმა დაარიგა. ააშენებინა აბანო და გასახდელის კედლებზე სამი სურათი ამოაგვირისტა. რამდენიმე დღეში მთელი ჩინის ქვეყანა ალაპარაკდა, - ირანიდან კაცი ჩამოსულა და ისეთი აბანო აუშენებია, მთელ ქვეყანაზე მისი ბადალი არ მოიპოვებაო. ფეთნე ხუნრიზმა რომ ეს გაიგო, აბანოს მონახულება გადაწყვიტა. ბრძანება გასცა - იმ დროს, გარეთ რომ გამოვალ, მთელი ქუჩები შეჰკარით და ირგვლივ ძეხორციელი არ გააჭაჭანოთო. - მერე წავიდა აბანოში და გასახდელის კედლებზე მოხატული სურათები დიდი დაკვირვებითა და გულისყურით დაათვალიერა. მესამე სურათზე, ისრით განგმირულ და სისხლით დაცლილ ხარლაღს რომ შეხედა, წამოიძახა - "საცოდავი ხარირემი! თურმე, საწყალი, უდანაშაულო და უბრალო ყოფილა. მე კი დღემდე ვკიცხავდი და მწარედ ვცდებოდიო". - თქვა ესა და აღთქმა დადო, აღარავინ მოეკლა; წასულიყო და თავისი ჯუფთი და მეწყვილე მოეძებნა.

დედაბერმა ფეთნე ხუნრიზის აბანოში სტუმრობის ამბავი უფლისწულს მიუტანა და უთხრა - დღესვე ჩაიცვი ერთი ხელი თეთრი ტანსაცმელი, სასწრაფოდ ფეთნე ხუნრიზის სასახლესთან მიდი და სამჯერ გულამოსკვნით, ხმამაღლა დაიძახე: ვაი, ჩემო ფურირემო, ვაი ჩემო ფურირემოო! - მერე კი უკან ისე გამოიქეცი, რომ ვერავინ დაგეწიოს. ხვალ მწვანე ტანსაცმელი ჩაიცვი, მიდი სასახლესთან და ყველაფერი ასევე გააკეთე. ზეგ კი წითლებში გამოეწყვე, მიდი სასახლესთან, დაიძახე ჩემო ფურირემოო. ოღონდ გაქცევას ნუ იჩქარებ, აცალე მოვიდნენ, შეგიპყრონ და ფეთნე ხუნრიზის წინაშე მიგიყვანონ. ქალი რომ შენი საქციელის მიზეზს გამოგკითხავს, უთხარი - ერთ ღამეს სიზმრად ვნახე, მინდვრად მობალახე ირემი ვიყავი. ჩემს გვერდით ერთი მშვენიერი ფური ბალახობდა. დავმეგობრდით და იალაღებზე ერთად დავდიოდით. ერთხელაც, მოხდა ისე, რომ ფეხი თაგვის სოროში ჩამივარდა. წავიდა ფური, პირით წყალი მოიტანა და სოროში ჩაასხა, რომ განსაცდელიდან თავის დახსნა გამიოლებოდა. გაიარა ცოტა ხანმა და იმ სოროში ფეხი ახლა ფურირემს ჩაუვარდა. წავედი წყლის მოსატანად და გზაში ისრით დამკოდა ერთმა ბოროტმა მონადირემ. გამომეღვიძა და იმ დღიდან მოყოლებული ასე, ქალაქიდან ქალაქში დავდივარ, რომ იქნებ ჩემი ჯუფთისცალი ირემი მოვძებნოო. შაჰზადე ებრაჰიმმა ჩაიცვა თეთრი ტალავარი, წავიდა ქალის სასახლესთან და სამჯერ დაიძახა - ვაიმე ჩემო ფურირემოო. ქალმა მსახურებს უბრძანა, წასულიყვნენ და ჭაბუკი შეეპყროთ, მაგრამ ვიდრე ღოლამები* უფლისწულამდე მიაღწევდნენ, შაჰზადე ებრაჰიმი გაიქცა და მისი დჭერა ვერავინ მოახერხა.

მეორე დღეს უფლისწული მწვანე ტანსაცმელში გამოეწყო:, ისევ წავიდა სასახლესთან და ისევ სამჯერ დაიძახა ხმამაღლა - ვაიმე ჩემო ფურირემოო. აწრიალდნენ მსახურები, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ შაჰზადე ებრაჰიმს, თითქოს, მიწამ უყო პირიო, ფეხი დაჰკრა და წუთში ქალაქის მეორე ბოლოში დაიკარგა.

მესამე დღეს ჩაიცვა წითელი ტანსაცმელი, წავიდა სასახლესთან და მოჰყვა ყვირილს; მაგრამ ამჯერად ადგილიდან აღარ განძრეულა. ჩამოვიდნენ მსახურები, შეიპყრეს და ფეთ-

ნე ხუნრიზის წინაშე მიიყვანეს. ფეთნე ხუნრიზმა რომ ეს მშვენიერი ჭაბუკი დაინახა, გული რაღაც უცნაურმა გრძნობამ აუჩქროლა. იფიქრა - ამდენი ხანი ისე გავიდა, ქვეყანასთავზე არავინ მყვარებია, დღეს კი რა მემართება, რომ ამ ახალგაზრდა დერვიშის* დანახვაზე, ლამისაა, ყველა ძარღვი ერთად გადამეხსნას. - მერე შაჰზადე ებრაჰიმს მიუბრუნდა და ჰკითხა: დერვიშო, სამი დღის განმავლობაში ჩემი სასახლის კარებთან მოდიხარ და ერთსა და იმავე სიტყვას გაიძახი. მითხარი - რა გიჭირს, ვის უხმობ ან რა სადარდელს აუყვირებიხარო? - შაჰზადე ებრაჰიმმა ქალს ყველაფერი ისე უამბო, როგორც იმ ცბიერმა და გაიძვერა ბებერმა დაარიგა. ფეთნე ხუნრიზმა რომ ეს ამბავი მოისმინა, ერთი ამოიოხრა და გონება დაჰკარგა. გონს რომ მოეგო, მიუბრუნდა და უფლისწულს ეუბნება:

- დერვიშო, რომ იცოდე, ყოვლისშემძლე უფალი ორივეს შეგვეწია და ჩემთან გამოგგზავნა, რომ დღემდე ჩადენილ შეცდომებს მივმხვდარიყავ. არ მეფიქრა - ყველა კცი მოღალატე და პირუმტკიციაო. მე ხომ არ ვიცოდი, რომ, წყალზე წასულს, ბოროტი მონადირის ისარი მოგეწია. იცოდე, მე ვარ შენი მეწყვილე ლამაზი ფურირემი. ახლა კი მითხარი, შენ თვითონ ვინა ხარ და საიდან მოსულხარო.

შაჰზადე ებრაჰიმმა უთხრა:

- დედოფალო, მე შაჰზადე ებრაჰიმს მეძახიან. ირანის ხელმწიფის ვაჟი ვარ და მთელი ქვეყანა მოვიარე, ვიდრე შენი სასახლის ალაყაფთან მოვიდოდი. - ფეთნე ხუნრიზმა ეს რომ გაიგონა, სასწრაფოდ ეჯიბები გაგზავნა მამამისთან და შეუთვალა: - ქორწილისათვის მოემზადე! ირანელ უფლისწულზე გათხოვება მომსურვებიაო. - ქალის მამა ამ ამბავმა დიდად გაახარა. საჩქაროდ მოვიდა და ფეთნე ხუნრიზს, მართლაც რომ, მეფეთა საკადრისი ქორწილი გაუმართა. ესენი ცოტახნით ქორწილსა და მხიარულებაში დავტოვოთ და ახლა შაჰზადე ებრაჰიმის მამის ამბავიც მოისმინეთ - შაჰზადემ რომ სასახლე დატოვა და ფეთნე ხუნრიზის სახლისკენ გაეშურა, მამამისმა მსახურებს უბრძანა, მთელი ქვეყანა მოევლოთ და გაუჩინარებული უფლისწული უკან მოეყვანათ. მსახურებმა რომ ვერაფერი გააწყვეს, თვითონ ხელმწიფემ გადაიცვა სოვდაგრის ტანსაცმელი და შვილის საპოვნელად ქალაქიდან ქალაქში დადიოდა, ვიდრე ერთ დღეს ჩინის ქვეყანას არ მიაღწია. ხედავს, მთელი ხალხი ერთად შეკრებილა და ჩინის ხელმწიფის სასახლისკენ მიეშურება. ჰკითხა ერთ კაცს - რა ამბავია, ეს ამდენი ხალხი საით მიეშურებაო. კაცმა უთხრა: როგორც გეტყობა, აქაური არ უნდა იყო, თორემ უეჭველად გეცოდინებოდა, რომ ჩინის მეფის ასული ფეთნე ხუნრიზი ირანის ხელმწიფის ვაჟიშვილზე - შაჰზადე ებრაჰიმზე ქორწინდებაო. ირანის ხელმწიფემ რომ თავისი შვილის სახელი გაიგონა, გონება დაჰკარგა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა მოსულიერდა, წამოდგა, ტანსაცმელი დაიფერთხა და სხვებთან ერთად, ისიც ჩინის მეფის კარისკენ გაემართა. შაჰზადე ებრაჰიმმა დაინახა მამამისი, გადაეხვია და პატიება სთხოვა, სახლიდან რომ მის დაუკითხავად და უჩუმრად წამოვიდა.

მერე კი დასხდნენ და შვიდ დღეს და შვიდ ღამეს დიდებული ქორწილი გააჩაღეს. მერვე დღეს შაჰზადე ებრაჰიმმა წამოიყვანა თავისი ცოლი ირანში და სიკვდილამდე ერთად ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად.

## შენიშვნები:

ფეთნე ხუნრიზი - სიტყვასიტყვით: "სისხლისმღვრელი შფოთი" - აქ: ქალის საკუთარი სახელია

ფადეშაჰი (სპარს.) - ხელმწიფე

შაჰზადე (სპარს.) - მეფისწული

ქერბელა - ქალაქი ერაყში, შიიტი მუსლიმების პირველი იმამის ალისა და მისი შვილების მკვლელობის ადგილი. შიიტების წმინდა ქალაქი

ყიბლა - მექის მიმართულებაა, საითკენაც ლოცვისას პირს აქცევენ მუსლიმები, "სამყაროს ყიბლა" ფიგურალური გამოთქმაა. ნიშნავს: "მთელი სამყარო შენ შემოგყურებს და შენზე ლოცულობს"

დერვიში - მისტიკური სექტების წევრი მუსლიმურ აღმოსავლეთში. მოგვიანებით, ამ ტერმინმა მოხეტიალე გლახას მნიშვნელობა შეიძინა

ღულამი - (არაბ. სპარს.) ჭაბუკი, ყმაწვილი - დაქირავებული ხელის ბიჭი შუასაუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში

სპარსულიდან თარგმნა

**გიორგი ლობჟანიძემ**

არილი





ეროვნული ბიბლიოთეკა

## გივი ალხაზიშვილი

* * *

არსებობს ვიღაც, ვინც ფხიზლობს მუდამ
და აყურადებს
მილიონების გულისცემით აღსავსე დუმილს.

კედლები ისევ ირღვევიან გამჭოლი მზერით
და ამ წყვდიადში ქალაქი ისე პატარავდება,
რომ ხელისგულზე ეტევა თითქმის მთელი სამყარო
და მილულული თვალის სიღრმეში
გარდასული დრო იწყებს სიცოცხლეს,
რომელიც მე არ მეკუთვნოდა
და სხვისი იყო
და მე იმ სხვაში დავეძებდი
ჩემს დავიწყებულ არსებობას -
უკვე რომ გაქრა,
მაგრამ ჩემში რაღაც ჩატოვა მუსიკის მსგავსი,
რომელსაც სიტყვებს ვერ ვუსადაგებ.

რაც თავი მახსოვს,
მე ნაპირი ვიყავი მუდამ -
არა მხოლოდ ზღვის, არამედ სიტყვის
და სიტყვებს შორის არსებულ დროში,
რომელიც მუდამ უთქმელობის ტანჯვით სავსეა,
ვიმალებოდი და არ ვჩანდი აღარავისთვის.

იქ იბადება ცეცხლის თამაში
და თვითნაბადი ცეცხლის სინათლე
დადის ძარღვებში და თვალებიდან,
რაც ახლა სჭვივის -
ყვავილს კი არ ჰგავს,
არამედ უფრო ყვავილის გაშლას,
რომლის ფესვებიც სხვაშია დღესაც
და ახლაც იმ სხვის ბედს ვიზიარებ,
რომელიც სადღაც ისევ არსებობს
და ფხიზლობს მუდამ და აყურადებს
მილიონების გულისცემით აღსავსე დუმილს.

*6.X.99 წ.*

* * *

საკმარისია ხელის გაწვდენა, რომ ჰაერის ტალღები იგრძნო,
უნებლიედ რომ მიჰყავთ ხელი
პირჯვრისკენ - ლოცვის გაგრძელებისკენ.

აქ არის ყველა, ვინც იყო და ვინც აღარ არის
და ამ სივრცეში ჩემთან ერთად განზავებულა,
როგორც არარას გაგრძელება,
თუმცა ყოფაში შემოღწევის მათი სურვილი
ვერ გამიგია საით მიბიძგებს.

მიწა მიწაა -
ყველა მიწა საფლავს ეკუთვნის
და ეს ტიპები თიხის ფეხებზე რომ შემდგარან
და არხეინად მოაბიჯებენ,
არც ახსენდებათ რომ თვალებით
თავთავიანთ ცას დაატარებენ...

...და ეს ყანები შემოდგომით გადათიბული
ჩვენს მოსალოდნელ უმოძრაობას -
გამზეურებულ ლოგინს უშლიან...

*6.X.99 წ.*

* * *

ბაბუაწვერას ვერ შეადრი,
მისი ყვითელი ყვავილი მალე
ბუსუსებიან ქოლგად იქცევა
და მერე ჩიტის ჩაქროლებაც საკმარისია,
რომ გაიფანტოს და დაუბრუნდეს თავისუფლებას...

ნიავის ჩქამსაც ვერ შეადრი,
ერთადერთ ფოთოლს რომ ათრთოლებს
იმ სიცოცხლის გასამჟღავნებლად -
რომელიც არ ჩანს.

მზის ამოსვლასაც ვერ შეადრი,
ის რაღაცით მასზე მეტია -
ანგელოზური გამოხედვით
და იმ ბგერებით, რომელიც რაღაც ბანალურ აზრს კი არ შეიცავს,
არამედ განცდას -
სიტყვის თქმამდე რომ იბადება.

*6.X. 99წ.*

* * *

ვაზის მტევნების სიახლოვეს იგრძნობს ჰაერი
და სიმწიფისგან გაბრუებულ ფუტკრის ზუზუნი,
დროს რომ აღრმავებს მშვიდს და უზრუნველს -
სიჩუმის ხმაა...

დღემ შეუმჩნევლად უკვე მოასწრო
უკანასკნელი ყვავილის გაშლა
და იმ ყვავილში საკუთარი სუნთქვის მიგნება
და აღმოჩენა, რომ ყოველ წამში
და ყოველ წუთში რაღაც იქმნება;
ის, რაც ჩვენს სულში დაეძებს საყრდენს,
როგორც მოყვასი და ნათესავი,
რაც შეუმჩნეველ სასწაულს ახდენს
და ეფინება თვალებს მზესავით.

*2.X.99 წ.*

* * *

ჩვენი თვალები ფრინველებივით შეესევიან ქალაქის ხეებს
და ისვენებენ მაღალ ტოტებზე
ერთმანეთისგან მობეზრებულნი
და სიხასხასეს ართმევენ ფოთოლს
და ყოველივეს,
რაც ზედაპირზე მოჩანს თავისთვის
და იპარავენ პაიზაჟებს, რომ გადამალონ,
იმახსოვრებენ იმ წუთისთვის, რომელიც მოვა,
როცა სიხარულს შეერთვის გლოვა
და ბგერებს - უთქმელ სიტყვათა წვეთებს,
ჩაიბრუნებენ თავის სიღრმეში,
რადგან თვალები ერთმანეთს ცვეთენ,
გადაღლილები მიდიან სადღაც,
ვერ პოულობენ სხვაგვარ არჩევანს
და უნებლიედ იხუჭებიან
სხვა სამყაროთა აღმოსაჩენად.

*12.VII.99 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენ ხომ ყველა დახურულ კარს ვებღაუჭებით,
ქვშიც კი გვინდა შევაღწიოთ და ყველაფერში,
სადაც შესვლა აკრძალულია.

უჩვენოდ ცხოვრობს მარად ჩვენგან უარყოფილი
მთელი სამყაროს ღიაობა, თუნდაც ის სივრცე,
ყვავილი რომ გასაშლელად ადგილს პოულობს
და სურნელების გავრცელებით
არსებობის დროს იხანგრძლივებს.

ეს ლექსიც, ალბათ, იმ კიბეს ჰგავს,
რომელიც მუდამ ადი-ჩადის იმ ორ კარს შორის,
რომლებიც მუდამ დახშულია, რადგან ღიაა.

ამ ორ კარს შორის
არსებობას ვსწავლობ ყოველთვის,
იმ არსებობას თავისთვის რომ მიედინება.

არავინაა აქ ზედმეტი,
არც ის მტრედი ფანჯარასთან რომ ღუღუნებს
და ღუღუნით გასაღწევს ეძებს,
დროდადრო მიტომ წამოფრინდება
და სივრცეში გაინავარდებს,
რათა დარწმუნდეს: უფრო შორს წასვლა
არ შეუძლია.

მაგრამ არსებობს რაღაც ბიძგი,
რომელიც გიხმობს იმ ადგილს რომ მიუახლოვდე,
საითკენაც გული მიგიწევს
და თუნდაც, ისე გაიშალო, როგორც ყვავილი
შენივე სივრცის აღმოსაჩენად...

*16.III. 99 წ.*

* * *

აი, სიჩუმე, ის აკვირდება
ჩვენს მოძრაობას და გაზშირებულ
სუნთქვას, რომელიც იწვის უსიტყვოდ,
აწყდება ჰაერს და ნაზშირივით
ბნელდება წუთი, რომელიც წეღან
გამორჩეული იყო კაშკაშით
და მოლოდინით, უცაბედად რომ
ცეცხლად აქცევდა სხეულის წყვდიადს;

რომ იგი მაინც უნდა ჩაიწვას
თავის სიბნელის უარსაყოფად
და რომ მიიღოს იგივე ფერფლი,
იგივე ცეცხლის ჩამქრალ ნაყოფად.

აი, სიჩუმე, ის აკვირდება
ჩვენს მოძრაობას და იმახსოვრებს,
რას ვთხოვდით უფალს, როცა გვიყვარდა
და რა გვეწადა სულით მათხოვრებს.

*28.XI.99 წ.*

ანდრე ვურმსერი

# კაცი

ერთ პარმაღზე ორი კარი გამოდის: ბინის ბოლოს - ჩემი ბიუროსი, თავში - ჩვენი ოთახისა. იძულებული ვიყავი, ორი ტელეფონი დამედგა; თუ ყურმილს ფლორანსი აიღებს, შემიძლია მის საუბარს მოვუსმინო და ჩავერიო კიდეც - ოღონდ, ცხადია, თუ ყურმილს ერთდროულად ავიღებთ.

ჩემი კოლეგა ჩაწვა და საქმის განხილვა თხუთმეტისთვის გადაიდო. ფეხით წამოვედი. კმაყოფილი გახლდით გაზაფხულით, ჩემი თავით და სხვებითაც. ცოლის შფოთი და ღელვა ერთი წუთითაც არ გამხსენებია. ის იყო ბიუროს კარი მივხურე, რომ ტელეფონმა დარეკა. სულ ერთი წამით რომ დამესწრო და "ალო" მეთქვა...

- თქვენა ხართ, დედა?
- ჰო, მე ვარ.
- აბა, რაო?
- ის არის.
- ის? იმის თქმა გინდათ, რომ...

ჩემმა ცოლმა ხმას დაუწია და გამწარებული ალაპარაკდა.

- ჰო, რისაც მეშინოდა, რაზედაც გული მითქვამდა.

ფრანსუამ ძლივს ჩააკერა სიტყვა. თქვა, იქნებ შეცდენო... ხან ძალიან ჭკვიანიც და მთლად ტვინგაწყალებულიც ერთნაირ სიბრიყვეს წამოროშავენ ხოლმე. ფლორანსმა ურჩია, ჟაკლინს ნურაფერს ეტყვით, ხომ იცით, მის მდგომარეობაში...

- მერე ლეზურმა რა თქვა?
- რამდენიმე თვე ან ერთი წელი, რაღაც სასწაულით წელიწადნახევარიო.

ჩემი მარჯვენა ხელი ზედიზედ ხატავდა ტე-





საქართველოს ეროვნული

ლეფონს - სიმეტრიულს და მავრიტანულს. იქნებ, ფრანსუაც, ხაზის ბოლოს, იგივეს ხატავდა.

- მამა სად არის?

- სასამართლოში.

- რამე ხომ არ იეჭვა?

არა, მე არ ვიცოდი, რომ სისხლის ანალიზი... ფლორანსი უკვე ტიროდა. ისე შევწუხდი, ლამის მეც ავტირებულიყავი. არა, ასე ვერ ვაქვითინებდი. კარის სახელურს წავეტანე, მაგრამ... არა, არა, ვერც ამისთანა ლახვარს ჩავცემდი. ახლა მისი უზენაესი ვალი იქნება, ბოლომდე დამიმალოს, რა ხვედრიც მელის. თამაშში უნდა ჩავერიო, უნდა დავეხმარო, რომ მომატყუონ. ისევ მივუჯექი საწერმაგიდას. წყეული სისხლი, რომელიც სიკვდილს მიქადდა, ძარღვებში გამეყინა. მწუხარებით იუწყებიან... ორმოცდაცამეტი წლის ასაკში... სასამართლოს ადვოკატი... მისი ქვრივი... შვილები... შვილიშვილი? ნეტა, რა სისწრაფით ღმურძლავდა კედლის საათი ჩემი დამჭლევებული ცხოვრების წუთებს! მოვესწრები კი ჩვენ შვილიშვილს? სისხლი ისევ ამოძრავდა ძარღვებში. მეგონა, მრავალი საათი გავიდა, რაც ფლორანსი აღარ გამხსენებია-მეთქი. რომ მაგონდებოდა, როგორ წუხდა, თვალზე ცრემლს ველარ ვიკავებდი. პარმალი ფეხაკრეფით გავიარე და მეორე კარზე დავრეკე.

- გასაღები დამრჩა. ქალბატონი თავის ოთახშია?

განგებ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რომ გამეფრთხილებინა.

საფლავებში მოკრუნჩხული ჩონჩხების რაოდენობა იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ მიცვალებულთა ნახევარი ცოცხლად დაუმარხავთ. სიმართლე თუ გინდათ, პირიქითაა: კაცობრიობის ნახევარი სიცოცხლის ბოლო დღეებში სანახევროდ დამარხული ცხოვრობს - თავს იკატუნებს, ვითომ ვერ ხვდება, რომ მისი საქმე წასულია. სულმთლად არაკაცი უნდა იყო, რომ შენს ახლობლებს, იმათ, ვისაც უყვარხარ, დაუტატანო: "ჯანდაბას თქვენი თავი! მე ვიკითხო, თორემ თქვენ რა გიჭირთ". კაცი ხშირად ურიგოდ ცხოვრობს და ეს მე, ჩემი ხელობის პატრონს, არ მესწავლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არცთუ ურიგოდ კვდება. ჩემდა თავად, გაფაციცებული ვიყავი, რომ პირის პარსვის დროს მესტვინა და გამეცინა იმაზე, რაზედაც უწინ გავიცინებდი.

ისევ მივაკითხე ლეზურს ფლორანსთან ერთად. ჩემი დარწმუნება არც უცდია. მე ხომ ისედაც ეჭვი არასდროს შემპარვია, რომ ტყუილად ეშინოდა. კონსულტაციის შემდეგ, ფლორანსი არმენვილის პავილიონში წავათრიე - დანიშნულები რომ ვიყავით, იქ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. დიდი ვერაფერი შვილი იდეა გამოდგა: ფლორანსი ძალიან ცუდად იყო, იმიტომ, რომ ტირილს იკავებდა, მე კიდევ უფრო ცუდად ვიყავი, იმიტომ, რომ არ შემეძლო ხელი დამეჭირა და მეთქვა: ჰოპლა, მე ვიცი...

ნამდვილ დარდიმანდულ ცხოვრებას მივყავით ხელი. ყოველ შემთხვევაში, ოპერის ჩაბნელებულ დარბაზში მაინც შემეძლო, მხოლოდ ჩემ თავზე მეფიქრა. თეატრიდან გამოსვლის შემდეგ, სავახშმოდ შევდიოდით, სადილად მეგობრებთან დავდიოდით; ვინ იცის, რამდენჯერ გვითქვამს, დროა ასეთ უაზრო ყოფას ბოლო მოვუღოთ და ცხოვრებით დავტკბეთ-თქო!

ყველას გამომეტყველებას ვუკირკიტებდი. ჟაკლინმა ორიოდე დღე იწვალა და მერე კომედია საკმაოდ კარგად გაითამაშა - ძალიან კარგად ვერა: მეტისმეტად მაგრად მეკვროდა და სიტყვას ალარაფერზე მიბრუნებდა... მათიომაც აითვისა როლი: ერთ დღეს, როდესაც თავის ოთახში მტირალს შევუსწარი და ფლორანსმა - შეყვარებულია და იმიტომ ტირის, ამის ასაკში იცის ხოლმეო. ისე ცხარედ მარწმუნებდა, რომ მართლა სიყვარულის გამო იტანჯებოდა, გულში ჩავიკარი და ეგ არაფერი, ჩემო ბიჭო, სიყვარულის ტანჯვა მალე გადის-მეთქი, ვუთხარი. ახლა რა მადლიერი დარჩა, ამდენი სიკეთე და გულისხმიერება რომ გამოვიჩინე!

ჩემ სენს სხვა, უფრო გულზე გასახეთქი მოვლენებიც ახლდა. უკვე ეჭვი მეპარებოდა, რომ ფლორანსს მართლა ვანიჭებდი სიამოვნებას. გული მეკუმშებოდა ცოტა გულთბილ ხელის ჩამორთმევაზე, ჩემი კოლეგების მექანიკურ - როგორ ხარზე. ხშირად დავეხეტებოდი მარტოდმარტო. საქმეების წაკითხვას საბაბად ვიდებდი და ღამეებს თეთრად ვათენებდი. ვუტრიალებდი გეგმებს, რომლებსაც განხორციელება აღარ ეწერა. ვკითხულობდი ძველ წერილებს.

გულჩახვეული არასდროს ვყოფილვარ. დედას რასაც ვუმალავდი, იმას ჩემ ძმას ვუმხელდი. თუ შვილებს რაიმე ნაკლს შევამჩნევდი, ფლორანსს ვუზიარებდი. ახლა რა მექნა, ვისთვის რა გამემხილა? ყველაზე მეტად გულს მაშინ მეყრებოდა, როცა თვალს შევასწრებდი, როგორ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და როგორ ებრალებოდათ ჩემისთანა საწყალი და ახლადდაბადებული ლეკვივით ბრმა, რომელიც თავის ბოლოს ვერ ხედავდა. რომ არ ავლრენილიყავი, წინაპართა გმირობას ვიხსენებდი: ისინი სიკვდილს თვალს უსწორებდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს ვერ ხედავდნენ.

მას აქეთ ოცი წელი გავიდა. ჩემი შვილიშვილი კატრინი ორშაბათს საბრალო ლეზურის დისშვილიშვილზე თხოვდება. ოცი წლის წინ, ლაბორატორიულმა შეცდომამ, რამდენიმე კვირის მანძილზე, სიკვდილის კერძად მაქცია, მაგრამ როცა იმ დროს ვიხსენებ, მეამაყება, რომ მეც კაცის ჯილაგისა ვარ.

ფრანგულიდან თარგმნა
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ



ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსიფ ბროდსკი



# დოსტოევსკის შესახებ

მიწასთან, წყალთან, ჰაერთან და ცეცხლთან ერთად, ფული მეხუთე სტიქიად უნდა მივიჩნიოთ, სტიქიად, რომელსაც ადამიანი ყველაზე ხშირად უწევს ანგარიშს. ალბათ ამის გამოცაა, რომ დღეს, დოსტოევსკის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ, მისი ნაწარმოებები ისევ ინარჩუნებენ აქტუალობას. თუკი თანამედროვე სამყაროს ეკონომიკური ევოლუციის ვექტორსაც გავითვალისწინებთ, - რომელიც აშკარად საერთო გალატაკებისკენ და ცხოვრების დონის უნიფიკაციისკენ იხრება - დოსტოევსკი წინასწარმეტყველურ მოვლენადაც შეგვიძლია განვიხილოთ. რადგანაც, საუკეთესო საშუალება - რათა არ შევცდეთ მომავლის პროგნოზირებისას - ისაა, რომ ამ მომავალს სიღარიბისა და ბრალეულობის პრიზმაში შევხედოთ. სწორედ ამ ოპტიკით სარგებლობდა დოსტოევსკი.

მწერლის მხურვალე თაყვანისმცემელი, ელიზავეტა შტაკენშნეიდერი - პეტერბურგელი ქალბატონი, ვის სალონშიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ლიტერატორები, სუფრაჟისტები, პოლიტიკური მოღვაწეები და მხატვრები იკრიბებოდნენ - 1880 წელს, დოსტოევსკის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, თავის დღიურში წერდა:

"...იგი მეშჩანია. დიახ, მეშჩანი. იგი არც აზნაურია, არც სემინარისტი, არც ვაჭარი და არც შემთხვევითი ადამიანი, როგორც მხატვარი ან მეცნიერი, არამედ მეშჩანი. და აი, ეს მეშჩანი უდიდესი მოაზროვნე და გენიალური მწერალია... ახლა იგი არისტოკრატთა ოჯახების ხშირი სტუმარიცაა და რა თქმა უნდა, თავი ყველგან ღირსეულად უჭირავს, მაგრამ მასში მაინც მეშჩანობა გამოსჭვივის. ინტიმურ საუბრებში, თუ ნაწარმოებებში... დიდი კაპიტალის აღწერისას, მისთვის უზარმაზარ თანხას წარმოადგენს ექვსი ათასი მანეთი".

ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი: ნასტასია ფილიპოვნას ბუხარში - ექვსი ათას მანეთზე გაცილებით დიდ თანხას მოისვრიან. მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე თავგანწირულ სცენაში, რომელიც მუდამ აუტანელ კვალს ტოვებს მკითხველის ცნობიერებაში, კაპიტანი სნეგირიოვი თოვლში ორასიოდე მანეთს ჩატკეპნის. თუმცა საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყბადაღებული ექვსი ათასი მანეთი (ახლა ეს დაახლოებით 20 ათასი დოლარია) საკმარისი იყო, რომ დაახლოებით ერთი წელი ნორმალურად გეცხოვრა.

სოციალური ჯგუფი, რომელსაც ქ-ნი შტაკენშნეიდერი - თავისი დროის სოციალური სტრატიფიკაციის პროდუქტი - მეშჩანებს უწოდებს, ახლა "საშუალო კლასს" წარმოადგენს და ეს ჯგუფი არა იმდენად წარმოშობით განისაზღვრება, რამდენადაც ყოველდღიური შემოსავლის მოცულობით. სხვა სიტყვებით, ზემოთდასახელებული თანხა არც საოცარი სიმდიდრის მაჩვენებელია და არც სილატაკის, არამედ უფრო ნორმალურ ადამიანურ პირობებზე მიგვითითებს: ანუ, იმ პირობებზე, რომელიც ადამიანს ადამიანად აქცევს. 6 ათასი მანეთი ზომიერი და ნორმალური არსებობის ფულადი ეკვივალენტია და თუკი ამის გასაგებად აუცილებელია მეშჩანი იყო, მაშინ გაუმარჯოს მეშჩანს.

**არა, იგი არ იყო ენის მსხვერპლი; თუმცა მის მიერ გამოვლენილი ინტერესი ადამიანის სულის მიმართ ცდება რუსული მართლმადიდებლობის საზღვრებს, რომელთანაც იგი თავს აიგივებდა: სინტაქსმა უფრო მეტად, ვიდრე რწმენამ, განაპირობა ამ ინტერესის ხასიათი.**

რადგანაც კაცობრიობის უმრავლესობა სწორედ ამას ესწრაფვის - მიაღწიოს ნორმალურ ადამიანურ პირობებს და მწერალი, რომელსაც ექვსი ათასი მანეთი უზარმაზარ თანხად მიაჩნია, სწორედ იმავე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სივრცეში ფუნქციონირებს, რომელშიც საზოგადოების უმრავლესობა იმყოფება. სხვა სიტყვებით, იგი ცხოვრებას მის საკუთარ, ყველასათვის ხელმისაწვდომი კატეგორიებით აღწერს, რადგანაც, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი პროცესი, ადამიანური არსებობაც ზომიერებისკენ ილტვის და პირიქით, მწერალი, რომელიც მაღალ საზოგადოებას ეკუთვნის, ან დაბალ სოციალურ ფენას წარმოადგენს, აუცილებლად ამახინჯებს სურათს, რადგანაც ორივე შემთხვევაში იგი ცხოვრებას ძალზე მახვილი კუთხიდან აფასებს. საზოგადოების კრიტიკა (რომელიც, შეიძლება ითქვას, ცხოვრების სინონიმიცაა) როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან, შეიძლება საინტერესოდ იკითხებოდეს, მაგრამ მხოლოდ შიგნიდან მის აღწერას ძალუძს შვას ეთიკური მოთხოვნილებები, რომელთაც მკითხველმა ანგარიში უნდა გაუწიოს.

ამას გარდა, მწერლის მდგომარეობა, რომელიც საშუალო კლასს წარმოადგენს, საკმაოდ მერყევია და იგი განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით აკვირდება ქვედა ფენებში მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად, ყველაფერი, რაც ზევით ხდება - უშუალო ფიზიკური სიახლოვის წყალობით - იდუმალების შარავანდისგან განიძარცვება. ყოველ შემთხვევაში, წმინდა რიცხობრივი თვალსაზრისით, მწერალს, რომელიც საშუალო ფენას ეკუთვნის, პრობლემების მრავალფეროვნებასთან აქვს საქმე, რაც აფართოებს მის აუდიტორიას. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთ-ერთი მიზეზია დოსტოევსკის ფართო პოპულარობასა - ისევე როგორც მელვილის, ბალზაკის, ჰარდის, კაფკას, ჯოისისა და ფოლკნერის პოპულარობისა. მართლაც, როგორც ჩანს, 6 ათასი მანეთი დიდი ლიტერატურის გარანტიად შეიძლება იქცეს.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ აღნიშნული თანხის მოპოვება გაცილებით ძნელია, ვიდრე მილიონების "შოვნა" ან პირიქით, მათხოვრობა - იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნორმა ყოველთვის უფრო მეტ პრეტენდენტებს შობს, ვიდრე უკიდურესობა. ამ თანხის - თუნდაც მისი ნახევრის, ან მეათედის - მოპოვება ადამიანისგან გაცილებით მეტ სულიერ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე რაღაც ფინანსური მაქინაცია, რომელსაც მყისიერ გამდიდრებამდე მივყავართ, ან პირიქით, ვიდრე ასკეტიზმის ნებისმიერი ფორმა. უფრო მეტიც, რაც უფრო მოკრძალებულია სასურველი თანხა, მით უფრო მეტ ემოციებთანაა დაკავშირებული მისი მოპოვება. ამ თვალსაზრისით, გასაგებია, რატომ მიიჩნევდა დოსტოევსკი - ვის შემოქმედებაშიც ადამიანური ფსიქიკის ლაბირინთი ასეთ მნიშვნელოვან როლს

ეროვნული ბიბლიოთეკა




თამაშობს - 6 ათას მანეთს კოლოსალურ თანხად. მისთვის იგი კოლოსალურ სულიერ დანახარჯებს უტოლდება, ნიუანსების კოლოსალურ მრავალფეროვნებას, კოლოსალურ ლიტერატურას. სხვა სიტყვებით, საუბარია არა იმდენად რეალურ, რამდენადაც მეტაფიზიკურ ფულზე.

მისი ყველა რომანი, ლამის გამონაკლისის გარეშე, ხელმოკლე ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. ამგვარი მასალა უკვე თავისთავად წინაპირობაა საინტერესო საკითხავისთვის. თუმცა დიდ მწერლად დოსტოევსკი კარგად შეთხზული სიუჟეტის ან ფსიქოლოგიური ანალიზისა და თანალმობის უნიკალური ნიჭის წყალობით როდი იქცა, არამედ ინსტრუმენტით - უფრო სწორად, მასალის ფიზიკური შემადგენლობით - რომელსაც იგი იყენებდა, ანუ რუსული ენის წყალობით, რომელიც თავისთავად - ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ენა - ძალზე წააგავს ფულს.

რაც შეეხება სირთულეს, მისთვის რუსული ენა - სადაც ქვემდებარე ხშირად წინადადების ბოლოს ექცევა, არსი კი დამოკიდებულ წინადადებაშია ხოლმე გადმოცემული და არა მთავარში - შეიძლება ითქვას, იდეალური ნიადაგია. ეს არაა ანალიტიკური ინგლისური მისი ალტერნატიული "ან/ან"-ით - ესაა დამოკიდებული დათმობითის ენა, ენა, რომელიც "თუმცა"-ზეა დამოკიდებული. ამ ენაზე გამოთქმული ნებისმიერი იდეა მაშინვე თავის საპირისპირო იდეაში გადაიზრდება და არაფერია რუსულ სინტაქსში უფრო მომხიბლავი და მაცდური, ვიდრე ეჭვისა და თვითდამცირების გადმოცემა. სიტყვიერი მარაგის მრავალმარცვლიანობა (რუსულში სიტყვა საშუალოდ სამიოთხი მარცვლისგან შედგება) მოვლენათა პირველად, სტიქიურ ბუნებას გამოავლენს, რომელსაც სიტყვა უფრო კარგად გამოხატავს, ვიდრე რაღაც დამაჯერებელი განსჯა და ხშირად მწერალი, თავისი აზრის გადმოცემისას, უეცრად ჟღერადობაზე წაიბორძიკებს და ბოლომდე ამ სიტყვის ფონეტიკაში ეშვება - რის გამოც მისი განსჯები სრულიად მოულოდნელ განვითარებას პოულობს. დოსტოევსკის შემოქმედებაში ხშირად აშკარად იგრძნობა სადისტური ინტენსივობის დაძაბულობა, რომელიც თემის მეტაფიზიკისა და ენის მეტაფიზიკის განუწყვეტელი ურთიერთშეხებითაა გამოწვეული.

რუსული გრამატიკის ქაოსიდან დოსტოევსკიმ მაქსიმუმი ამოიღო. მის ფრაზებში გაცხარებული, ისტერიული, განუმეორებლად ინდივიდუალური რიტმი ისმის და თავისი შინაარსითა და სტილისტიკით მისი მეტყველება - ბელეტრისტიკის, სალაპარაკო ენისა და ბიუროკრატიზმების ნაზავი - დამთრგუნველად მოქმედებს ფსიქიკაზე. რა თქმა უნდა, მას მუდამ ეჩქარებოდა. თავისი გმირებივით, იგი მუშაობდა, რათა საარსებო წყარო ჰქონოდა მევალეებისა და გამომცემელთა ვადებში გახლართულს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ ვადებით ხელფეხშეკრული ადამიანის პირობაზე, იგი ხშირად უხვევდა ხოლმე თემას და შეგვიძლია ვამტკიცოთ კიდევაც, რომ ეს წიაღსვლები უმრავლეს შემთხვევაში თავად ენის მიერ იყო ნაკარნახევი და არა სიუჟეტით. ერთი სიტყვით, დოსტოევსკის კითხვისას ხვდები, რომ ცნობიერების ნაკადის წყარო სულაც არაა ცნობიერება, არამედ სიტყვა, რომელიც ცნობიერების ტრანსფორმირებას ახდენს და ცვლის მის კალაპოტს.

არა, იგი არ იყო ენის მსხვერპლი; თუმცა მის მიერ გამოვლენილი ინტერესი ადამიანის სულის მიმართ ცდება რუსული მართლმადიდებლობის საზღვრებს, რომელთანაც იგი თავს აიგივებდა: სინტაქსმა უფრო მეტად, ვიდრე რწმენამ, განაპირობა ამ ინტერესის ხასიათი. ნებისმიერი შემოქმედება იწყება როგორც ინდივიდუალური სწრაფვა თვითსრულყოფისკენ და იდეალში - წმინდანობისკენ. ადრე თუ გვიან - ალბათ უფრო ადრე, ვიდრე გვიან - მწერალი აღმოაჩენს, რომ მისი კალამი გაცილებით დიდ შედეგებს აღწევს, ვიდრე სული. ამ აღმოჩენას ხშირად აუტანელი სულიერი გაორება მოჰყვება და სწორედ აქედან მოდის დემონური რეპუტაცია, რომელსაც ლიტერატურა ფართოდ იყენებს. არსებითად, ეს ასეც არის, რადგანაც სერაფიმთა დანაკარგი თითქმის ყოველთვის მონაპოვარია ხოლმე მოკვდავთათვის. თანაც ნებისმიერი უკიდურესობა თავისთავად ყოველთვის მოსაწყენია და კარგ მწერალთან ყოველთვის ისმის ზეციური სფეროებისა და ქვესკნელის დიალოგი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, მივყავართ თუ არა ამ გაორებას ავტორის ან ხელნაწერის ფიზიკურ განადგურებამდე (რისი მაგალითიც - გოგოლის "მკვდარი სულების" მეორე ტომია) - სწორედ მისგან იშვება მწერალი, ვინც თავის ამოცანას კალამსა და სულს შორის მანძილის შემცირებაში ხედავს.

ამაშია მთელი დოსტოევსკი; თანაც, მისი კალამი ყოველთვის აძევებდა სულს მის მიერვე ნაქადაგები მართლმადიდებლობის საზღვრებიდან. რადგანაც, იყო მწერალი, აუცილებლად ნიშნავს, იყო პროტესტანტი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ადამიანის პროტესტანტული კონცეფციის აღმსარებელი. რუსულ მართლმადიდებლობაშიც და რომაულ კათოლიკობაშიც ადამიანს უზენაესი, ან მისი ეკლესია განსჯის. პროტესტანტიზმში ადამიანი თავად ადგენს განკითხვის დღეს და ამ მსჯავრისას იგი გაცილებით უფრო დაუნდობელია საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე უფალი, ან თუნდაც ეკლესია - იმიტომ, რომ იგი (ყოველ შემთხვევაში მას ასე სწამს) ღმერთზე და ეკლესიაზე უკეთ იცნობს თავს და კიდევ იმიტომ, რომ მას არ სურს, უფრო სწორად, არ შეუძლია აპატიოს. რადგანაც, არც ერთი ავტორი არ წერს მხოლოდ თავის მრევლზე გათვლით, ლიტერატურული გმირები და მათი საქციელი მიუკერძოებელ და სამართლიან განსჯას იმსახურებენ. რაც უფრო გულდასმით მიმდინარეობს "გამოძიება", მით უფრო დამაჯერებელია ნაწარმოები - მწერალი ხომ უპირველეს ყოვლისა, დამაჯერებლობას ესწრაფვის. წმინდანობა ლიტერატურაში თავისთავად არცაა დაფასებული: სწორედ ამიტომაც იხრწნება დოსტოევსკის ბერი.

რა თქმა უნდა, დოსტოევსკი სიკეთის, ანუ ქრისტიანობის დაუცხრომელი ქომაგი იყო. მაგრამ თუკი დავუფიქრდებით, არც ბოროტებას ჰყოლია მასავით გაწაფული ადვოკატი. კლასიციზმისგან დოსტოევსკიმ ძალზე მნიშვნე-

**რა თქმა უნდა, დოსტოევსკი სიკეთის, ანუ ქრისტიანობის დაუცხრომელი ქომაგი იყო. მაგრამ თუკი დავუფიქრდებით, არც ბოროტებას ჰყოლია მასავით გაწაფული ადვოკატი... ბოლოს და ბოლოს, შეიძლება არ უღალატო მრწამსს, მაგრამ როცა მოსაზრებებს ბოროტების სასარგებლოდ განიხილავ, ჭეშმარიტი რწმენის პოსტულატებს უფრო ნოსტალგიით წარმოთქვამ, ვიდრე გულმოდგინებით და ესეც, რა თქმა უნდა, ამაღლებს დამაჯერებლობის ხარისხს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი პრინციპი შეითვისა: ვიდრე საკუთარ მოსაზრებებს ჩამოაყალიბებდე - როგორც არ უნდა იყო დარწმუნებული, რომ მართალი ხარ და სრულიად უბიწო - აუცილებელია ჯერ მოწინააღმდეგე მხარის ყველა არგუმენტი ჩამოთვალო. საქმე ის არაა, რომ ჩამოთვლის პროცესში მოწინააღმდეგე მხარეზე შეიძლება გადაიხარო: უბრალოდ, ასეთი ჩამონათვალის გაკეთება ძალზე მომხიბლავი პროცესია. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება არ უღალატო მრწამსს, მაგრამ როცა მოსაზრებებს ბოროტების სასარგებლოდ განიხილავ, ჭეშმარიტი რწმენის პოსტულატებს უფრო ნოსტალგიით წარმოთქვამ, ვიდრე გულმოდგინებით და ესეც, რა თქმა უნდა, ამაღლებს დამაჯერებლობის ხარისხს.

მაგრამ არამხოლოდ დამაჯერებლობის გამოა, რომ დოსტოევსკის გმირები კალვინისტური შეუპოვრობით აშიშვლებენ მკითხველთა წინაშე თავიანთ სულს. კიდევ არის რაღაც, რაც აიძულებს დოსტოევსკის, რომ მათ ცხოვრებას სულ სხვა კუთხიდან შეხედოს და მისი იდუმალი სულის ყველა ნაოჭსა და ნაკეცს დააკვირდეს. და ეს არაა ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა. რადგანაც მისი ინკვიზიციის შემდეგ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი აშკარავდება, რაც თავად ჭეშმარიტებასაც აღემატება: იგი აშიშვლებს ცხოვრების პირველად ქსოვილს და ეს ქსოვილი საშინელია. ამისკენ მას ძალა უბიძგებს, რომელსაც სახელად ენის გაუმაძღრობა ჰქვია და ერთ დღესაც მას ეცოტავება ღმერთი, ადამიანი, სინამდვილე, დანაშაული, სიკვდილი, უსასრულობა, ხსნა და საკუთარ თავს დაეძგერება.

1980




ჩესლავ მილოში

# დოსტოევსკი და სვედენბორგი



...დოსტოევსკის, როგორც რელიგიურ მოაზროვნეს, ბევრი რამ აქვს საერთო დასავლეთის რელიგიურ მოაზროვნეებთან, რომლებიც მასზე გაცილებით ადრე ცდილობდნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ სამეცნიერო აღმოჩენათა დამანგრეველი ზეწოლისთვის. ხშირად იგი პასკალის ორეულადაც წარმოგვიდგება. ბოლოს და ბოლოს, პასკალი XVII საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი იყო მათ შორის, ვინც სკეპტიციზმის წინააღმდეგ რწმენისთვის ბრძოლაში ჩაება. ზუსტად ასევე, დოსტოევსკისთვისაც მიუღებელია ვოლტერში განხორციელებული განმანათლებლობის საუკუნე და მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერება - კლოდ ბერნარის სახით (გავიხსენოთ ბერნარები "ძმები კარამაზოვებიდან"). როგორც თეოლოგი, რომელიც თავისი დროის რაციონალურ მეცნიერებას შეეჯახა, სვედენბორგი თავდაპირველი ქრისტიანობის მებრძოლ სულში ეძიებდა საყრდენს, მაგრამ ზუსტად იგივე ტენდენცია იგრძნობა დოსტოევსკისთანაც...

## სვედენბორგი "დანაშაულსა და სასჯელში"

..."დანაშაულსა და სასჯელში" სანკტ-პეტერბურგის ქუჩები, მტვერი, არხების წყალი, ნაქირავები სახლის კიბეები თითქოს რასკოლნიკოვის თვალითაა დანახული, ისინი თითქოს მისი ცნობიერების მხურვალებას გადმოგვცემენ. გმირის სიზმრები, კუბოსავით ოთახი და თავად ქალაქი რომანის ურთულეს სიმბოლურ ქსოვილში ერთვება. ყველაფერი ეს მკითხველს ადრეულ დოსტოევსკის ახსენებს და იგიც "ორეულისა" და "დიასახლისის" ხერხების განვითარებად მიიჩნევს მას. მაგრამ არის რომანში გმირი, რომელიც იმდენად ახლოსაა სვედენბორგის სულებთან, რომ "სამოთხისა და ჯოჯოხეთის" ფურცლებიდან გეგონება გადმოსული. ეს ადამიანი სვიდრიგაილოვია და გასაგებია, რომ მას ბევრი მკითხველი და მკვლევარი დაუფიქრებია, რომლებიც მასში უცნაურ, დოსტოევსკის რომანებისთვის აქამდე უცნობ თვისებებს ხედავდნენ. დიდ როლს თამაშობს რომანულ სიმბოლიკაში სონიას სახელი, გარეგნობა და საქციელიც; მაგრამ სვიდრიგაილოვში სრულიად სხვა განზომილებას ამჩნევ: რამდენად ცოცხლადაც არ უნდა იყოს იგი დახატული და როგორ დეტალურადაც არ უნდა ალიწეროს მისი ბიოგრაფია, მაინც მოგეჩვენება, რომ იგი მიღმა სამყაროდან მოვიდა და განწირულია იმ სამყაროშივე მიიქცეს. მასში ყველაფერი - რასკოლნიკოვთან პირველი სტუმრობა, სახის ნაკვთები, უესტიკულაცია, მეტყველება, სიზმრები - სვედენბორგის შესატყვისობებს გვახსენებს. საკმარისია მას - ცოცხალ ადამიანს - ამ კუთხით შეხედო და იგი მყისვე ჯოჯოხეთის მელანქოლიურ არსებად გადაიქცევა. ბრჭყალებში შევნიშნავ, რომ სვიდრიგაილოვისა და თავად დოსტოევსკის სიახლოვე და მსგავსება უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ კრიტიკოსებს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, თავიანთი მიგნებების გასამყარებლად არც ერთ მათგანს არ მიუმართავს გმირის სახელის პირველწყაროსთვის. დოსტოევსკი აშკარად არაა გულგრილი თავისი გვარის ისტორიისადმი და უყვარდა დიდგვაროვანი წინაპრების გახსენება, რომლებიც დოსტოევოს მამულს ფლობდნენ ლიტვის საჰერცოგოში. XV საუკუნეში ლიტვის ერთ-ერთი მმართველი ჰერცოგი სვიდრიგაილა იყო, საკმაოდ ცნობილი ფიგურა. დოსტოევსკის არც ერთ სხვა პერსონაჟს ლიტვური სახელი არ აქვს.

ავტორის შარადების გამოცნობა საკმაოდ უაზრო საქმიანობაა, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ თავკერძობა, როგორც ცენტრალური თემა "დანაშაულსა და სასჯელში", ორი სახით გვევლინება: რასკოლნიკოვისა (რომელიც სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ ვნების ძალას) და მისი ორეულის, სვიდრიგაილოვის სახით, რომელსაც აღარაფერი აქვს აღმოსაჩენი, რადგანაც კარგად იცნობს საკუთარ ეშმაკეულ ბუნებას და გრძნობს, რომ წარწყმედა არ ასცდება. რასკოლნიკოვმა - მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნე ადამიანმა - უარყო სამოთხე და ჯოჯოხეთი, რომელსაც ქრისტიანული იკონოგრაფია ხატავდა და მასთან ერთად უარყო სულის უკვდავებაც. მისი და სვიდრიგაილოვის საუბარი ამის შესახებ - ერთ-ერთი ყველაზე უცნაური სცენაა მსოფლიო ლიტერატურაში.

სვიდრიგაილოვს მოჩვენებები

> "... ჩემთვის რომ ვინმეს დაემტკიცებინა, რომ ქრისტე ჭეშმარიტების მიღმა დგას და მართლაც, ჭეშმარიტება რომ ქრისტეს გარეშე არსებულიყო, მე ვარჩევდი ისევ ქრისტესთან დავრჩენილიყავი, ვიდრე ჭეშმარიტებასთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტანჯავს, მაგრამ იგი მას არ განდევნის როგორც უბრალო აჩრდილებს. იგი ფიქრობს, რომ "მოჩვენებები სხვა სამყაროთა ნაფლეთები და ნაწყვეტებია, მათი დასაწყისი". თვითმკვლელობის წინა ღამის სიზმრები იმდენად ცხადად მოჩანს, რომ უფრო ხილვებს მოგვაგონებს, ვიდრე ბუნდოვან სახეთა წყებას, რომლებიც ერთმანეთთან სიზმრის ლოგიკით არაა დაკავშირებული. ისინი რასკოლნიკოვის სიზმარზე უფრო საზარელნი არიან - მკვლელობის შემდეგ რომ დაესიზმრა. არ იქნებოდა სწორი "დანაშაულსა და სასჯელში" მხოლოდ რასკოლნიკოვის თვითნებობაზე რომ გვესაუბრა, რადგანაც უფრო ღრმად, რომანში კიდევ ერთი დანაშაული და სასჯელი ძევს: სვიდრიგაილოვის ძალადობა პატარა გოგონაზე და მისი თვითმკვლელობა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სვიდრიგაილოვმა მართლაც ჩაიდინა ეს დანაშაული? არა მგონია. ოფელიასავით ყვავილებში ჩაფლული თოთხმეტი წლის გოგონას კუბომ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მან იგი გააუპატიურა და ამით თვითმკვლელობამდე მიიყვანა. თუკი ასეა, სვიდრიგაილოვი, შეიძლება ითქვას, ძალზე მგრძნობიარე დემონია, რადგანაც მომდევნო სიზმარში მისი მსხვერპლი უკვე ხუთი წლის ბავშვად გადაიქცევა და სიგიჟემდე მიჰყავს იგი, როცა "ცეცხლოვანი და უსირცხვილო მზერით" აკვირდება სვიდრიგაილოვს. როცა სვიდრიგაილოვის შესაძლო ბოროტმოქმედებებზე კითხულობ, დოსტოევსკის ბიოგრაფების სიტუაციაში ვარდები; მათ იცოდნენ დოსტოევსკის სენის შესახებ და ვერ ბედავდნენ დაწერილი სიმართლედ ეღიარებინათ.

"დანაშაულსა და სასჯელში" ბავშვის გაუპატიურება თავად ბოროტების არსს გამოხატავს; სტავროგინი "ეშმაკნიდან", რომელიც რუსეთის ყველა დემონს განასახიერებს, "აღსარებაში" იგივე დანაშაულს აღიარებს. მაგრამ ტიხონთან მისი საუბარი მკითხველს ბოლომდე არ აკმაყოფილებს. შეუძლებელია დაიჯერო, რომ სტავროგინმა მართლაც ჩაიდინა ის, რასაც ჰყვება. მისი აღსარების მიზანი, რომელიც გამოხატვის სტილითაც საზარელია, ტიხონისთვის შეუმჩნეველი როდი რჩება; იგი ხვდება, რომ სტავროგინისთვის ეს გამოწვევის აქტია და არა მონანიებისა, იგი პატიებას კი არ ითხოვს, არამედ სურს, რომ ზიზღსა და სიძულვილს აღძრავდეს. როგორც ჩანს, დანაშაულის გრძნობა დოსტოევსკისთან მუდამ ცდილობდა ერთსა და იმავე სიმბოლურ მოვლენაში განხორციელებულიყო, რომელიც - როგორც ურღვევი შესაბამისობა - კვლავ და კვლავ განმეორდებოდა.

ეს სიმბოლური რეალობა და სვედენბორგის ჯოჯოხეთები ერთი და იმავე მასალისგანაა მოქსოვილი და იგი არ ექვემდებარება ცხადისა და მოჩვენების, ობიექტისა და სუბიექტის გამიჯვნის ტრადიციას.

## დოსტოევსკი - ერესიარქოსი

ალბათ დოსტოევსკი "დანაშაულსა და სასჯელზე" მუშაობისას სვედენბორგს კითხულობდა და მისთვის შთაგონების წყაროდ იქცა თეოლოგია, რომელშიც ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წარმოსახვას. ძნელია, ზუსტად თქვა, თუ რა შეითვისა დოსტოევსკიმ სვედენბორგისგან: ერთადერთი გამონაკლისი, ალბათ, სვედრიგაილოვის ობობებიანი აბანოა. მაგრამ დოსტოევსკი-თეოლოგის აზრის მსვლელობა გაცილებით უფრო რთულია დეტალების შესაძლო სესხებაზე და სვედენბორგის ტექსტებს, როგორც ჩანს, აქ შეუძლიათ რაღაცაზე მიგვანიშნონ.

ნადეჟდა მანდელშტამის სიტყვით, ანა ახმატოვა დოსტოევსკისა და ტოლსტოის ერესიარქოსებს უწოდებდა. მართალიცაა. ვერც საოცარმა გონიერებამ, ვნებამ და ვერც რაიმე სხვამ, ვერ დაიცვა ისინი, რომ უცნაური, ველური თუ არა, მოძღვრებები ექადაგათ. ერთმანეთის შეურიგებელ მტრებს, მათ ერთი რამ აერთიანებდათ - სურვილი იმისა, რომ ქრისტიანობა თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებისთვის მოერგოთ. მაგრამ როგორც ჯერ კიდევ სოლოვიოვმა შენიშნა, ტოლსტოის რუსიზმით გაზავებული "ნამდვილი ქრისტიანობა, სულ უფრო წააგავდა ათეისტურ ბუდიზმს. ტოლსტოი-მქადაგებლის უზარმაზარ მემკვიდრეობაში სახარების მეტაფიზიკური საზრისი ქრება: ფსკერზე მხოლოდ მორალური ჭკუის სწავლებებიღა რჩება. ალბათ, არ გადავაჭარბებ, თუკი ვიტყვი, რომ დოსტოევსკიმ - თუკი ათვლის წერტილად ფურიერისტულ ფაზას მივიჩნევთ, როცა იგი პეტრაშეველთა წრეს მიეკუთვნებოდა - იმითვე დაიწყო, რითაც ტოლსტოიმ დაამთავრა.

როცა სენ-სიმონის, ფურიეს ან ჟორჟ სანდის შესახებ ვსაუბრობთ, უტოპიური სოციალიზმის ქრისტიანიზებული ლექსიკონიც უნდა გვახსოვდეს. უტოპიური სოციალიზმი უარყოფდა ქრისტიანულ ეკლესიას, მაგრამ საკუთარ თავს სახარების ნიშნის ქვეშ განიხილავდა; იგი გარკვეულწილად მემკვიდრე იყო წარსულის სახალხო-ქრისტიანული მოძრაობებისა, ჰუსიტებისა და ანაბაპტისტების, რომლებიც ცდილობდნენ ადრექრისტიანული საზოგადოების თავდაპირველ სიწმინდეს დაბრუნებოდნენ. მაგრამ იგივე სიტყვების მიღმა იმალებოდა ძირეული ცვლილებები თავად რწმენაში - XVIII საუკუნის განმანათლებლობის შედეგი. ცენტრალური ადგილი ახლა ქრისტეს კი არა, სოციალურ უტოპიას უკავია: თავად იესოს კი თაყვანს ცემენ, როგორც მხოლოდ მაცნეს, უდიდეს მასწავლებელსა და რეფორმატორს. როგორც ცნობილია, დოსტოევსკიზე გავლენა იქონია ბელინსკის ბოროტმა და დამამცირებელმა სიტყვებმა ქრისტეს შესახებ. პეტრაშეველებთან ურთიერთობისას ყველაფერი სხვანაირად იყო: ფურიესა და კონსიდერანეს მოძღვრებები ვერაფერს აკლებდა მის სულიერ მიჯაჭვულობას მაცხოვართან, როგორც ზნეობრივი იდეალის განსახიერებასთან, რადგანაც ზეციური საუფლოს მიწაზე გადმოტანას ფიქრობდნენ და ეს მიზანი ადვილად აღსრულებადი ეგონათ. მოგვიანებით, დოსტოევსკის მთელი ცხოვრება - ომსკის კატორღიდან მოყოლებული - აღბეჭდილი იქნება განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლით ქრისტეს ორ სახეს შორის: პირველი - ესაა სახე მიუწვდომელი განხორციელებული სრულყოფილებისა, რომელიც სიკვდილის კანონს ემორჩილება და მეორე - სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთკაცის სახე. ამ დაპირისპირებამ, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა პეტრაშეველი ჰუმანისტებისთვის და სოციალისტებისთვის, დოსტოევსკის მთელი მომდევნო შემოქმედება განსაზღვრა და ბოლოს "დიდი ინკვიზიტორის ლეგენდით" დასრულდა. ინკვიზიტორი ისევე ედავება ქრისტეს, როგორც უტოპიური სოციალიზმი თავის წარმოსახვით მაცნეს, რომელიც - ორივე შემთხვევაში! - უარს ამბობს თავსმოხვეულ ტიტულზე და უფრო მეტიც, ამტკიცებს, რომ მოსწავლემ მას ვერ გაუგო. სინამდვილეში ხომ, ქრისტე გვასწავლის, რომ ზეციური საუფლო არა ამ სოფლისგან არის და ადამიანისთვის მის მიერ მინიჭებულ თავისუფლებას არანაირ სრულყოფილ საზოგადოებამდე არ მივყავართ. დოსტოევსკიში ჩაბუდებულ უტოპისტს ისე სურს მიწაზე დაამკვიდროს ზეციური მეუფება, რომ დიდი ინკვიზიტორის მხარეს იკავებს. აქედან მომდინარეობს გაორებული ავტორის ცეცხლოვანი სიტყვაც, რომელსაც მოხუცი ინკვიზიტორი წარმოთქვამს. ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება აქ ადამიანური ბედნიერების უმთავრეს დაბრკოლებად წარმოგვიდგება და ამიტომაც იგი უნდა უარვყოთ. მაგრამ როგორც კი უმთავრეს მიზნად ადამიანთა მიწიერ ბედნიერებას აღიარებენ, აღმოჩნდება, რომ იგი მხოლოდ ადამიანური თავისუფლების სრული გაუქმებითაა შესაძლებელი. კამათი გამოხატავს დოსტოევსკის ღრმა იმედგაცრუებას, იმის შიშით, რომ ქრისტიანული რწმენა შეიძლება გაუქმდეს - თავად მასში, რუსულ ინტელიგენციაში, დასავლეთ ევროპაში. სწორედ ეს უბიძგებს მას, ყველაზე შემთხვევით და უაზრო საშუალებებს მიმართოს ამის თავიდან ასაცილებლად. დიადი არჩევანის წინ - ქრისტიანული ცივილიზაცია თუ შიგალევისა და დიდი ინკვიზიტორის ტოტალიტარული სახელმწიფო - მას, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფრის მიუხედავად, მესამე გზისა სწამს და წმინდა რუსეთს ეჭიდება - მუჟიკითა და მეფით - როგორც ერთადერთ შესაძლებელ საყრდენს ქრისტიანობისა და აქედან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლებისა.

## ადამიანური და ღვთაებრივი

საკითხი ქრისტეს ორგვარი ბუნების შესახებ დოსტოევსკის მთელი შემოქმედების საფუძველში ძევს და იგივე განაპირობებს მის გადასვლას სოციალისტური უტოპიიდან ნაციონალურზე. იმის თქმა, რომ იგი რაღაც მომენტში, ბელინსკის გავლენით, ათეისტად იქცევა, აბსოლუტურად არასწორი იქნება: ორმოციან წლებში იგი ატანილი იყო ქრისტე-მოძღვარის სახით არანაკლებ, ვიდრე მოგვიანებით, კატორღაში. და მაინც, უეჭველია, რომ ომსკში დოსტოევსკიმ სულიერი გადატრიალება განიცადა; ამიერიდან რწმენის აუცილებლობა მისთვის სრულიად აშკარა გახდა. მისი მრავალჯერ ციტირებული წერილი, რომელიც ფონვიზინას მისწერა 1854 წელს, კატორღიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, უკვე შეიცავს იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც შემდეგ მის გმირებს გასტანჯავენ: "... ჩემთვის რომ ვინმეს დაემტკიცებინა, რომ ქრისტე ჭეშმარიტების მიღმა დგას და მართლაც, ჭეშმარიტება რომ ქრისტეს გარეშე არსებულიყო, მე ვარჩევდი ისევ ქრისტესთან დავრჩენილიყავი, ვიდრე ჭეშმარიტებასთან".

უკანასკნელი სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია ერესიარქოსს მივაკუთვნოთ. ვის უნდა დაემტკიცებინა, რომ ქრისტე ჭეშმარიტების მიღმა დგას? მეცნიერს თუ ფილოსოფოსს, რომელთათვისაც ყველაფერი რაღაც კანონებს ექვემდებარება და რომლებიც ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ამბავზე მხრებს იჩეჩავენ? დოსტოევსკის გმირები ხომ სწორედ ამგვარი დამამტკიცებელი საბუთების მიმართ, ბუნების კანონებისადმი არიან განსაკუთრებით მგრძნობიარენი და ეს კანონები ასე თუ ისე გამოხატავენ მისი პიროვნების "ინტელექტუალურ მხარეს" - იპოლიტი "იდიოტში", "ეშმაკნის" კირილოვი და ივან კარამაზოვი. გაგახსენებთ პავლე მოციქულის სიტყვებს: "ხოლო ქრისტე თუ არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც" (I კორინთ.15.14). იპოლიტი, კირილოვი, ივანი და დიდი ინკვიზიტორი დარწმუნებული იყვნენ ამაში, მაგრამ ესმოდათ, რომ თუკი ეს მართლაც ასეა, თუკი ქრისტე, თავისი აღდგომის წინასწარმეტყველებისას ცდებოდა, მაშინ სამყარო - მხოლოდ ეშმაკის ბილწ ხუმრობად უნდა მივიჩნიოთ. თავად დოსტოევსკის, ან მისი სულის იმ ნაწილს, რომელიც მისი გმირების სკეფსისს ეწინააღმდეგება, ერჩივნა ქრისტესთან დარჩენილიყო, ვიდრე ჭეშმარიტებასთან, რაც ფაქტობრივად, უთმობს ბრძოლის ველს ე.წ. სამეცნიერო მსოფლმხედველობას. რწმენისა და გონების დაპირისპირების მიღმა უძველესი ტრაგედია დგას, მაგრამ რწმენისა და ჭეშმარიტების დაპირისპირება საზარელი სიახლეა, რომელმაც ბევრი ილუზორული იდეა შეიძლება შვას.

შეუძლებელია ამ იდუმალ გამონათქვამს სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. რადგანაც სახარება არაა ეთიკური ტრაქტატი და ხშირად იგი საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგება: ბევრი ქრისტიანი მისტიკოსი გვირჩევდა ქრისტეს პიროვნებას დავყრდნობოდით და არა ფორმულირებულ ნორმებსა და ღირებულებებს. რა თქმა უნდა, კარგი რჩევაა, მაგრამ იგივე შეიძლებოდა ეთქვა სექტანტსაც: იგი გვაძლევს საშუალებას, გადავიაზროთ ქრისტეს სახე, როგორც ნებისმიერ ჩვენთანს მოესურვება. ეჭვი მაქვს. რომ დოსტოევსკის რუსი ქრისტე სწორედ ამგვარ უკიდურეს თვითნებობასთანაა დაკავშირებული.

## დოსტოევსკის მიდგომა

სვედენბორგისა და ბლეიკის კვალად, დოსტოევსკი ცდილობს რაღაცნაირად შეითვისოს მწვალებლობა და მასში ქრისტეს შესახებ თავისი მოძღვრება ჩართოს. რომანში ამის გაკეთება, ალბათ, უფრო რთულია, ვიდრე თეოლოგიურ ტრაქტატში ან პოემაში. დოსტოევსკი თითქოს ამბობს: თუკი წარმოდგენა ღმერთკაცის, როგორც ცოდვისგან თავისუფალი არსების შესახებ რაღაცას ნიშნავს, მაშინ ადამიანის ბუნებაში მინიშნება მაინც უნდა იყოს იმაზე, რომ ეს შესაძლებელია. აი, რატომ ხარჯავს დოსტოევსკი ამდენ ენერგიას, რათა რომანის გმირად აბსოლუტურად კარგი ადამიანი აქციოს და იგი კრახს განიცდის. თავადი მიშკინი - ამის ცოცხალი უარყოფაა: მისი საქციელი იმის დამადასტურებელია, თუ რამდენადაა ადამიანის ბუნებაში ფესვგადგმული თავკერძობა და რამდენად არაბუნებრივად გამოიყურება ადამიანი ამ ვნების გარეშე. აგრესიისგან და სექსუალური ვნებებისგან გათავისუფლებული მიშკინი, თავისი აბსოლუტური თავდავიწყებით, ისეთივე მონსტრია, როგორც სტავროგინი, მისი მოუთვინიერებელი თავკერძობით. ბერი ზოსიმე კი პირდაპირ წმიდათა ცხოვრებიდანაა აღებული და განზე მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ ჩვენი გამოკითხვებისგან მონანიე ცოდვილის ავტორიტეტითაა დაცული. რაც შეეხება ალიოშას, იგი დამაჯერებელია, ვიდრე "კარამაზოვულად" იქცევა და მათთან იგივე ბნელი, ცოფიანი სისხლი აკავშირებს. მის მქადაგებლურ მოღვაწეობას სკოლის მოსწავლეებთან და მათი ძმობის უკანასკნელ სცენას, ვაღიარებ, მელოდრამის სუნი ასდის და ძალზე დატკბილულია. მხატვრული სიყალბის მიღმა აქ დოსტოევსკის გაზვიადებული კოლექტივისტური რწმენის სიყალბე ძევს, მწვალებლური შეხედულებები, რომლებიც განსაკუთრებული სიმკვეთრით პუბლიცისტიკაში გამოჩნდა. ალიოშა - ქრისტიანი მოძღვარი - მომავალ რუს ქრისტეს უნდა განასახიერებდეს და ამიტომაც თორმეტი მოსწავლე ჰყავს, მაგრამ უცნაური სტილისტური შემთხვევითობით (შემთხვევას კი თავისი სტილი აქვს!), სანუკვარი ეკლესია უეცრად ბოისკაუტების რაზმად გადაიქცევა. საეჭვოა, რომ ქვეყნად ღვთის მეუფების დამკვიდრება კაცობრიობის ბოისკაუტებად გადაქცევით იყოს შესაძლებელი. აი რატომაა, რომ "ძმები კარამაზოვების" ეს თავები უნებლიე პაროდიად ითვლება. ხოლო "ეშმაკნის" შატოვი, რომელიც ღვთიურ რუსეთს სცემს თაყვანს, მაგრამ არ სწამს ღმერთის, დოსტოევსკის მიერ საკუთარი თავისთვის დაგებულ სარკასტულ ხაფანგს ჰგავს.

დოსტოევსკის ამბოხში ხაზგასმული, გადამეტებული მორალური მგრძნობიარობა ჩანს: სამყარო უნდა უარვყოთ, რადგანაც იგი შეურაცხყოფას აყენებს ადამიანის ზნეობრივ გრძნობას, სამყარო ხომ აღსავსეა ცოცხალი ადამიანების ტანჯვითა და სიკვდილით, რომლებიც მუდმივად აწამებენ ერთმანეთს. ასეთ ბუნებრივ კანონებს უნდა დაუპირისპირდეს ქრისტეს იდეალური ადამიანი. მაგრამ, საუბედუროდ, ამბოხებულთათვის იგი მხოლოდ ადამიანია, რომლის შეცდომებიც ასევე უნდა გამოვასწოროთ; აქედან ლოგიკური დასკვნა - ადამიანი-ღმერთის გარდაუვალი მოსვლის შესახებ. ალბათ, დოსტოევსკის შეუძლია დამაჯერებლობა მიანიჭოს მას იმიტომ, რომ იდეალური ადამიანის, როგორც აბსოლუტურად უწყინარი, მოკრძალებული და საკუთარი "მე"-სგან დაცლილი არსების შესახებ უტოპიური (ფურიერისტული) წარმოდგენებიდან ამოდის. მაგრამ დოსტოევსკის მარცხი - ალბათ გამარჯვებებზე უფრო ცხადად - მოწმობს დილემის არსებობაზე, რომელიც ლამის თვრამეტი საუკუნის წინ გაჩნდა ადრექრისტიანულ ეკლესიასა და გნოსტიციზმს შორის კამათის სახით. ადამიანის განღმრთობა და ამასთანავე სამყაროს, როგორც ხორცშესხმული ბოროტების ზიზღი, სახიფათო და უმწეო საქმიანობაა.

პუბლიკაცია მოამზადა
**მალხაზ ხარბედია**

**არილი**



ზურაბ კიკნაძე

# თანამედროვე ეკლესია და წარსულის "მოზეიმე მყუდროება"



*წერილი მეორე*
*დასაწყისი იხ. "არილი" №2, 2000*

## რამდენიმე სიტყვა სალიტურგიო ენაზე

წინა წერილში ვწერდი, რომ ეკლესიის მამებს, თითოეულ მათგანს აქვს კერძო შეხედულება, რომელთა დოგმატიზაცია არ მომხდარა. ასევე ეკლესიის ცხოვრებაშიც არსებობს სფეროები, რომელთაც დოგმატიზაცია არ შეხებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი არ ექვემდებარებიან დოგმატურ განსაზღვრებებს. ერთი ასეთი სფეროა, რომელიც იქნებ თეოლოგუმენურ გადაწყვეტას მოითხოვდეს, მაგრამ ისევ და ისევ ეკლესიის მოძღვრების შუქზე - ეს არის ენის პრობლემა ლიტურგიაში. მე არ დამისვამს საკითხი ლიტურგიული ტექსტების ტოტალურად თარგმნის თაობაზე (ეს ეკლესიის პრეროგატივაა და თუ დადებითად გადაწყდება, ეს ერთჟამიერი აქტი არ იქნება, არამედ ხანგრძლივი პროცესი), მხოლოდ აღვნიშნე, რომ მრევლს არ ესმის ძველი ენა. ოპონენტი ამის საპასუხოდ წერს: "მრევლი ამის შესახებ არ ჩივის".

ძალიან ცუდია, თუ არ ესმის და არ ჩივის. ვისაც ესმის, ის არ იჩივლებს. მაგრამ რამდენია მრევლში ეს "ვინ"? შეიძლება ტესტის ჩატარება, რა ესმით და როგორ ესმით. დამერწმუნეთ, მძიმე შედეგს მივიღებთ. არ გამიძნელდება ისეთი ფრაზის მოძებნა, რომლის ენობრივი გარსი უიმედოდ დაძველებულია, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა (ამავე დროს, თითო-ოროლა ნიმუშს არგუმენტის ძალა არ ექნება). არაფერს ნიშნავს, რომ მრევლი არ ჩივის. უსიტყვო მორჩილება არასოდეს ჩივის. შესაძლოა, მრევლი ფიქრობს, რომ ლიტურგიის ენა შიგადაშიგ პრინციპულად გაუგებარი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მისი, როგორც რიგითი მორწმუნის, გასაგები არ უნდა იყოს. ვისთვისაც ჯერარს გაგება, მას ესმის. მოძღვარს ესმის. ლიტურგია სამღვდელოს პრეროგატივაა. ასე ფიქრობს მრევლი. მაგრამ ასეა ეს? თავდაპირველ ეკლესიაში არ იყო ასე. მრევლი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლიტურგიაში (ეს სიტყვაც ამას ნიშნავს: სახალხო მსახურებას). და მრევლს, უბირსაც კი, ენობრივ დონეზე მაინც ყველაფერი ესმოდა. თუ საწინააღმდეგოს დავუშვებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველ ეკლესიაში საღვთო ლიტურგიის ნაცვლად მაგიური ქმედებები ხდებოდა. მაგრამ ეკლესიის ისტორია არ იცნობს ისეთ ენობრივ სიტუაციას, როცა ღვთისმსახურების ენა მრევლისათვის ენობრივად ბუნდოვანი ან გაუგებარი იქნებოდა. და შემდგომაც, არც ერთ მსოფლიო საეკლესიო კრებას არ დაუდგენია, რომ სალიტურგიო ენა გამიჯნული უნდა იყოს საყოველდღეო ენისაგან, რომ უნდა არსებობდეს სალაპარაკო ენისაგან განსხვავებული წმიდა ენა. "წმიდა ენის" ცნება ბაბილონის შემდგომი პერიოდის რეალობაა, იგი უცხოა ქრისტიანული სამყაროსათვის. ებრაულს წმიდა ენის სტატუსი აქვს დღემდე იუდაიზმში, მაგრამ არც ძველი (სეპტუაგინტას ენა) და არც ახალი აღთქმის ბერძნული არასოდეს გამოცხადებულა წმიდა ენად. შეიძლება ვილაპარაკოთ ბერძნული და ძველი ქართული ენების მადლმოსილებაზე. მაგრამ მადლი ბუნებით დაჰყვა ამ ენებს? ვის შეუძლია თქვას, რომ ეს მადლი მათი ბუნებრივი თვისებაა და არა მინიჭებული? რაკი მოსავს, ბუნებითი არ უნდა იყოს. ეკლესიამ არ მიანიჭა ეს მადლი? რა უშლის ეკლესიას, რომ აკურთხოს ახალი ენაც და ის გახდება, როგორც ძველი ენის მიმართ არის ნათქვამი, "კურთხეული და შემკული სახელითა უფლისათა". ათონელთა ცხოვრებაში ლაპარაკია, რომ შემკულობა და კურთხეულობა ქართულმა ენამ წმიდა წერილის თარგმანთა წყალობით შეიძინა.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს "საპატრიარქოს უწყებანი" პრინციპული მოწინააღმდეგე არ არის ლიტურგიული ტექსტების განახლებისა, რაკი სვამს კითხვას: "ვინ უნდა გადმოახალქართულოს ძველი ტექსტები, ვინ უნდა შეასრულოს ეს უზარმაზარი სამუშაო?" თუ სურვილი და ნება იქნება, დაუძლეველი არაფერია.

რა არის თავისთავად ენა? ენა არის ნახევრად ბუნების, ნახევრად კულტურის მოვლენა. ენა, როგორც მოცემულობა, არ შეიცავს თავის თავში - თავის ფონეტიკაში, ლექსიკაში, გრამატიკულ სისტემაში - სიწმიდეს არც ზოგადად ქრისტიანულ-რელიგიური და არც კერძოდ მართლმადიდებლური აზრით. თუმცა რუსი სასულიერო პირნი სხვა აზრის არიან. ერთგან ვკითხულობთ: "Славяне промыслительно одарены благословенным языком, служившим веками для богослужения, Священного Писания и молитвы, и никогда не низшим житейским нуждам, ни даже церковной литературе (Сети "обновленного православия", М., 1995, стр.92). უფრო მეტიც არის ნათქვამი: სლავური ენა თითქმის ერთადერთი ენაა საღვთო ლიტურგიისა, რასაც სხვა ენები მოკლებულნი არიან განგების ძალით: "Но промыслом Господним не всякому народу дано проводить богослужение на своем языке... Не было воли Божьей на то, чтобы Святая Литургия произносилась на языках иных: татарском, украинском и всех других языках, которые входят как часть в единую Русскую Православную Церковь" (стр.84).

აქ გამოთქმული აზრები სრულიად უცხოა მართლმადიდებლობისათვის, საფუძველშივე ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სახარების სულს, არამედ ბიზანტიურ საეკლესიო პოლიტიკასაც, რომელმაც გზა და სტიმული მისცა თავის დროზე სხვადასხვა ენებს წმიდა წერილის მისაღებად. ამ პოლიტიკის წყალობა იყო, რომ ქართველობამ ძალზე ადრე მიიღო თავის ენაზე წმიდა წერილი. ის, ვინც არსებული სალიტურგიო ენების აბსოლუტურ ბუნებით მადლსა და სიწმიდეს აღიარებს, მან ზემოთ დამოწმებული სიტყვებიც ზოგიერთ ენათა პრივილეგირებულობის შესახებ ჭეშმარიტებად უნდა ჩათვალოს. და არიან კიდეც ადამიანები ჩვენში, ასე რომ ფიქრობენ და ცდილობენ სიწმიდით შემოსონ ეს აზრი.

ენა და ერი იდენტური ცნებებია ბიბლიაში ("ყოველნი ენანი აქებდეთ უფალსა..."). ამიტომაც, ენების რანგებად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ტიპებად დაყოფის ენებზე გადატანილი პრედესტინაციული გნოსტიკური თეორია, რომელიც იმთავითვე დაგმო ეკლესიამ. ამ ცრუმოძღვრების თანახმად, არიან ადამიანები, შობითგანვე ხსნის გარეშე დარჩენილნი - ესენი არიან "ხორციელნი", მათი ბედი იმთავითვე გადაწყვეტილია. მხოლოდ სულიერნი გადარჩებიან. რუს ღვთისმეტყველთა ფიქრით, ენათა შორის ასეთი "სულიერი" მხოლოდ ძველი სლავურია და, თუ რომელიმე ეროვნების ადამიანს სურს ხსნა, ხსნას ის მხოლოდ და მხოლოდ ამ ძველი, გაუგებარი ენის საშუალებით მიაღწევს. ავტორის "რწმენით", რუსეთში მცხოვრები არარუსი ქრისტიანი ერები მხოლოდ ამ ენის მეოხებით უნდა ეზიარონ ქრისტეს. მაგრამ რა ბედი ეწევათ სხვებს, ვინც რუსეთში არ ცხოვრობს, არამედ ალიასკაზე, ვისთვისაც მიუწვდომელია ძველი სლავური, ძველი ბერძნული, ძველი ქართული?

"არაფრით არ შეიძლება იმის თქმა, განაგრძობს რუსი ავტორი, რომ IX საუკუნეში სლავური ღვთისმსახურება უფრო გასაგები იყო, ვიდრე დღეს" (გვ.94). სხვა ავტორს, ასევე სასულიერო პირს, ამგვარი სიტყვა აქვს მომზადებული ენის ბუნდოვანების გასამართლებლად: "თავად მოციქულებიც კი, რომლებსაც ქრისტემ დაავალა თავისი ეკლესიის დაფუძნება, უცებ ვერ ხვდებოდნენ ყველაფერს, მაგრამ ეს არ აცბუნებდა არც ქრისტეს, არც მათ: "და ეს სიტყვა დაფარული იყო მათთვის და ვერ ხვდებოდნენ ნათქვამს!" (ლ.18,34)". ნუთუ ავტორი ნამდვილად ფიქრობს, რომ აქ ლაპარაკი ენობრივ გაუგებრობაზეა? სახარების ეს ადგილი გვეუბნება არა იმას, რომ მოციქულებს ენა (კერძოდ, არამეული) არ ესმოდათ, არამედ იმას, რომ ისინი ვერ ხვდებოდნენ ნათქვამის საიდუმლო აზრს (ლაპარაკია აღდგომის საიდუმლოზე).

კიდევ გავიმეორებთ, რომ ქრისტიანულ ეკლესიას არც მის დასაბამში, არც რომელიმე პერიოდში არ მოუთხოვია ღვთისმსახურების, ლოცვებისა თუ ქადაგებებისათვის ყოველდღიური სამეტყველო ენისაგან განსხვავებული ენა. რუსი ავტორი კი წერს: "არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა ყოველნაირი სიტყვა (не всякое слово) ადის ღმერთამდე, არა ყოველნაირი ლოცვა მოსწონს ღმერთს" (გვ.83). ამ სიტყვებში არის რაღაც წილი ჭეშმარიტებისა: მართლაც, ღმერთს არ მოსწონს ყოველნაირი სიტყვა. მაგრამ ჭეშმარიტება უნდა თქმულიყო ბოლომდე: ღმერთს მოეწონება ყოველნაირი სიტყვა, თუ ის გულწრფელია, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს წარმოთქმული. ის აკურთხებს ყოველ სიტყვას და ყოველ ენას, თუკი ის ჭეშმარიტების გამოხატვას და თავის თავში მოცვას იტვირთავს. გავიხსენოთ, ვისი ლოცვა შეიწყნარა ღმერთმა - უბირი მეზვერისა თუ ფარისევლის, რომელიც არ დააკლებდა ცდას და მოახერხებდა კიდეც, რომ მისი ლოცვის სიტყვები, რაც შეიძლება, ზეაწეული და ამსოფლიურს განრიდებული ყოფილიყო.

## დოგმატების შესახებ

"დოგმატის შექმნა შეუძლებელია. იგი მარადიული, ღვთივგანცხადებული ჭეშმარიტებაა (და არა ჭეშმარიტების მცველი, როგორც ბატონი ზურაბი ამტკიცებს). ნიკეის და სხვა მსოფლიო კრებებზე მოხდა ამ ჭეშმარიტებათა სწორედ, სიტყვიერად გამოთქმა, მათი ფიქსაცია ვერბალურ დონეზე, ზუსტი ტერმინებით გამოხატვა და არა მათი შექმნა ან გამოგონება", წერს "საპატრიარქოს უწყებანი".

არსებობს გამოცხადება და არსებობს დოგმატი. ეს ორი სხვადასხვა რეალობაა. დოგმატი ჭეშმარიტების გამოცხადების სიტყვიერი სამოსელია. დოგმატი თავისთავად, როგორც ასეთი, ღმერთკაცებრივი შემოქმედებაა. გამოცხადების შინაარსი ანუ ჭეშმარიტება ღვთიურია; დოგმატი კი, როგორც მისი ჭურჭელი - კაცებრივი. ბარძიმი ადამიანის შექმნილია, მაგრამ ის, რაც მასშია ანუ წმიდა ნაწილი, არ არის ადამიანის შექმნილი. დოგმატი, რა თქმა უნდა, გამონაგონი არ არის, მაგრამ ის შექმნილია დოგმატშემოქმედების პროცესში. ამგვარი სიტყვიერი გარსით ის არ გამოცხადებულა.

იყო დრო ქრისტიანობის, ქრისტეს ეკლესიის ისტორიაში, როცა არ არსებობდა დოგმატები. ერთი ღვთისმეტყველის თქმით, თავდაპირველი ეკლესია ადოგმატური იყო მსოფლიო კრებების ეპოქასთან შედარებით. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ გამოცხადებით მიღებული ჭეშმარიტება ჯერ კიდევ არ იყო მკაცრ სიტყვიერ ფორმულებში მოქცეული. და არც იყო ამის აუცილებლობა. ავიღოთ სამაგალითოდ სამების დოგმატი. მოხდა სამების გამოცხადება იორდანეზე ან, უფრო ადრე, მოსეს ჰქონდა მისი გამოცხადება, რომელიც იგავური სახით გადმოიცა ძ[illegible]თქმის პირველსავე მუხლებში [illegible]მა შექმნა", "და თქვა ღმერთმა" - და "სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა"). ასევე იგავურად გადმოიცა იორდანეზე მომხდარი სამების გამოცხადება: მამის ხმა, იესო ქრისტე და მტრედი. სამების დოგმატი, თუმცა მისი ჭეშმარიტება ცნობილი იყო (იმ ზომით, რამდენადაც ეს ადამიანის უნარს ხელეწიფება), მხოლოდ მეორე მსოფლიო კრებაზე იქნა დოგმატურად ჩამოყალიბებული, როცა გაჩნდა მისი არსებობის საჭიროება. ისინი შეიქმნა იმ მიზნით, რომ რაიმე ხვრელი არ დარჩენილიყო მწვალებლური განმარტებებისთვის.

ჭეშმარიტება არ გამოცხადებულა დოგმატის სახით. ასე რომ ყოფილიყო, არც მსოფლიო კრებების მოწვევა გახდებოდა აუცილებელი, რომელთა ძირითადი მიზანი დოგმატთა ჩამოყალიბება იყო მტკიცე ლოგიკურ ფორმულებში. მარადიულია არა თავად დოგმატი, არამედ ჭეშმარიტება, რომელიც დაცულია სიტყვიერ ფორმულაში. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ დოგმატის ესა თუ ის კონკრეტული გამოხატულება ამომწურავია და არ ექვემდებარება დაზუსტებას. ამის მაგალითად მრწამსის სიმბოლოც კმარა: ნიკეაში 325 წელს მიღებულმა 381 წელს კონსტანტინოპოლის კრებაზე განიცადა განვრცობა და დახვეწა, მაგრამ სულიწმიდა რომ ღმერთია, არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული: "და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანის-იცემების და იდიდების..." ეს არ გამოხატავს სულიწმიდის ეჭვმიუტანელ ღმერთობას, როგორც ძის მიმართ არის გამოხატული: "ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა". ტექსტი თითქოს გაურბის სულიწმიდის ღმერთობის აღიარებას. ცნობილია, რომ ეს განაპირობა წმ.ბასილი დიდის იკონომიურმა პოლიტიკამ.



დოგმატები ისტორიულ პროცესში იქმნება, ისინი ისტორიული მოვლენებია, მხოლოდ ღვთიური აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოცხადებაა უცვლელი, რადგან მეტაისტორიულია, სცდება ისტორიის ფარგლებს. ისტორიულობა წარმავალ ფორმას ეხება, არა მარადიულ შინაარსს.

## საერო ხელოვნებისა და, საზოგადოდ, კულტურის თაობაზე

ჩემს შენიშვნაზე, რომ ეკლესიას არ გამოუთქვამს თავისი აზრი კულტურაზე, "საპატრიარქოს უწყებანი" წერს: "ამის გაკეთება ერთობ ძნელია თვით ამ კულტურის დიდი სიჭრელის გამო. ამიტომაცაა, რომ თვით სასულიერო პირთა შორისაც არ არსებობს ერთიანი აზრი. მართლაც და ძნელია ერთმნიშვნელოვანი მიდგომა გქონდეს "ვეფხისტყაოსნისა" და "როკ-ენ-როლის" მიმართ".

მე ვგულისხმობდი თვალსაზრისს საერთოდ კულტურის და არა ცალკეული ნაწარმოებებისა თუ ჟანრების, არა კერძოდ, "ვეფხისტყაოსნისა" და "როკ-ნ-როლის" შესახებ. ვგულისხმობდი კულტურას, როგორც საკაცობრიო მოვლენას, რომელიც ყველა ცივილიზაციაში ადამიანური ყოფის იმანენტური აუცილებლობა იყო და არის. კულტურა დღეს ემანსიპირებულია ეკლესიისაგან. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ ის უძღები შვილია, რომელიც გავიდა მამის სახლიდან და დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჰყო ხელი.

"საპატრიარქოს უწყებანი" ახსენებს "როკ-ნ-როლს". არავინ მოელის "როკ-ნ-როლის" დადებით შეფასებას არც ეკლესიისგან და არც კლასიკური მუსიკის პოზიციებიდან. მსგავსი ხელოვნება შეიძლება შეაფასოს საერო კრიტიკამ, როგორც უკონტროლო ემოციებში ჩაფლული უძღები შვილი. მაგრამ ამგვარი შეფასება, ცხადია, ვერ გავრცელდება მთელ ხელოვნებაზე და, ზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად, მთელ კულტურაზე. ხელოვნება და კულტურა სწორედ ემოციების მართვისა და დახვეწის (სუბლიმაციის) კულტურა და ხელოვნებაა. რაც ქმნის ქაოსიდან კოსმოსს, ეს არის ხელოვნება და კულტურა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ "ობსკურანტი", როგორც "საპატრიარქოს უწყებანი" იხსენიებს, არსობრივად უარყოფს ხელოვნებას. მისი კრიტიკის, როგორც იტყვიან, მახვილი განსაკუთრებით სამსახიობო ხელოვნების წინააღმდეგ არის მიმართული. ჩვეულებრივ, მიუთითებენ "დიდ რჯულისკანონს", სადაც შეტანილია V მსოფლიო კრებების დადგენილებები, რომელთა შორის 52-ე კრძალავს მიმეტურ (ქართულად "სახიობა" და "მზუელაობა") წარმოდგენათა გამართვას, ასევე ცხოველებთან ბრძოლისა და ხოცვა-ჟლეტის სანახაობას ცირკის არენაზე. ძნელია ახლა იმის კვლევა, თუ რა ხასიათისა იყო ეს სახიობა, რომელთა მომწყობნი და ალბათ თავად შემსრულებელნიც (ანუ მსახიობნი) ეკლესიისგან განკვეთით ისჯებოდნენ. ისიც გასარკვევია, თავად სახიობა იკრძალებოდა არსობრივად, როგორც ხელოვნება, თუ კონკრეტულად ის თემატიკა, რომელიც იმხანად შეადგენდა თეატრონთა რეპერტუარს. კრების ოქმებში აკრძალვა არ არის დოგმატურად ფორმულირებული ანუ არ არის მოცემული მისი უარყოფის ანთროპოლოგიური საფუძველი. ხოლო ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ სახიობა ანთროპოლოგიური პრობლემაა. დღეს შესაძლებელია სწორედ ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე მოხდეს სახიობის რეაბილიტაცია. ეს საღვთისმეტყველო პრობლემაა და ალბათ, მისი გადაწყვეტა ეკლესიის წიაღში უნდა მოხდეს, რათა ბოლო მოეღოს მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი მოძღვარი სატანურ საქმიანობად თვლის მსახიობობას, ეკლესიის უმაღლესი იერარქები კი ესწრებიან თეატრალურ წარმოდგენებს. ეს გარემოება დაბრკოლებას უქმნის მორწმუნეს.

ნუთუ მართლა სულის წარმწყმედელია სახიობა (მსახიობის ხელოვნება), როგორც ჩვენს "მართლმადიდებელ ჯვაროსნებს" მიაჩნიათ და ქადაგებენ? ნუთუ ეწინააღმდეგება ის ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, ღირსებას და დანიშნულებას ამ ქვეყნად და იმ სასუფევლად? ვიმეორებ, ვერც წმიდა წერილში, ვერც ეკლესიის მამათა ნაწერებში, ვერც მსოფლიო კრებათა აქტებში ვერ ვიპოვით არგუმენტებს, რომლებიც ადამიანის ბუნების სიღრმისეულ ანალიზზე ან ღვთიურ გამოცხადებაზე იქნება დაფუძნებული. პირიქით კი შეიძლება ვილაპარაკოთ სახიობის ნიჭის ფუნდამენტურობაზე ღვთის ხატის არსებაში. ეს ვრცელი თემაა და მისი გაშლა ამ სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომაც ვიტყვი მოკლედ. ამოვდივარ ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, უნივერსალობიდან, რასაც სხვანაირად, მიკროკოსმოსი ეწოდება. ადამიანი ერთადერთია ღვთის ქმნილებათაგან, რომელიც ატარებს ყოველი ქმნილების პოტენციას - ამას ეწოდება მარტივად მიკროკოსმოსი. ადამიანში არა მხოლოდ ჩადებულია ყოველი ქმნილების პოტენცია ღმერთიდან დაწყებული ქვამდე, არამედ აქვს მონიჭებული ამ პოტენციების რეალიზაციის უნარი. ქრისტიანული ანთროპოლოგია აფუძნებს ადამიანის განღმრთობის ესქატოლოგიურ იდეას, ამავე დროს ადამიანი შეიძლება ქვაც გახდეს, ქვის "სული" განასახიეროს. ადამიანს ღვთისგან მომადლებული გარდასახვის ნიჭის წყალობით შეუძლია ქმნიდეს თავის აბსოლუტურ "სხვას" (როგორც ღმერთი ქმნიდა აბსოლუტურ სხვას ამ ხილულ-უხილავი სამყაროს სახით) და ამ სხვადყოფნის პროცესში თავის თავადვე რჩებოდეს, როგორც პიროვნულ-ინდივიდუალური იგივეობა. სახიობა ერთადერთია ხელოვნებათა შორის, სადაც შემოქმედი მასალად იყენებს არა რაიმეს მის გარეშე არსებულს, არამედ თავის ერთადერთ განუმეორებელ ცოცხალ ხმასა და სხეულს. ეს არის მისი "ინსტრუმენტიც" და "მასალაც". ეს მხარე იმდენად არსებითია, რომ ხელოვანის ზოგადი სახელწოდება "არტისტი" (სიტყვიდან ars, artis, ხელოვნება) თანამედროვე ენებში "მსახიობის" მნიშვნელობით დამკვიდრდა. სახიობას აქვს კიდევ სხვა ასპექტები, რომლებიც მას კი არ აშორებენ ქრისტიანობას, არამედ მის საკუთრივ ხელოვნებად აქცევენ.

დაბოლოს, დავასრულებ გამოჩენილი რუსი რელიგიური მოაზროვნის, წრფელი მართლმადიდებლის გ.ფედოტოვის (1886-1951) თითქოს მოულოდნელი, მაგრამ რეალობის ღრმად გამომხატველი, მართალი სიტყვებით: "თანამედროვე ხელოვნება, თვით ულვთოც კი, უფრო მეტად პასუხობს თანამედროვე გატანჯული სულის რელიგიურ მოთხოვნილებებს, ვიდრე ბიზანტიური მოზეიმე მყუდროება".

**ხრილი**

სოზარ სუბარი

# მოჩვენებითი აღმსარებლობის საფრთხე

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მომზადებული შეთანხმების (კონკორდიუმის) პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის (საქართველოს საპატრიარქოს) პრიორიტეტულ როლს საქართველოს ტერიტორიაზე.



პროექტი, ერთი მხრივ, აშკარად არადემოკრატიულია და მისმა მიღებამ, შეიძლება, ქვეყნის უსაფრთხოებას გარკვეული პრობლემები შეუქმნას. მეორე მხრივ, კონკორდიუმი გაცილებით მეტ საფრთხეს უქმნის თავად ეკლესიას, ვიდრე ქვეყანის უსაფრთხოებას და მისი დემოკრატიული გზით განვითარებას.

## კონკორდიუმი და საქართველოს უსაფრთხოება

საქართველო მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეყანაა. საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში რელიგიურ უმრავლესობას სწორედ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები შეადგენენ.

იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ე.წ. "მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფო", მან უნდა შეძლოს ნებისმიერი უმცირესობის - ეთნიკურის, რელიგიურის, ლინგვისტურის - უფლებების დაცვა. თუ საქართველოს ყველა მოქალაქე თავს ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ არ იგრძნობს, ქართული სახელმწიფო დაემსგავსება ქვიშაზე აშენებულ სახლს, რომელსაც დიდი დღე არ უწერია. კონკორდიუმის პროექტი კი საკმაო საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ საქართველოს ბევრმა მოქალაქემ თავი საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრად მიიჩნიოს და პროტესტი გაუჩნდეს იმ სახელმწიფოს მიმართ, სადაც მისი უფლებები იზღუდება.

პროექტის მიხედვით, მართლმადიდებლური ლიტერატურის გამოცემა საქართველოს საპატრიარქოს სანებართვო სფეროა (მუხლი 27). აქ, პირველ რიგში, გაუგებარია თავად ტერმინი - "მართლმადიდებლური ლიტერატურა". ვის შეუძლია თქვას, რომ ბიბლია არ არის "მართლმადიდებლური ლიტერატურა"? ხოლო თუ "მართლმადიდებლური ლიტარატურაა", ვის აქვს უფლება, რომ საქართველოში მცხოვრებ ბაპტისტს, კათოლიკეს, იეღოველს ან, სულაც ათეისტს წაართვას ბიბლიის გამოცემის, თარგმნის ან, ვთქვათ, ბიბლიური ისტორიის მისთვის მისაღები და გასაგები სახით შექმნა-გავრცელების უფლება?

ან კიდევ, ვინ განსაზღვრავს, რომელია "მართლმადიდებლური ლიტერატურა"? სასამართლოს ექნება ეს პრეროგატივა, პარლამენტს, სპეციალურ სახელმწიფო კომისიას თუ უშუალოდ საპატრიარქოს? განა ეს არ ნიშნავს ცენზორის ფუნქციების მითვისებას? ცენზორის უფლებების მქონე ეკლესია კი აღიქმება, როგორც შუა საუკუნეების ინკვიზიცია. მიტევების კვირას მთელი მსოფლიო გახდა მოწმე, როგორ ითხოვა შენდობა რომის პაპმა მსოფლიოს წინაშე კათოლიკური ეკლესიის სახელით ჩადენილი ცოდვებისთვის. დღეს არ ღირს იმ შეცდომების განმეორება, რაც ეკლესიის სახელით საუკუნეების მანძილზე ხდებოდა.

უკვე წელიწადზე მეტია, რაც გამოსაცემად მომზა-

დებულია ბიბლიის განახლებული, დახვეწილი და რედაქტირებული თარგმანი თანამედროვე ქართულად, რომლის დაბეჭდვაც საპატრიარქოს პოზიციის გამო ფერხდება. არადა, ამ წიგნს მრავალი ადამიანი ელოდება. ვთქვათ, საპატრიარქომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მისი გამოცემა (კონკორდიუმის ძალაში შესვლის შემდეგ), რა დააშავეს იმ ადამიანებმა, ვისაც უნდა, რომ ეს ახალი თარგმანი ჰქონდეს? განა ისინი მტრულად არ განეწყობიან ზოგადად მართლმადიდებლობის, მართლმადიდებელი ეკლესიისა და იმ ქვეყნის წინააღმდეგ, ვინც მათ ამ წიგნის გამოცემას უკრძალავს?

ან, დავუშვათ, საქართველოში არსებულმა კათოლიკურმა ეკლესიამ გადაწყვიტა ნეტარი ავგუსტინეს რომელიმე თხზულების გამოცემა. ვის შეუძლია თქვას, რომ ნეტარი ავგუსტინეს თხზულებები არ არის მართლმადიდებლური ლიტერატურა? მაგრამ ნეტარი ავგუსტინე და მისი შემოქმედება ისევეა კათოლიკური ეკლესიის კუთვნილება, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის. რას იზამს საპატრიარქო, მოითხოვს, რომ მისი ნებართვის გარეშე არ გამოიცეს ეს თხზულება? ან, მსგავსი დავის წარმოშობის შემთხვევაში, ვის ექნება საბოლოო სიტყვის თქმის უფლება - საპატრიარქოს, სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტს თუ რომელიმე "ზემთაგონებულ ადამიანს", რომელიც "უფლის ნებას" გაგვიმჟღავნებს?

ან, არის თუ არა "მართლმადიდებლური ლიტერატურა" რომელიმე ათონელი მამის რომელიმე თარგმანი? რა ქნას ხელნაწერთა ინსტიტუტმა, წიგნის გამოსაცემად მომზადებისთვის გაწეულ შრომას ნებართვის აღებისთვის გაწეული შრომაც უნდა დაუმატოს?

ან, ვინ უნდა გააკონტროლოს, გამოსცემს თუ არა ეკლესიიდან განკვეთილი რომელიმე ჯგუფი (ვთქვათ, ბასილ მკალავიშვილის ან ანდრია ბოროდას დაჯგუფება) მართლმადიდებლურ ლიტერატურას, ან რა უფლებით შეიძლება მათ ვინმემ დაუშალოს იოანე ოქროპირის რომელიმე ჰომილიის გამოცემა?

ან, რას ნიშნავს "მართლმადიდებლური სანთელი", რომლის გამოშვებაც საპატრიარქოს სანებართვო სფეროებში შედის (მუხლი27)? როგორ უნდა განვასხვავოთ კათოლიკური სანთელი და საკმეველი მართლმადიდებლურისგან?

ან, ვინ არის დარწმუნებული, რომ საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლებას აღფრთოვანებული შეხვდებიან სხვა კონფესიის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში? საღვთო სჯული, მით უმეტეს, თუ მის სწავლებას საპატრიარქო გააკონტროლებს (მუხლი 17), არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო-კულტუროლოგიური საგანი, იგი კონფესიური საგანია და მისი სწავლა უამრავი სხვა კონფესიის ადამიანისთვის იქნება მიუღებელი. რატომ ვქმნით უკმაყოფილებისა და დაძაბულობის ახალ კერებს? მით უმეტეს, რომ ამ საგნის სწავლება არც სარწმუნოებრივად მოიტანს სიკეთეს და არც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თვალსაზრისით.

საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა მართლმადიდებლობაზე აღმოცენდა და მასზეა დაფუძნებული. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ გაეცნოს ამ კულტურას და გაითავისოს იგი, ამის გაკეთება კი ამ კულტურის ქრისტიანული ფუნდამენტის გაცნობისა და შესწავლის გარეშე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, რომ ქრისტიანულ სწავლებას გაეცნონ, მაგრამ ამან სკოლებში მისიონერული ხასიათი არ უნდა შეიძინოს. არადა, სახელწოდება "საღვთო სჯული" სწორედ ამ ასოციაციას აღძრავს.

ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის უპირველესი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა მაცხოვრებელმა ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი. მხოლოდ ასეთი სახელმწიფო იქნება კლდეზე დაფუძნებული და მხოლოდ ასეთი სახელმწიფო გაუძლებს დროთა ქარტეხილებს.

## სხვათა მსახურება თუ სხვაზე ბატონობა?

მიუხედავად არადემოკრატიულობისა, კონკორდიუმი სახელმწიფოს მშენებლობასა და დემოკრატიის განვითარებას ვერ შეუქმნის ისეთ საფრთხეს, რასაც თავად ეკლესიას. როგორც ფილოსოფოსი გია ნოდია წერს, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის თვალსაზრისით, შეთანხმების დადების შემდეგ ის მაინც მოხდება, რომ ეკლესია ვერ განაცხადებს პრეტენზიას კიდევ სხვა პრივილეგიებზე, რომლებიც ამ შეთანხმებით არ არის გათვალისწინებული.

სახელმწიფოსთვის კონკორდიუმის პროექტით გათვალისწინებულ დათმობებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, პირიქით, შეთანხმება ხელისუფლებას გაუადვილებს კიდეც ეკლესიის კონტროლს. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთიდან შეახსენებენ, რომ ერთი რომელიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის პრივილეგიების მინიჭება არადემოკრატიულია, ხელისუფლებას შეუძლია დასავლეთისავე ქვეყნების ანალოგია მოიშველიოს, სადაც არსებობს პრივილეგირებული სახელმწიფო რელიგიები, თუმცა, რასაკვირველია, არა ჩვენს პროექტში გათვალისწინებული ისეთი უფლებებით, როგორიცაა, ვთქვათ, საპატრიარქოს ნებართვის გარეშე "მართლმადიდებლური ლიტერატურის" გამოცემის აკრძალვა (მუხლი 28). სხვა საქმეა, რამდენად სასარგებლო იქნება პრივილეგიები ქართული სახელმწიფოსთვის ან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

**რამდენად შეუწყობს ხელს პრივილეგიების მოპოვება ეკლესიის განმტკიცებას, მისი საზღვრების გაფართოებას, მისი ავტორიტეტის ზრდას და იმ მისიის შესრულებას, რაც ეკლესიას აკისრია დედამიწაზე? რას შემატებს მართლმადიდებლობას მისი პრიორიტეტულობის აღიარება? რა არის მიზანი, რის გამოც ეკლესიას პრივილეგიების მოპოვება და მისი პრიორიტეტულობის აღიარება სურს?**

მაცხოვარი გვასწავლის, რომ ვისაც პირველობა უნდა, იგი სხვათა მონა და მსახური უნდა გახდეს. საპატრიარქო სხვა გზით მიდის და პრივილეგიებს ითხოვს, თუმცა, უპასუხოდ რჩება არაერთი კითხვა, კერძოდ:

რამდენად შეუწყობს ხელს პრივილეგიების მოპოვება ეკლესიის განმტკიცებას, მისი საზღვრების გაფართოებას, მისი ავტორიტეტის ზრდას და იმ მისიის შესრულებას, რაც ეკლესიას აკისრია დედამიწაზე?

რას შემატებს მართლმადიდებლობას მისი პრიორიტეტულობის აღიარება?

რა არის მიზანი, რის გამოც ეკლესიას პრივილეგიების მოპოვება და მისი პრიორიტეტულობის აღიარება სურს?

პირადად მე ამ კითხვებზე, ჯერჯერობით, ერთადერთი პასუხი მოვიძიე: ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა საქართველოში მოქმედ ყველა რელიგიურ ორგანიზაციას უცხოელი პატრონი და დამფინანსებელი ჰყავს, საქართველოს ეკლესიას ქართულმა სახელმწიფომ უნდა უპატრონოს! თუმცა, ეს მაინც არ არის პასუხი კითხვაზე - მოუტანს კი სახელმწიფოს პატრონობა ეკლესიას სიკეთეს?

## სახელმწიფო და ეკლესია

სახელმწიფოს ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ღვთის ინტერესებს. განსხვავება, რომელიც არსებობს "ღვთის სამეფოსა" და "კეისრის სამეფოს" შორის, მარადიულია და მათ შორის არსებული სამანების ხელოვნური მოშლა ან ტოტალური ფარისევლობით (ფსევდოეკლესიურობით) დამთავრდება, ან ახალი დევნილობით (ეკლესიის დევნით, ან დევნით ეკლესიის სახელით).

ძალაუფლება, რომელიც ეკლესიას მიეცა, თავისი არსით არ არის მიწიერი და ამქვეყნიური ძალაუფლების მოპოვების ნებისმიერი მცდელობა გამოიწვევს ეკლესიისთვის მინიჭებული ძალაუფლების შესუსტებას. სახელმწიფოსგან პრივილეგირებული ეკლესია კარგავს უნარს, იყოს ღვთის წარმომადგენელი და სახელმწიფოს მსახური ხდება.

მეორე მხრივ, ეკლესიის მიზანი არ არის სახელმწიფოსთან სრული გამიჯვნა. პირიქით, ეკლესიამ უნდა სცადოს, მოიცვას მთელი საზოგადოება, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი სფერო, მოახდინოს საერო ცხოვრების გაეკლესიურება, ოღონდ ეს არ უნდა იყოს მოჩვენებითი პროცესი. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ასეთი მცდელობა დღევანდელ, სრულიად სეკულარულ გარემოსა და საზოგადოებაში ფარისევლობისა და ფსევდოეკლესიურობის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს დახმარებით მიღწეულმა ეკლესიის "საგარეო" როლის ზრდამ, ხელისუფლების წარმომადგენელთა სიმბოლურმა მონაწილეობამ საეკლესიო დღესასწაულებში, რიტუალურ-ნომენკლატურული ქრისტიანობის აღზევებამ შეიძლება შექმნას ილუზია, თითქოს ეკლესიის გავლენა გაიზარდა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს პროცესი მხოლოდ ფარისევლურ, გარეგნულ, მოჩვენებით აღმსარებლობას უხსნის გზას. ერის "გაეკლესიურების" პროფანაციის ყველაზე ნათელი მაგალითი ათიოდე წლის წინ მოხდა, როცა ახალციხის რაიონის მღვდელ-პრეფექტმა თევდორე ამბროლაძემ მარხვის პერიოდში რაიონის სასაკლაო დახურა. საეჭვოა, რომ ამით ან ეკლესიას მოეგო რამე, ან ახალციხელების სულიერების დონე გაზრდილიყო.

მსოფლიოს იმ "განვითარებული ქვეყნების" მაგალითი, სადაც "ისტორიულ ეკლესიას" "განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი" აქვს მინიჭებული, გვარწმუნებს, რომ ამ სტატუსს ეკლესიისთვის სიკეთე არ მოაქვს. სწორედ ამის გამო შვედეთის ლუთერანულმა ეკლესიამ, რომელიც საქართველოში ხშირად მოჰყავთ სახელმწიფო ეკლესიის არსებობის სამაგალითო შემთხვევად, უარი თქვა სახელმწიფო ეკლესიის სტატუსსა და ფუნქციებზე და ორ წელიწადში სახელმწიფოსგან სრულიად დამოუკიდებელი იქნება.

შვედეთის ეკლესიამ სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ პრივილეგიაზე უარი მარტივი მიზეზის გამო - ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე - თქვა: სკანდინავიის ქვეყნებში ლუთერანული ეკლესიის პასტორს უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი აქვს, რაც საკმაოდ მაღალია. პასტორი სახელმწიფო მოხელეა ფიქსირებული ჯამაგირით და მისთვის აღარა აქვს მნიშვნელობა, რამდენი კაცი შევა ეკლესიაში. ამ განწყობას მრევლიც გრძნობს და მხოლოდ ქორწილის, ნათლობისა თუ მიცვალებულის წესის აგების დროს თუ შეიხედავს ეკლესიაში. ეკლესიამ დაინახა, რომ იგი ჩინოვნიკური აპარატის ნაწილი გახდა, რომ ამით ეკლესია დასუსტდა და უარი თქვა ყველანაირ პრივილეგიაზე. იგივე ხდება ნორვეგიაშიც, სადაც ეკლესია იბრძვის, რომ გათავისუფლდეს სახელმწიფოს მეურვეობისგან და სახელმწიფო ეკლესიის სტატუსისგან.

მსგავსი ვითარებაა ინგლისშიც, სადაც ანგლიკანური ეკლესია სახელმწიფოს ნაწილია. გარკვეული ექსპერიმენტი უკვე ჩატარდა: უელსის ანგლიკანურმა ეკლესიამ, რომელსაც თავისი მთავარეპისკოპოსი ჰყავს, ათ წელზე მეტია, რაც უარი თქვა, ყოფილიყო სახელმწიფო ეკლესია. შედეგად ეკლესია აყვავდა, აივსო ხალხით, გამოჩნდა მრავალი საინტერესო პასტორი, ეკლესიის ფინანსური შემოსავალი გაორკეცდა. ხალხმა გაიგო, რომ ეკლესიას სახელმწიფო კი აღარ აფინანსებს, არამედ ეს მათი ეკლესიაა. თუ მანამდე ეკლესია და სახელმწიფო იყო გაიგივებული, გამოყოფის შემდეგ ეკლესიისა და ხალხის გაიგივება მოხდა.

ახლა მწიფდება აზრი, რომ ინგლისის ეკლესიამ უარი თქვას სახელმწიფო სტატუსზე. ეს ძალიან რთული პროცესია, რადგან ამისთვის უნდა შეიცვალოს საუკუნეების განმავლობაში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, შეიცვალოს საზოგადოების მენტალიტეტი. ამ ყველაფრის შესწავლა და შეცვლა ძალიან ძვირადღირებული საქმეა. თანაც, ინგლისელები ძნელად ეგუებიან ტრადიციის შეცვლას.

საქართველოსთვის ინგლისის, სკანდინავიის ქვეყნების, რომის კათოლიკური, საბერძნეთის მართლმადიდებელი ან სომხეთის გრიგორიანული ეკლესიების მაგალითის პირდაპირ, შესაძლო შედეგების გათვალისწინების გარეშე გადმოღება მისაღები არ უნდა იყოს. ჯერ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მიზანი, ამ მიზნის მიღწევის გზა და მხოლოდ შემდეგ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება.

იმ პროტესტანტულ ქვეყნებში, სადაც ეკლესიას სახელმწიფო სტატუსი აქვს, ეს ტრადიცია ადგილობრივი ეკლესიების რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ბრძოლის შედეგად შეიქმნა. სახელმწიფო მხარს უჭერდა ადგილობრივი ეკლესიების რომის ეკლესიის გავლენისგან გათავისუფლებას და ამის გამო ჩამოყალიბდა ეკლესიისა და სახელმწიფოს მტკიცე კავშირი.

ვატიკანის მაგალითის გათვალისწინებაც არ გამოგვადგება, რადგან ვატიკანი სახელმწიფოა და პაპი სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით დებს კონკორდატს სხვა სახელმწიფოებთან. კონკორდატი არის შეთანხმება ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის და საქართველოში ამ პრაქტიკის გადმონერგვა კურიოზულ ვითარებას ქმნის.

საბერძნეთშიც სასულიერო პირებს სახელმწიფო უხდის ხელფასს, სასულიერო პირი გარანტირებული შემოსავლის მქონე სახელმწიფო მოხელეა, რაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეკლესიის სულიერი მისიის შესრულებას დიდად უწყობდეს ხელს. თანაც, საბერძნეთს, როგორც ბიზანტიის მემკვიდრეს, ცეზაროპაპიზმის დიდი ტრადიცია აქვს, ამგვარმა მოდელმა კი არც ბიზანტიის ეკლესიას (და არც სახელმწიფოს) მოუტანა სიკეთე, არც რუსეთისას და საეჭვოა, რომ ვინმეს მოუტანოს.

## ვინ არის უმრავლესობა?

კონკორდიუმის პრეამბულაში ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ეს საკმაოდ საეჭვო დებულებაა. რუსეთში სოციოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ თავს რელიგიურად მიიჩნევს მთელი მოსახლეობის დაახლოებით 3-7 პროცენტი, სალოცავებში კი (იგულისხმება ნებისმიერი კონფესიის სალოცავი - ეკლესიაც, სინაგოგაც, მეჩეთიც და სხვაც) მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტი დადის.

საქართველოშიც, ალბათ, იგივე სურათი იქნება. მართალია, ძალიან ბევრი ამბობს, რომ ის არის მართლმადიდებელი, მაგრამ, როგორც საქართველოში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, ბევრი "მართლმადიდებელი" ამავე დროს იმასაც აღიარებს, რომ მას ღმერთი არ სწამს. ამ გაგებით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ათეისტია. მართალია, ისინი ეკლესიის პოტენციური წევრები არიან, მაგრამ ამ პოტენციის რეალიზება ეკლესიის "პოლიტიკაზე", მის მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. ეკლესიის მიერ პრივილეგიების მიღება და მისი თითქმის გარდუვალი შედეგი - ეკლესიის სახელმწიფოსთან გაიგივება - ამ პროცესს ნაკლებად შეუწყობს ხელს.

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისის ეკლესიურობის ბუმმა უკვე გადაიარა და ეკლესიის მიმართ ლტოლვა შენელდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ნომენკლატურული ქრისტიანობის აღზევებაცაა, რაც ელიას მთაზე მშენებარე სამების ტაძრის მაგალითითაც კარგად ჩანს.

## სამების ტაძარი - საუკუნის მშენებლობა?

"გვიხმობს ზარი შენებისა" - რამდენიმე წელია, ამ სიტყვებით მთელ საქართველოს სამების ტაძრის მშენებლობისკენ მოგვიწოდებენ. რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ტაძრის საძირკვლის ჩაყრა მოესწრო. ეს ფაქტი ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რამდენად მართლმადიდებელი ქრისტიანია "საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა".

მეორე მხრივ, "საუკუნის მშენებლობისადმი" გამოჩენილი გულგრილობა შეიძლება სრულებითაც არ იყოს რელიგიური ინდიფერენტიზმის ნიშანი. საყოველთაო გაჭირვების ვითარებაშიც კი საქართველოში არ ყოფილა გულგრილობა სხვისი ბედის მიმართ. სახარება გვასწავლის: "ვინაიდან მშიოდა და საჭმელი არ მომეცით; მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში და არ მომინახულეთ... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ... და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში..."

ათასობით ადამიანი მათხოვრობით, სხვისი დახმარებით ინარჩუნებს სიცოცხლეს, მაშინ, როცა ქალაქში მრავალ ადგილას მდგარი ტაძრის მშენებლობისთვის შესაწირავის შესაგროვებელი ყუთები უიმედოდაა დაცარიელებული. და ვერავინ იტყვის, რომ ის ადამიანი, რომელიც ეხ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარება მათხოვარს, მაგრამ სავსებით გულგრილად ჩაუვლის გვერდით შესაწირ ყუთებს, არ ასრულებს სახარების სწავლებას.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ტაძრები არ უნდა აშენდეს, თუნდაც მაშინ, როცა ქვეყანა გაჭირვებულია. მაგრამ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ახალი ტაძარი შენდება არა ეკლესიების სიმცირის გამო, არამედ შენდება "ტაძარი-კერპი", ეპოქათა გზაგასაყარის "ძეგლი-მშვენება", რომელიც ახალი სახელმწიფოს ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა და რომლის დანიშნულებაა, მომავალს შემოუნახოს ამ სახელმწიფოს არქიტექტორთა სახელები.

საზოგადოების ასეთი განწყობის ფონზე ხელისუფლების გადაწყვეტილება - ბიუჯეტიდან გამოყოს ტაძრის ასაშენებელი თანხა, თუნდაც ძალიან მცირე რაოდენობით, ხალხის ნების იგნორირებას ნიშნავს. თავად ეკლესიისთვისაც გაცილებით ძვირფასი უნდა იყოს, რომ ეს ფული იმ გაჭირვებულ ადამიანთან მივიდეს, ვინც თვეობით და წლობით ელოდება ხელფასს, პენსიას, დახმარების თანხას, რათა ერთი ტომარა პურის ფქვილი იყიდოს ან ნაცნობ აფთიაქართან ნისიად აღებული წამლის ფასი გაისტუმროს, ან მოხმარდეს იმ ჯარისკაცსა თუ პატიმარს, რომლის საკვები გულაგელთა მენიუსგან დიდად არ განსხვავდება, ვიდრე "საუკუნის მშენებლობის" საძირკველში რამდენიმე ტონა ბეტონის ჩასხმა.

ამ ფონზე კი მოწონებას ვერ იმსახურებს კონკორდიუმის 35-ე მუხლი, რომლითაც საპატრიარქო ითხოვს, რომ სახელმწიფომ არ განახორციელოს კონტროლი საეკლესიო ფულადი სახსრების გამოყენებაზე.

## კონტროლი, გამჭვირვალობა და ეკლესია

გაუგებარია, როცა ბიუჯეტიდან თითქმის მილიონი ლარია გამოყოფილი, რატომ არ უნდა გაკონტროლდეს, როგორ იხარჯება ეს თანხა? ბიუჯეტი არ არის ხელისუფალთა საკუთრება, იგი მთელ ქვეყანას, გადასახადის ყველა გადამხდელს ეკუთვნის. გადასახადის გადამხდელები კი მხოლოდ მართლმადიდებლები არ არიან.

თანაც, საპატრიარქოს ეგიდით წარმოებულ ფინანსურ ოპერაციებს არაერთხელ მოჰყვა უარყოფითი სკანდალი. ცნობილია ისიც, რომ გარკვეული თხოვნების შედეგად მაკონტრო ლებელმა ორგანოებმა საპატრიარქოს ეგიდით მომუშავე მთელი რიგი ფირმების შემოწმებისგან თავი შეიკავეს.

ნებისმიერი სკანდალი, რომელიც საპატრიარქოს გამგებლობის სფეროებში არსებული ფინანსური დარღვევების გამომზეურებას მოჰყვება, გაცილებით ცუდად მოქმედებს ეკლესიის ავტორიტეტზე და გაცილებით მეტ წევრსა თუ პოტენციურ წევრს უკარგავს მას, ვიდრე ყველა სხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელთა ქადაგება ერთად აღებული.

სწორედ ამის გამო საპატრიარქო თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ დახურული სისტემიდან ღია, გამჭვირვალე, დიალოგისა და საზოგადოებრივი კონტროლისთვის მზადმყოფ ორგანიზაციად იქცეს. თვით ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებაც, ბოლოს და ბოლოს, შეეგუება მის წიაღში რაღაც დოზით არსებობდეს ერთგვარი გაუმჭვირვალი ადგილები, მაგრამ თავად ეკლესიას ამგვარი დახშულობა ძალიან ძვირად დაუჯდება. ეკლესიამ თავად უნდა აიღოს გეზი მაქსიმალური გამჭვირვალობისკენ და, როცა კონკორდიუმის პროექტში ვკითხულობთ სრულიად გაუგებარ ფრაზას, რომ სასულიერო პირი გათანაბრებული უნდა იყოს საჯარო მოსამსახურესთან, კარგი იქნება, თუ ამაში სწორედ გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების შინაარსს ვიგულისხმებთ. ეს, რასაკვირველია, არ ეხება პროფესიულ საიდუმლოს - აღსარების საიდუმლო კონკორდიუმის გარეშეც დაცულია ადმინსტრაციული კოდექსით და აქ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ცალკე გამონაკლისი არ არსებობს - კანონი ნებისმიერ კონფესიაზე ერთნაირად ვრცელდება.

ფინანსური კონტროლისგან თავის არიდების მცდელობა საზოგადოების თვალში ერთმნიშვნელოვნად აღიქმება, როგორც მოპარვის უფლების დაკანონება. მე ვფიქრობ, რომ ეკლესია ასეთ ეჭვებზე მაღლა უნდა იდგეს. როცა საზოგადოებაში გაჩნდება ნდობა ეკლესიის მიმართ, მაშინ სამების ტაძარიც აშენდება. გაუცემელი პენსიითა და პატიმრისთვის დაკლებული საკვებით აშენებული ტაძარი კი, არა მგონია, ღვთისთვის სათნო იყოს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**არილი**

ია ანთაძე

# რას უნდა ელოდეს არჩევნებისგან ჯუმბერ პატიაშვილი



2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, ფორმალურად გამეორდეს 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სცენარი: პატიაშვილი შევარდნაძის წინააღმდეგ. მაგრამ ის ფაქტი, რომ მოსახლეობას ისევ შევარდნაძესა და პატიშვილს შორის მოუხდება არჩევანის გაკეთება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოში პოლიტიკური ფიგურების ფუნქციები წლიდან წლამდე უცვლელია.

* * *

გასული წლის 30 ივლისს ჭიათურა-საჩხერის ზონის ახალგაზრდა ამღორძინებელმა ზურაბ ცერცვაძემ დაკ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის II ყრილობაზე ასლან აბაშიძეს საჯაროდ მოუწოდა, რომ მას პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წამოეყენებინა.

დარბაზი მოწოდებას ხანგრძლივი ტაშით და ოვაციით შეხვდა, თბილისის პოლიტიკური ელიტა კი ამ ფაქტს სკეპტიკური რაქციით გამოეხმაურა: ეს სპექტაკლია, პრეზიდენტობის კანდიდატი სხვა იქნება! ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, მიხეილ სააკაშვილმა და მიხეილ მაჭავარიანმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ამ ეტაპზე ბათუმური ალიანსის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ჯუმბერ პატიაშვილის მოფრთხილებაა.

გავიდა დრო და ასლან აბაშიძეს თავად ჯუმბერ პატიაშვილმა სთხოვა, პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა დაესახელებინა. ამ ფაქტმა ედუარდ შევარდნაძის კომენტარი დაიმსახურა. მან დაადასტურა, რომ დროთა განმავლობაში ბათუმური ბლოკი შეცვლის პრეზიდენტობის კანდიდატს დ შესაძლოა, უბრალოდ, როლებიც გაიცვალოს. მოგვიანებით შევარდნაძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ასლან აბაშიძეს თავის ოპონენტად ვერ ხედავს.

ეს მოხდა გასული წლის ოქტომბერში.

თბილისის პოლიტიკური ცენტრი ყველა ეტაპზე დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებში შევარდნაძეს ასლან აბაშიძე კი არა, ჯუმბერ პატიაშვილი დაუპირისპირდებოდა. პოლიტიკური ლიდერები ბათუმური კანდიდატის ვინაობას საპარლამენტო არჩევნების შედეგებსაც კი არ უკავშირებდნენ.

ბიბლიოთეკა

თბილისელი პოლიტიკოსების ამ თვალსაზრისს ორი სავარაუდო საფუძველი ჰქონდა: ასლან აბაშიძის კარჩაკეტილობა, რაც თავიდანვე გამორიცხავდა მისი მხრიდან საერთო-ეროვნული ლიდერის ამბიციას და ჯუმბერ პატიაშვილის ფუნქცია 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

* * *

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილს ოფიციალურად დაუჭირა მხარი 450 000-მა ამომრჩეველმა.

დაახლოებით ერთი კვირის წინ, 10 მარტს, ყოველკვირეულმა გაზეთმა "მეოთხე" გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ; რომ 1995 წელს აბაშის პირველ საარჩევნო უბანში, ოქმის თანახმად, 632 ხმა ეკუთვნოდა შევარდნაძეს, 1090 ხმა - პატიაშვილს. სოფელ ნაესაკოვის მეჩვიდმეტე საარჩევნო უბანში 189 ხმა მიიღო შევარდნაძემ, ხოლო 442 ხმა - პატიაშვილმა. საოლქო კომისიის ოქმებთან ამ დედნების შედარებისას გაირკვა, რომ ორივე შემთხვევაში შედეგები შეცვლილი იყო შევარდნაძის სასარგებლოდ - ხმების რაოდენობა პირუკუ იყო დაფიქსირებული.

წლების განმავლობაში მართლაც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 1995 წლის არჩევნებში პატიაშვილმა არაერთი რაიონი მოუგო შევარდნაძეს და რომ არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებულია.

ფალსიფიკაციის მიუხედავად, გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილი წარმოჩნდა, როგორც შევარდნაძის რეალური ოპონენტი, რომელსაც მოსახლეობის სოლიდურმა ნაწილმა დაუჭირა მხარი.

* * *

რითი მოიპოვა ჯუმბერ პატიაშვილმა ლამის ნახევარმილიონიანი მხარდაჭერა? რა იყო მისი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის ფუნქცია? რას ელოდა მისგან მოსახლეობა გაპრეზიდენტების შემთხვევაში?

ამ საკითხების გარკვევას გააადვილებს პასუხი ერთ მთავარ შეკითხვაზე - რა ძალებს ეყრდნობოდა ჯუმბერ პატიაშვილი 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში?

პატიაშვილის არსებითი დასაყრდენად შეიძლება მოვიაზროთ ორი ფაქტორი: რუსეთის დახმარება და უძრაობის ხანის სტაბილურ ცხოვრებაზე ორიენტირებული ელექტორატი.

ეს ორი ფაქტორი პირდაპირ უკავშირდებოდა და ავსებდა ერთმანეთს. ძველ ცხოვრებას დანატრებული ადამიანებისთვის რუსეთის პატრონობა მეტნაკლებად მისაღები ჩანდა; ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, მოსახლეობის სწორედ იმ ნაწილს უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მთავრობისგან სტაბილურ ხელფასებს, გარანტირებულ სამუშაო ადგილებს, სავსე მაღაზიებს და უფასო ელექტროენერგიას ითხოვდა.

გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში პატიაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა მოსკოველი პოლიტოლოგი, მოსკოვის მიერ ინსტრუქტირებული ალექსანდრე ჭაჭია. იგი "შეიარაღებული" იყო შევარდნაძის კურსის ალტერნატიული იდეოლოგიით, რომელიც საქართველოს მოსახლეობას რუსეთზე ორიენტაციისკენ და ტრადიციული საზოგადოების აღდგენისკენ მოუწოდებდა. ჭაჭიას მიერ პატიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობის ფაქტი საკმარისი იყო იმის დასტურად, რომ რუსეთი თავის სამომავლო გეგმებს იმ ეტაპზე სწორედ ჯუმბერ პატიაშვილს უკავშირებდა.

რაც შეეხება ელექტორატს: ხუთი წლის წინ საქართველო გაცილებით ახლოს იყო წარსულთან, ვიდრე დღეს. ხუთი წლის წინ მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა უძრაობის ხანაში დაბრუნება. მოსახლეობის ეს გულუბრყვილო დამოკიდებულება მომავლისადმი პატიაშვილის საიმედო დასაყრდენი იყო. წარსულზე ორიენტირებული ელექტორატი ენაცვლებოდა პარტიულ მხარდაჭერას, რომელსაც მაშინ პატიაშვილი სრულად მოკლებული იყო.

**მამუკა გიორგაძესთან და სახალხო პარტიასთან დამეგობრებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ დაძველდა და დროს ჩამორჩა თავად პატიაშვილის ფუნქცია, - როგორც რუსეთზე და, იმავდროულად, "საბჭოთა" ცხოვრებაზე ორიენტირებული ლიდერისა.**

საარჩევნო კამპანიის ამ ორი საყრდენის მიხედვით უშეცდომოდ შეიძლებოდა პატიაშვილის ზოგადი ფუნქციის განსაზღვრა 1995 წლის არჩევნებში - რუსეთის დახმარებით საქართველოს გადარჩენა და ძველი, სტაბილური ცხოვრების დაბრუნება.

პატიაშვილის ეს ფუნქცია არათუ არ საჭიროებდა პარტიულ თანადგომას, არამედ - სრულიად გამორიცხავდა მას. რადგან მოსახლეობა სწორედ პარტიებს აბრალებდა არეულობას, გაჭირვებას, ბუნტს, სისხლისღვრას, სამოქალაქო ომს, ტერიტორიის დაკარგვას და ყველაფერ იმას, რასაც პატიაშვილი მთელი თავისი ფუნქციით უნდა დაპირისპირებოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი პატიაშვილს მხარს უჭერდა სწორედ წყნარი, დალაგებული ცხოვრების წინაალმდეგ ამბოხებული პარტიების მოსათოკად.

პატიაშვილის ამ ფუნქციას არათუ ვნებდა, არამედ, პირიქით, აძლიერებდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რადგან სწორედ ამ მოვლენამ გამოკვეთა ცკ-ს მაშინდელი პირველი მდივნის შეურიგებელი პოზიცია ეროვნული მოძრაობის მიმართ.

ასე რომ, 1995 წლის არჩევნებში პატიაშვილი, რომელიც თავისივე წარსულის ერთგული რჩებოდა, დაუპირისპირდა იმ შევარდნაძეს, რომელმაც უარი თქვა საკუთარ წარსულზე; შევარდნაძეს, რომელიც არ გაემიჯნა ეროვნულ მოძრაობას და მეამბოხე პარტიებთან ერთად შეუდგა ახალი ქვეყნის მშენებლობას. ამ ახალმა კი ბევრს ძველი მოანატრა და არჩევანი პატიაშვილის სასარგებლოდ გააკეთებინა.

თუკი პატიაშვილი მოსახლეობისგან მიიღებდა მანდატს გათამამებული პარტიების "მოსათვინიერებლად" და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დასაბრუნებლად, ამ საქმეში მას უეჭველად დაეხმარებოდა საქართველოს ტრადიციული პატრონი და მარჩენალი - (შევარდნაძეზე განაწყენებული) რუსეთი, რომელსაც არა მხოლოდ ფაქტობრივად, სიმბოლურადაც განასახიერებდა ალექსანდრე ჭაჭია.

ასე ავსებდა და აძლიერებდა ერთმანეთს პატიაშვილის საარჩევნო სტრატეგიის ორი მთავარი საყრდენი - რუსეთი და წარსულზე ორიენტირებული მოსახლეობა.

* * *

წლევანდელ არჩევნებს ჯუმბერ პატიაშვილი სრულიად ახალ რეალობაში ხვდება: მან დაკარგა რუსეთის მხარდაჭერაც და ტრადიციული ელექტორატიც.

ერთი შეხედვით, ძველი სქემიდან პირველი ამოვარდა მოსკოვის მიერ ინსტრუქტირებული ალექსანდრე ჭაჭია. დღეს პატიაშვილის საარჩევნო შტაბს, ჭაჭიას ნაცვლად, მამუკა გიორგაძე ხელმძღვანელობს. მამუკა გიორგაძემ გულწრფელადაც რომ მოინდომოს მოსკოვის ინსტრუქციების შესრულება, იგი მოსახლეობის ცნობიერებაში დამკვიდრებულია, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და არა როგორც რუსეთის საიმედო დასაყრდენი საქართველოში.

ასე რომ, რუსეთი რეალურად რომ ყოფილიყო დაინტერესებული პატიაშვილის გამარჯვებით, მის საარჩევნო შტაბს და საარჩევნო კამპანიას მამუკა გიორგაძეს არ შეატოვებდა. პირიქით, მოსახლეობას ნათლად, რებუსების გარეშე მიანიშნებდა, რომ მხარს სწორედ პატიაშვილს უჭერს.

* * *

შესაძლოა, მავანმა იფიქროს, რომ მამუკა გიორგაძესთან დამეგობრება პატიაშვილს 9 აპრილის მძიმე მემკვიდრეობის შესამსუბუქებლად სჭირდება, ანუ იმისათვის, რომ ამომრჩეველმა განსაჯოს: თუ მამუკა გიორგაძემ აპატია, მე რაღა პასუხი უნდა მოვთხოვოო.

მაგრამ, სინამდვილეში, ყველაფერი პირიქითაა.

ჯუმბერ პატიაშვილი გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში ეყრდნობოდა იმ ელექტორატს, რომელიც, ცნობიერ თუ არაცნობიერ დონეზე, მზად იყო, პატიაშვილს 9 აპრილის ტვირთის ზიდვაში მიშველებოდა და რომელიც 9 აპრილს პატიაშვილის ქცევაში საპატიებელს კი არა, სწორედ მის შეუცვლელ ფუნქციას ხედავდა. ეს ფუნქცია ოდნავ უტრირებულად, მაგრამ ზუსტად გამოხატა ვალერი კვარაცხელიამ ჯუმბერ პატიაშვილისადმი მიწერილ ღია წერილში: "ნუ შეგაშინებთ იმის აღიარება, რომ თქვენ, როგორც საბჭოთა მოღვაწე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი, დიახაც, იბრძოდით საბჭოთა კავშირის გადასარჩენად. თუ თქვენ იდექით იქ და იმ პოზიციაზე, რომელსაც მთელი ცხოვრება პატიოსნად ემსახურებოდით, ეს თქვენი ღირსებაა და არა დანაშაული" ("ასავალ-დასავალი", 13-19 მარტი).

მამუკა გიორგაძესთან და სახალხო პარტიასთან დამეგობრებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ დაძველდა და დროს ჩამორჩა თავად პატიაშვილის ფუნქცია, - როგორც რუსეთზე და, იმავდროულად, "საბჭოთა" ცხოვრებაზე ორიენტირებული ლიდერისა.

შესაძლოა, ორ საყრდენს შორის პატიაშვილს პირველი გამოეცალა არა ალექსანდრე ჭაჭია, არამედ - ელექტორატი.

გაჭირვებამ ადამიანები აიძულა, რეალობისთვის თვალი გაესწორებინათ და, წარსულზე ფიქრის ნაცვლად, ახალ დროსთან ადაპტაციაზე ეზრუნათ. საქართველოში დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ "საბჭოთა" ცხოვრების დაბრუნება შესაძლებელია.

რასაკვირველია, პატიაშვილი კიდევ არაერთ ხმას მიიღებს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ ეს იქნება წარსულის ინერციით გაცემული ხმები და არ იქნება დაკავშირებული წარსულში დაბრუნების იმედთან.

* * *

ჯუმბერ პატიაშვილის ძველი ფუნქცია სრულიად გამორიცხავს ორიენტაციას ახალ დროზე.

ფუნქციის დაძველებასთან ერთად, ბუნებრივად დაიკარგა მთავარი საყრდენებიც. მაგრამ დარჩა თავად პატიაშვილი, რომელსაც ახალ რეალობაში ახალი საყრდენების ძიება მოუხდა. შესაბამისად, ყველაფერი შეიცვალა პატიაშვილის პოლიტიკურ ბანაკში. ალექსანდრე ჭაჭიას ადგილი დაიკავა მამუკა გიორგაძემ, ხოლო წარსულზე ორიენტირებული ამომრჩევლის ხმები პარტიულმა მხარდამჭერებმა უნდა ჩაანაცვლონ.

სიდინჯით და სიდარბაისლით ცნობილი პატიაშვილი სწორედ იმ პარტიას დაუკავშირდა, რომელიც გასული ათი წლის მანძილზე ყველა ბუნტის ერთ-ერთი მოთავეა. მოსახლეობა მამუკა გიორგაძეს იცნობს, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ სიმბოლოს: ენერგიულს, რადიკალურს, ქუჩის პოლიტიკოს და საპარლამენტო რიტორიკის ოსტატს, არასტაბილურს, ხმაურიანს.

მამუკა გიორგაძის იმიჯი სრულიად საპირისპიროა ჯუმბერ პატიაშვილის იმ იმიჯისა, რომელმაც მას ხუთი წლის წინ 450 000 ხმა მოუტანა. უფრო მეტიც, ეს ხმები თავის დროზე პატიაშვილმა სწორედ მამუკა გიორგაძის და მისი მსგავსების ასალაგმად მიიღო.

* * *

სახალხო პარტია დამოუკიდებლად ორ არჩევნებში მონაწილეობდა - 1998 წელს თვითმმართველობის და 1999 წელს საპარლამენტო არჩევნებში - და ორივე მათგანი წარუმატებლად ჩაატარა. ამის მიზეზად პარტიის უმწიფარ ასაკს ვერ მივიჩნევთ, რადგან მრეწველთა პარტია სულ ექვსიოდე თვის შექმნილი იყო და არც საპარლამენტო ტრიბუნაზე მიუწვდებოდა ხელი, მაგრამ, სახალხო პარტიისგან განსხვავებით, 7%-იანი ბარიერი გადალახა და პარლამენტში მოხვდა.

სახალხო პარტიის მძიმე საარჩევნო გამოცდილების გათვალისწინებით, სულ უფრო გაუგებარი ხდება, რატომ შეაჩერა პატიაშვილმა არჩევანი მაინცდამაინც ამ პარტიაზე.

წარმოუდგენელია, პატიაშვილს ნათლად არ ჰქონოდა გაცნობიერებული, რომ გასულ არჩევნებში მას მოსახლეობამ ხმა მისცა, როგორც "ახალი" შევარდნაძის ოპონენტ "ძველ, ტრადიციულ" პატიაშვილს; როგორც "მედასავლეთე" შევარდნაძის ოპონენტ "მერუსეთე" პატიაშვილს. ამ შემთხვევაშიც დასავლეთი მტკივნეული და დამღლელი გარდაქმნების სიმბოლო იყო, ხოლო რუსეთი - უძრაობის და სიმყარის სიმბოლო.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ პატიაშვილის ფუნქციას ამკვეთრებდა მოარული აზრი, რომ მას მხარს უჭერდა აღმოსავლეთი ("დინჯი") საქართველო. სინამდვილეში, პატიაშვილს ყველა კუთხეში ჰყავდა მხარდამჭერები გარდაქმნების მოშიში ელექტორატის სახით.

შესაძლოა, სწორედ იმის გამო, რომ პატიაშვილი კარგად აცნობიერებდა საკუთარ ფუნქციას და ამ ფუნქციის საყრდენებსაც, საყრდენების დაკარგვის შემდეგ საშველად პირდაპირ მოწინააღმდეგე ბანაკს მიაშურა. ეს იმას ჰგავს, მავანმა პლუსი მინუსს რომ შეუერთოს და ამ ოპერაციით ორი პლუსის მიღება ჰქონდეს გადაწყვეტილი. არადა, ამ ოპერციის შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ნული, რადგან პლუსი და მინუსი, როგორც წესი, ერთმანეთს გამორიცხავს.

* * *

ძნელი სათქმელია, რას უნდა ნიშნავდეს პატიაშვილის საჯარო განმარტება, რომ არ არის გამორიცხული მის საარჩევნო შტაბში ალექსანდრე ჭაჭიას გამოჩენა. სინამდვილეში, დღეს პატიაშვილის შტაბში ჭაჭიასთვის ადგილი არ არსებობს.

ალექსანდრე ჭაჭიამ ბათუმის პოლიტიკური ბანაკი დიდი ხნის წინ დააყენა არჩევანის წინაშე - ან ჭაჭია, ან პოლიტიკური პარტიები. ასლან აბაშიძემ პარტიები აირჩია. პარტია აირჩია პატიაშვილმაც. საფიქრებელია, რუსეთმა თავად აღარ აირჩია ბათუმის პოლიტიკური ცენტრი. ამის შედეგად შექმნილი ვითარება მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ:

ჯუმბერ პატიაშვილმა დაკარგა რუსეთის მხრიდან არსებითი დახმარება და დაკარგა ძველ დროზე ორიენტირებული ამომრჩეველი. ამ რეალობაში იგი იძულებული გახდა, ახალი საყრდენი მოეძებნა პოლიტიკური პარტიის სახით და დაუმეგობრდა სახალხო პარტიას. ამან საბოლოოდ გააუქმა პატიაშვილის ტრადიციული ფუნქცია, რომელიც მეამბოხე პარტიების "მოთოკვასა" და წყნარი ცხოვრების დაბრუნებაში გამოიხატებოდა. ერთმანეთს დაუკავშირდა ორი საწინააღმდეგო პოლუსი: ეროვნული მოძრაობის აგრესიული ფრთა და უძრაობის ხანის რესპუბლიკური ლიდერი.

იმის მიუხედავად, რომ ამ კავშირის შედეგად დაზარალებულად სახალხო პარტია გამოიყურება, სინამდვილეში, პატიაშვილის და გიორგაძის დანაკარგი ზუსტად ტოლფასია: მათმა საარჩევნო კავშირმა ნათლად დაადასტურა, რომ ორივეს სამუდამოდ აქვს დაკარგული პოლიტიკური ფუნქცია.

* * *

დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის საწყის პოზიციას: რატომ იყვნენ დარწმუნებული პოლიტიკური ლიდერები, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ბათუმის ბანაკი მაინცდამაინც პატიაშვილს წარადგენდა?

თუკი ისინი პატიაშვილს რუსული ინტერესების ბურჯად მოიაზრებდნენ, დღეს მათ მყარი საფუძველი აქვთ, ეს ბურჯი სხვა პოლიტიკურ ფიგურებში ეძებონ. ამ მხრივ საარჩევნო პროცესმა მნიშვნელობა დაკარგა და კარგა ხანის წინ გამოიკვეთა, რომ წმინდა საარჩევნო ბრძოლით შევარდნაძის დამარცხებას რუსეთი ამჯერად არ გეგმავს.

ამ პირობებში, რას უნდა ელოდეს არჩევნებისგან ჯუმბერ პატიაშვილი?

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მოსახლეობას ბევრჯერ ჩააგონეს, რომ პატიაშვილი ვაჟკაცურად მოიქცა, როცა თანამდებობიდან გადადგა. ეს ნახევრად სიმართლე იყო, რადგან გადადგომის შემდეგ იგი არა მხოლოდ პოლიტიკაში დარჩა, არამედ - პრეზიდენტობისთვისაც გულდაგულ იბრძოლა.

მაგრამ, ბოლოხანს, ჯუმბერ პატიაშვილმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ 2000 წლის 9 აპრილს კიდევ ერთხელ და, ამჯერად, საბოლოოდ გადადგეს. როგორც ჩანს, ეს იქნება ყველაზე ჰუმანური, რასაც შეიძლება ჯუმბერ პატიაშვილი ელოდეს მისთვის (და არა მხოლოდ მისთვის) ამ მრავალტანჯულ დღეს - ცხრა აპრილს.

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ფაჩუაშვილი



# მშობლიური საგიხაროდენი

## რამდენი სურათი ანუ ეპიზოდი უახლესი ისტორიიდან

მმართველი პარტიის საარჩევნო ჰიმნის "გიხაროდენის" ხსენებაზე ხალხი სულ ტყუილად იკრიჭება, იმიტომ, რომ გიხაროდენამდე და გიხაროდენის შემდეგ ჩვენი შიდა მდგომარეობა მართლაც საგრძნობლად შეიცვალა. თუ არადა, აჰა საბუთი.

### ჩაძაღლების ტექნიკის დახვეწისათვის

აი ახლა 2000 წლის გაზაფხულზე ვაზისუბნის ფეხბურთის მოყვარული საზოგადოება ძაღლის წკავ-წკავმა გამოაღვიძა. ეს ის თეთრი ძაღლი იყო, რომელიც მყრალ ხასიათზე ყოფნისას უცნობ გამვლელებს კბენდა.

აივნებიდან თავგადმოყოფილმა ხალხმა დაინახა, თუ როგორ მიათრევდა ერთი დაბალი კაცი რკინის გრძელი კავით უბედურ ძაღლს. მზის გულზე მოგროვებული და ჯიბეებში საქმიანად ხელებჩაწყობილი "ბირჟავიკების" ჯგუფი საბარგულმოხსნილ ძველ "გაზიკს" შემოხვეოდა, რომელიც სათამაშოს უფრო ჰგავდა, ვიდრე სიკვდილის მანქანას.

ძაღლმჭერი კაცი მანქანაზე აძვრა, კავის მარწუხებში გაჭიაყელებული ძაღლი მაღლა ასწია და კატაფალკაზე დამაგრებულ ფანერის გალიაში ჩააგდო. წკავ-წკავი რომ შეწყდა, მერე გაისმა, თუ როგორ ყეფდა ჩვენი ოთხფეხა მეგობრების მთელი ჯარი.

სეირის მაყურებლებმა, როგორც იქნა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღეს და ცოფთან მებრძოლ სანიტარს ქუჩის ძაღლების სხვა სამყოფელისკენ მიუთითეს, მაგრამ დაბალი "კოვბოის" გრძელ იარაღს დანარჩენი ოთხფეხები დროულად დაემალნენ.

მსგავსი ამბავი 1998 წლის გაზაფხულზეც მოხდა (შეიძლება ზამთარიც იყო, ციოდა). მაშინაც გაისმა ერთი ძაღლის წკმატუნი და სხვების ყეფა, მაგრამ ყოველივე ამას წინ უძღოდა ავტომატის ჯერი. გათენებული არ იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც ჩანდნენ ავტომატიანი პოლიციელები, რომლებიც აქეთ-იქით დაძუნძულებდნენ. ისეთი გნიასი იდგა, ძნელი გასაგები იყო, რომელი სულიერი ყეფდა.

გათენდა თუ არა, სადარბაზოსთან სისხლი დავინახეთ. კვალი სარდაფისკენ მოეწვეთებოდა. ავდექით და გავყევით. მოულოდნელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოკლული დამნაშავის ნაცვლად, სარდაფის კარებთან უშველებელი დაჭრილი ძაღლი ეგდო. საწყალი ისე უწყალოდ კვდებოდა, ცოფიანიც რომ ყოფილიყო, მაინც შეგეცოდებოდა.

კი, ბატონო, მაშინ "გიხაროდენი" ნამღერი არ იყო, ხოლო ცოფიანი ძაღლებისგან დაკბენილი და გარდაცვლილი ადამიანების სია გაცილებით შთამბეჭდავი გახლდათ, ვიდრე დღეს, თანაც იმ ბნელ დროს ძაღლმჭერებზე, ძაღლსაჭერებზე, ძაღლსაცავებსა და ძაღლსაკლავებზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, მაგრამ ეგეთი ჩაძაღლება გაგიგიათ? მძორი მაინც გადაეგდოთ იმ მამაცხონებულებს, რად უნდოდა ამას "გიხაროდენი"?!

### ახლა ერთი პატარა ქუჩის ამბავი

იქ, სადაც გაზეთი "კავკასიონი" არსებობდა, პატარა ძერჟინსკის ქუჩაც იყო, რომელიც ისევე შეეწირა ეროვნული თვითგამორკვევის იდეას, როგორც ცხელი გულისა და ცივი გონების პატრონი მისი მოსახელე პირველი ჩეკისტი პარტიის დავალებით გაკეთებულ ბრმანაწლავის ოპერაციას. თუმცა, ქუჩის ბედი ფელიქს ედმუნდოვიჩის აღსასრულივით ტრაგიკული არ ყოფილა, ვინაიდან ქვეყანას ინგოროყვას ქუჩა მოევლინა და განსხვავებაც ნათელი გახდა.

თუ ძერჟინსკის ქუჩის შვიდ ნომერში ვოლგიანი გენერლების სახლი იდგა, ხოლო თერთმეტ ნომერში ცეკას მდივანი გოგი ანდრონიკაშვილი ცხოვრობდა, ახლა ეს სახლები საერთოდ აღარაა და ამ ტერიტორიას ყოფილი მინისტრთა საბჭოსა და არსებული სახელმწიფო კანცელარიის "უგრიუმ-შენობა" აყვითლებს.

ყოფილი კომკავშირის ცეკას ბუნაგიდან უსათნოესი ენათმეცნიერების ინსტიტუტი გვესიტყვება. რადიკალურად შეიცვალა შინაარსი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობამაც, სადაც ახლა "აბსოლუტ ბანკია", ხოლო იმ შენობის წინ, სადაც სომხური კულტურის მოღვაწეები იკრიბებოდნენ, მოხუცი ქალი "სემიჩკას" ყიდის.

ასეა, განვითარებული სოციალიზმის ნანგრევებიდან ცხვირდაპირ (კოტე ყუბანეიშვილის მუტაცია) კომუნისტურ კაპიტალიზმში მოვხვდით, რომელიც ბანკსა და კანცელარიას შორის ჯიპებზეა ამხედრებული.

სხვათა შორის, არც "კავკასიონი" გარდაცვლილა უშვილ-უძიროდ. მან ქვეყანას დაუტოვა შესაშური მომგონი - ჟურნალი "არილი".

აბა, ახლა, არ გიხაროდენ?!

### დასავლეთის ექსპრესი

ჩვენი დასავლეთის ექსპრესი დედაქალაქის ვაგზლიდან 8 საათსა და 30 წუთზე გადის და ქუთაისში დაახლოებით 14 საათზე ჩადის. შემხვედრ მატარებელს იგივე გრაფიკი აქვს და ერთი რომ მიდის, მეორე ისე მოდის, რომ ზუსტად შუა გზაზე, ხაშურში ხვდებიან ერთმანეთს, სადაც შემადგენლობები 8 წუთით ტკბებიან ერთმანეთის ყურებით.

ჩვენს დასავლეთის ექსპრესს თვით საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაუკეთა რეკლამა, როცა თქვა, ვისაც არ გიმგზავრიათ იმ მატარებლით, წადით და იმგზავრეთ, ნახეთ რა სიამოვნება გელითო (აბა ადრე რომელ ცეკას მდივანს უთქვამს ტელევიზიით, თუნდაც მოსკოვის მატარებელზე, კარგიაო?!).

წავედით და ვიმგზავრეთ.

ექსპრესის ყველაზე დიდი თანამედროვეობა - ტელევიზორი - გამჭვირვალე კუპეში მართლაც დაგვხვდა, ოღონდ ეს აღმოჩნდა ტელევიზორად მონათლული შავ-თეთრი მონიტორი, რომელიც მოჭრილ მაგიდაზე "შურუპებითაა" დამაგრებული. თურმე მისი დენის წყარო დინამოს პრინციპით მუშაობს და მონიტორი მხოლოდ გაქანებულ მატარებელში იწყებს შიშინს. მერე გამცილებელი, თუ არ დაავიწყდა, ერთადერთ ვიდეოკასეტას შეადგებს და ეკრანზე ნაწლავების გადახლართვა იწყება. ქვეყნის ნახმარი კასეტა და გაუხარელი მონიტორი უმორჩილესად გთხოვენ, რომ ფილმი ზეპირად იცოდე, თორემ ვერაფერს მიხვდები. მატარებელი სვლას რომ ანელებს, უკუპროცესი იწყება - შიშინი და სიბნელე.

ამიტომაა, რომ 5 საათის განმავლობაში ერთი ფილმის დამთავრებასაც არ ადგება საშველი; თუმცა პრეზიდენტის რეკლამასთან ეს წვრილმანი რა მოსატანია?! ირონიანარევი ღიმილით გახსენდება ძველი ლოკოკინა მატარებელი, თავისი იზოლირებული კუპეებითა და მავნე გადმონაშთით - ქეიფით, კოტრიალით, დილით პახმელიათი და განდაგანა ტუალეტით.

გახსენებაზე ტუალეტის სანახავადაც წავედით. უნდა ითქვას, რომ საჭირბოროტო ოთახის სპეციფიკურობა გათვალისწინებულია და ტუალეტს ძველებური ყრუ კარები აქვს. მთლიანად შენარჩუნებულია, აგრეთვე, ტრადიციული პირქუში ავტონომია და საპნისგან თავისუფალი ნაკელური ზონის პრინციპი.

ამიტომ იქ აღარ ვრცელდება პრეზიდენტის რეკლამის მოქმედების არეალი, მაგრამ იქედან გამოსული ადამიანისთვის სიცოცხლე მართლაც მშვენიერია.

ასე გახარებს ჩვენი დასავლეთის ექსპრესი, რომელიც, ჯერჯერობით, მხოლოდ ქვეყნის შიგნით ტრიალებს, მაგრამ, თუ პატარა გასაქანი მიეცა და ტელევიზორმაც გამონათა, საზღვრებს იქითაც გადააღწევს!

მერე მართლა გიხაროდენ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ასოციაცია “არილი” წარმოადგენს არაკომერციულ, არასახელმწიფო, არაპოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო ნორმებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ასოციაციას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, ბეჭედი და ანგარიში ბანკში.

ასოციაცია “არილი” დაფუძნდა 1994 წელს, ხოლო რეგისტრაციაში გატარდა მთაწმინდის სასამართლოს მიერ 1999 წლის 11 ოქტომბერს.

ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოსა და სხვა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ეწევა ლიტერატურულ, ან მასთან დაკავშირებულ მოღვაწეობას და მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის მუშაობაში. ასოციაციის წევრად მიღებისა და წევრობიდან გარიცხვის საკითხს წყვეტს ორგანიზაციის გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ, აპრილის თვეში. 2000 წელს ასოციაციის კრება დაგეგმილია მარტის ბოლოსთვის.

ასოციაციის შემოსავლის წყაროებია საქართველოს და საზღვარგარეთის იურიდიული და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შემოწირულობები და ჟუნალ “არილის” გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

გაერთიანება “არილი” არ არის ერთი, კონცეპტუალურად ჩამოყალიბებული აზრის ირგვლივ თავმოყრილი ჯგუფი. აქ არიან სხვადასხვა გემოვნებისა და მსოფლმხედველობის მქონე ლიტერატორები - პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები, დრამატურგები, მთარგმნელები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები.

“არილის” მიზანია არა ტრადიციების სფეროში ბრუნვა, არამედ მისი გაგრძელება. ჩვენთვის მიუღებელია ტენდენცია, რომელიც შემოქმედს იდეოლოგის ან პროპაგანდისტის როლს აკისრებს. დღეს მწერალს შეუძლია იყოს თავისუფალი, რაც უფრო მძიმე ამოცანას უსახავს მას პროფესიული თვალსაზრისით.

ერთი სიტყვით, პრაქტიკულ მიზნებთან ერთად, ასოციაცია “არილი” მაღალმხატვრულობისთვის ზრუნვის გზაზე, თანამედროვე და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურული გამოცდილების ყველაზე უფრო სერიოზული (როგორც ეთიკური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით) მიღწევების ათვისებას გულისხმობს. ოღონდ ეს ათვისება უნდა იყოს შემოქმედებითი, თავისუფალი და ქართული სულისკვეთებით ნიშანდებული.

ასოციაციას აქვს საკუთარი პერიოდული გამოცემა “არილი”, რომელიც 1993 წლიდან 1999 წლის ბოლომდე გაზეთის სახით გამოდიოდა და წელს ჟურნალად გარდაიქმნა.

ბევრ, დღეს უკვე აღიარებულ ახალგაზრდა შემოქმედს, სწორედ “არილმა” გაუხსნა გზა მკითხველისკენ. ქართული სიტყვის აღიარებული ოსტატების პუბლიკაციებთან ერთად, ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ამჟამადაც რჩება ახალგაზრდა ავტორთა წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

გარდა ამისა, “არილი” შემოგთავაზებთ პუბლიცისტურ წერილებს საზოგადოებრივ და რელიგიურ პრობლემებზე, პოლიტიკურ ანალიზს და ჟურნალისტურ გამოძიებებს...

ია ანთაძე, მიხეილ ანთაძე, ლევან აბაშიძე, თამარ აბრამიშვილი, ირმა არჩუაშვილი, შალვა ბაკურაძე, ანდრო ბარნაველი, თეონა ბეძიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ანდრო ბუაჩიძე, ნინო დარბაისელი, მამუკა დოლიძე, თამაზ ექვთიმიშვილი, თამაზ ვასაძე, ნუგზარ ზაზანაშვილი, ნინო ზურიაშვილი, ზაზა თვარაძე, ეთერ თვარაძე, მაია თოდუა, ომარ თურმანაული, შოთა იათაშვილი, დარეჯან კაპანაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ კომახიძე, გიორგი ლობჟანიძე, მაია მირიანაშვილი, მაკა მიქელაძე, ლილი მჭედლიშვილი, ზვიად რატიანი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, მაია სარიშვილი, მადი სერებრიაკოვა, ბესო სოლომანაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, სოზარ სუბელიანი, ნინო ფირცხალავა, ალექსანდრე ქოქრაშვილი, შადიმან შამანაძე, დათო შიომღვდლიშვილი, მიხეილ ჩიტაძე, დათო ჩიხლაძე, თემურ ჩხეტიანი, კობა ცხაკაია, ალეკო ცქიტიშვილი, ზაზა ჭილაძე, მალხაზ ხარბედია, ბესო ხვედელიძე, ბასა ჯანიკაშვილი, გია ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

http://www.opentext.org.ge/Arili

# არილი



წკაპ HERE

